ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი №9, 2011, სექტემბერი ფასი 2 ლარი

ისტორიანი

ტაო-ერუშეთის ღაბრონების სტალინისეული ბებმები

სეხეთზე: ქაჯთა სიხე

ასებობდა თუ არა სინამდვილეში ტროას ცხენი?

ღელი საქართველოს მთის წმინდა სასმელი

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი

კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
8 ტომად

ტომი VII
ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ვასილ ღუმბაძე მოჩვენთა ბანის ფინანსისტი

ეკათერინეს-ეპატრიარქი ერეისტავე ტაო-ერუშეთის შემოერთების შესახებ

რობერ ბაქრენ ერეკლესეული აღბანელები



სარჩევი

ახალი ამბები

XIX საუკუნის ხელნაწერის ყდაში XV-XVI საუკუნეების დოკუმენტები აღმოჩნდა 6

ზოდიაქოს ნიშნების უცნაური ექსპოზიცია 7

ევროპელ მამაკაცთა ნახევარი ფარაონ ტუტანჰამონის შთამომავალია(?!) 8-9

ბრინჯაოს ბუდა 9 მილიონ დოლარად გაიყიდა 10

5000 წლის წინანდელი კოლხური დასახლება აჭარაში 10

ჩინური ფაიფურის უდიდესი განძი ისტორიაში 11

ისტორიის ღაბიჩინთებში

საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში 12

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ტაო-კლარჯეთის შემოერთების შესახებ 20

თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ 24

საბნების ისტორია

პირადი ნივთები დიდი ილიას მუზეუმიდან 30

ქართველები უცხოეთში

ვასილ დუმბაძე მორგანთა ბანკის ფინანსისტი 34



სარჩევი

ისტორიის საიდუმლოებანი

არსებობდა თუ არა სინამდვილეში ტროას ცხენი? 40

ისტორიის უსნობი ფურცლები

რუსტამი — ნაპოლეონის მამლუქი 46

ტრადიციები

ლუდი — საქართველოს მთის წმინდა სასმელი 50

ჯვეჯესიის ხიხლები

როგორ გაქრნენ კავკასიელი ალბანელები 58

ირტბენური ისტორიები

ზაზა კორინთელი: „არტბენი“ მარტო ჩვენ ადარ გვეკუთვნის, სახალხო ზეიმი გახდა! 65

ისტორია და ფოლკლორი

„ილტოვ, ცრემლებად ნადენო“... 70

ცხოვრება

თემურ წიკლაური: ბრძოლაა საჭირო მაშინაც კი, სიკვდილი რომ მოვა, ხმლით უნდა გაეგებო... 74

ეროვნული

მამუკა არეშიძე: ადრე წიგნის კითხვა მოდური იყო, კარგი წიგნები კი ძნელად იშოვებოდა... 79

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის

500 ფაქტი ისტორიიდან 82-89

სკანვორდი 90

რედაქტორის სვეტი

1945 წლის მიწურულიდან მოყოლებული, მთელი საქართველო მოელოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდნენ და ისტორიული საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალს კვლავ დედასამშობლოს დაუბრუნებდნენ. ბევრს არც კი ეეჭვებოდა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენა სულ ახლო მომავალში მოხდებოდა...

წინამდებარე ნომრის მთავარ თემას წარმოადგენს სწორედ 1945 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწყებული იდეოლოგიური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის სამხრეთი საზღვრების აღდგენას. შედეგად საქართველოს უნდა დაბრუნებოდა ისტორიული ტაო-კლარჯეთი. 1921 წელს ეს ტერიტორია რუსეთის შუამავლობით, ქართულმა და სომხურმა მხარემ თურქეთს დაუთმო. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მიღმა დარჩა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი (936 კვკმ), ართვინის ოლქი (3339 კვკმ), არტაანის (არდაგანის) ოლქი (ფოცხოვის უბანთან ერთად 5725 კვკმ), ტაოს ანუ ოლთისის ოლქი (3051 კვკმ).

ჩვენ საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის ერთ მოკლე პერიოდს წარმოვაჩენთ, რომელიც ორი ქვეყნის უახლესი ისტორიაა. ამიტომაც რედაქციის უმორჩილესი თხოვნაა, ამ თემის წამოწევა პოლიტიკურ ჭრილში არავინ განიხილოს.

1992 წლის 30 ოქტომბერს ანკარაში საქართველოსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებით, საზღვრის დემარკაციის საკითხი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა. მხარეებმა აღიარეს საზღვრის ხელშეუხებლობის პრინციპი. **დღევანდელ მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ურთიერთობის ნორმები აღიარებს ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობის პრინციპს. მართალია, ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სამხრეთი ტერიტორიების დიდი ნაწილი, მაგრამ ამჟამად ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი — საფუძვლიანად შეისწავლოთ „თურქეთის საქართველოს“ ტერიტორიაზე არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები — ხახული, ოშკი, ოპიზა, იშხანი, ბანა, არტანუჯი, ოთხთა ეკლესია... ისინი მარტოოდენ ქართველი ხალხის კუთვნილება როდია, მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია და სათანადო მოვლა-შესწავლა ესაჭიროება.**

ჩვენ საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ერთ მოკლე პერიოდს წარმოვაჩენთ. რედაქციის თხოვნაა, ამ თემის წამოწევა პოლიტიკურ ჭრილში არავინ განიხილოს...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი“**.
ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91

XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲧᲓᲐᲨᲘ XV-XVI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ინფორმაციით, XIX საუკუნეში გადაწერილ წიგნის „ქორწინებისათვის და დადგინებითი გრამოტა“ რესტავრაციასას, მის ყდაში XV-XVI საუკუნების ხელნაწერების ფრაგმენტები აღმოჩნდა. ათი ფრაგმენტიდან ცხრა ნუსხურით არის შესრულებული, ხოლო ერთი რუსულად.

სპეციალისტების შეფასებით, აღმოჩენილი ფრაგმენტები ორ სხვადასხვა ხელნაწერ წიგნს ეკუთვნის. ხელნაწერი პალეოგრაფიული ანალიზით დათარიღდა — შავი მელნით ნაწერი ტექსტები, რომლებიც წითელი მელნითა და საგანგებოდ შესრულებული საზედაო ასოებითაა შემკული, XV-XVI საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ქართული ხელნაწერების სურათს უჩვენებს.

თვით ხელნაწერი წიგნი, რომლის ყდაშიც იყო ჩაკერებული ძველი ხელნაწერის ფრაგმენტები, მოიცავს 1723-1785 წლებში გამოცემულ ბრძანებებსა და წესებს ქორწინებისთვის. ხელნაწერი ეკუთვნოდა თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარ დეკანოზ მიხეილ ხელაშვილს, ხოლო არქივში მიხეილის ვაჟმა ვლადიმერ ხელაშვილმა შემოიტანა.

ხელნაწერი შეიცავს სამ სხვადასხვა შინაარსის მქონე ნაწარმოებს — „ქორწინებათათვის მართლმადიდებელთა პირთასა სხუა სარწმუნოებისათა თანა“, რომელშიც გამოყენებულია პეტრე I-ის მიერ 1720 წელს გამოცემული ბრძანება; „ფორმა (დადგენილი ნიმუში, სტანდარტი დოკუმენტისა) მღუდელთმთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად ხელ-დასხმულისა მღუდლისადმი“, რომელიც შეეხება სასულიერო პირების დანიშვნის წესებს; „ქორწინებისა თავისთვის“, გადათარგმნილია ბერძნულიდან ქართულად 1775 წელს. ეს ნაწარმოები იწყება მიძღვნით: „უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარხსა ყოვლისასა ქართუელოისასა მეფის ძეს ანტონის, ჩვენსა უწმიდესის სინოდისასა უუმონებრესი მოხსენებაი“.

ზოდიაქოს ნიშნების
უცნაური ექსპოზიცია

ზოდიაქოს ნიშნების ბრინჯაოს გიგანტურ გამოსახულებათა მასშტაბური ექსპოზიცია — Circle of Animal/Zodiac Heads — მალე მსოფლიოს შემოივლის. მისი ავტორია ჩინელი მხატვარი, არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე აი ვეივეი. მხატვარს ევროპაში სწორედ ამ სახელით იცნობენ.

პროექტის იდეაც ჩინელ მხატვარს ეკუთვნის. თორმეტივე სკულპტურა ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული. ცხოველთა თავების გამოსახულებანი, თუ მათ გიგანტურ ზომებსაც გავითვალისწინებთ, შესახედად საკმაოდ საშიშია. განსაკუთრებით ვირთხის, ღორისა და მაიმუნის.

ბრინჯაოს ფიგურები იმპერატორ ციანლონგის (1736-1795) ეპოქის ზოდიაქოების გამოსახულებათა თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რომელიც პეკინში, მის საზაფხულო რეზიდენცია იუანმინ იუანში ამკობდა საათს.

ისტორიული ცნობების თანახმად, იმპერატორის წყლის საათი ზოდიაქოს ნიშნებით ფრანგი სასულიერო პირის, მიშელ ბენუას პროექტის მიხედვით შეიქმნა. ხოლო მისი ბრინჯაოს სამშვენისების ავტორი სახელგანთქმული იტალიელი ოსტატი ჯუზეპე კასტილიონეა.

ცნობილია, რომ პეკინის ფრანგულ-ინგლისური ოკუპაციის დროს, 1860 წელს, სასახლის გაძარცვისა და დანგრევის შემდეგ ამ სტატუეტებიდან ბევრი სხვადასხვა ცნობილ მსოფლიო კოლექციაში მოხვდა.

პროექტ Circle of Animal/Zodiac Heads-ის ავტორმა კი, საკუთარი ინტერპრეტაციის მიუხედავად, მსურველებს შესაძლებლობა მისცა, ამ ძეგლზე წარმოდგენა შეიქმნან.

მომზადებულია artinfo.com-ის მასალების მიხედვით

ევროპელ მამაკაცთა ნახევარი ფარაონ ტუტანჰამონის შთამომავალია(?!)

აღმოსავლეთ ევროპის მამაკაცთა ნახევარი და ბრიტანელ მამაკაცთა 70% ეგვიპტის ფარაონ ტუტანჰამონის (რომელიც ეგვიპტეს 3000 წლის წინ მართავდა) მემკვიდრე და შორეული ნათესავია.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვეიცარიის კვლევითი ცენტრის, IGENEA-ს მკვლევრები, რომლებიც გენეტიკის საკითხებზე მუშაობენ. მეცნიერებმა თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე ფარაონის მუმიფიცირებული სხეულის ნაშთიდან აღებული დნმ-ის ნიმუშების შესწავლის შემდეგ გამოთქვეს.

ახალი ამბების საერთაშორისო სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ასევე გაირკვა, რომ P161a2 ჰაპლოჯგუფს განეკუთვნება ესპანელ მამაკაცთა 70% და ფრანგ მამაკაცთა 60%. ფარაონიც მეცნიერებს ამ ჯგუფში ეგუ-

ეგვიპტის ფარაონ ტუტანჰამონის მსგავსი გენეტიკური ჯგუფი თანამედროვე ეგვიპტელთა მხოლოდ 1%-ში თუ გვხვდება

ლებათ. პოპულაციურ გენეტიკაში, რომელიც კაცობრიობის გენეტიკურ ისტორიას შეისწავლის, ჰაპლოჯგუფი მსგავსი ჰაპლოტიპების ერთობლიობაა, რომლებსაც ადგენენ ქრომოსომების თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ეს ჰაპლოჯგუფი თანამედროვე ეგვიპტელთა მხოლოდ 1%-ში თუ გვხვდება. მეცნიერთა აზრით, ეს მიუთითებს, რომ ფარაონებსა და დღევანდელ ევროპელებს საერთო წინაპარი ჰყავდათ.

წინაპრები კავკასიიდან?...

„საოცარი იყო, რომ ტუტანჰამონის მონათესავე გენეტიკური მასალები თანამედროვე ევროპელებს აღმოაჩნდათ. ეგვიპტეში ხომ მრავალი ჰაპლოჯგუფი არსებობს, რომელსაც შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ძველი ეგვიპტის მეფეების დნმ-ის ნაწილები. ვფიქრობთ, რომ ფარაონისა და თანამედროვე ევროპელების საერთო წინაპარი კავკასიაში 9,5 ათასი წლის წინ ცხოვრობდა“, — აცხადებს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი რომან შოლცი.

მეცნიერთა გათვლებით, P161a2 ჰაპლოჯგუფის გავრცელება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე 9000 წლის წინ, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად დაიწყო.

ამის მიუხედავად, მეცნიერებს უჭირთ პასუხი გასცენ კითხვას, ფარაონის გენეტიკური ხე, მამის მხრიდან, როგორ მოხვდა ძველ ეგვიპტეში.

ახლა გენეტიკოსთა წინაშე დგას ამოცანა: დნმ-ის უფრო ზუსტი ანალიზის შედეგად დაადგინონ ლეგენდარული ფარაონის „უახლოესი ნათესავები“.

მათი კვლევის შედეგებმა პუბლიკის დიდი ყურადღება უკვე მიიპყრო.

მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით



ბრინჯაოს ბუდა 9 მილიონ დოლარად გაიყიდა

ჰონგკონგში, Christie's-ის საერთაშორისო აუქციონზე ამითაბჰის (უცვლელი ცხოვრების) ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება 9 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა. მისი ასაკი 500 წელზე მეტია და მინების დინასტიის იმპერატორის, ჩჟუ ჩჟანცის მმართველობის პერიოდს განეკუთვნება. ეს უკანასკნელი იმპერიას 1425-1453 წლებში მართავდა.

თანხა, რომელიც მყიდველმა ბუდას ქანდაკებაში გადაიხადა, ორჯერ აღემატება აუდიტთა ნავარაუდევს.

ამითაბჰის ბუდა ლონდონელმა დილერმა რიჩარდ ლიტლტონმა შეიძინა. მისი განცხადებით, ასეთი იშვიათი ეგზემპლარისთვის 9 მილიონი დოლარი სწორედ შესაფერი ფასია. ახალი მფლობელი დარწმუნებულია, რომ ეს მშვენიერი კაპიტალდაბანდებაა.

მომზადებულია Bloomberg-ის მასალების მიხედვით

5000 წლის წინანდელი ჯოხური დასახლება აჭარაში

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალში, მურვანეთის უბანში შემთხვევით წააწყდნენ ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს. ძ.წ. XI-X საუკუნეებით დათარიღებული იარაღების ჩამოსასხმელი ბრინჯაოს მასალა ჭარნალის ხეობაში არქეოლოგებს ადგილობრივებმა გადასცეს. სპეციალისტებმა მურვანეთში სახელოსნოსა

ამირან კახიძე: აღმოჩენილი მასალები მიუთითებს, რომ მაშინ აქ მეტალურგიას კარგად იცნობდნენ

და რკინის საწრთობ ქურასაც მიაკვლიეს. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის, ამირან კახიძის განმარტებით, აღმოჩენილ მასალებს შორის უმნიშვნელოვანესია ქვის სამი გობი, რომელშიც ბრინჯაოს ზოდები ეწყო.

ამირან კახიძე: „მივაკვლიეთ გობებს, ქვაში ამოჭრილს, სადაც ხდებოდა მადნის, კერძოდ სპილენძის დაქუცმაცება. ამას გარდა ადგილობრივმა მოსახლეობამ ბრინჯაოს ზოდიც ნახა, რომელიც მუზეუმს გადმოეცა.

აღმოჩენილი მასალები მიუთითებს, რომ იმ დროისთვის მეტალურგიას აქ კარგად იცნობდნენ. სავარაუდოდ, ნედლეულის აღება იქვე ახლოს, მურღულის ხეობაში (დღეს თურქეთის სპილენძის წარმოების უმნიშვნელოვანესი ცენტრია) ხდებოდა. ეს ადგილი ბრინჯაოსა და სპილენძის მდიდარი საბადოებით უძველესი დროიდან არის ცნობილი“.

გარდა ამისა, სპეციალისტებმა რომაული ხანის ქვევრი და მასში ჩარჩენილი ყურძნის წიპწები იპოვეს. ყურძნის ჯიშების განსაზღვრაზე სპეციალისტები უკვე მუშაობენ.

ნინო ჯაფარიძე

ჩინური ფაიფურის უდიდესი განძი ისტორიაში

ინდონეზიის კუნძულ იავას სანაპიროზე, ჩაძირული გემის ბორტზე, რომელიც XVI საუკუნით თარიღდება, ისტორიაში მინების დინასტიის ფაიფურის ყველაზე მსხვილ პარტიას მიაკვლიეს. ნაპოვნი ტვირთის საერთო ღირებულება დაახლოებით 70 მილიონი ამერიკული დოლარია. განცხადება აღმოჩენის შესახებ პორტუგალიურმა კომპანია Arqueonautas Worldwide-მა გააკეთა.

გამოცემა Business Wire-ი წერს, რომ ჩინური საავჭრო გემი ვან ლის იმპერატორობის პერიოდში, 1580 წელს ჩაიძირა. მეცნიერებმა მას იავის სანაპიროდან 150 კილომეტრის მოშორებით, 50 მეტრის სიღრმეზე მიაკვლიეს.

კომპანია Arqueonautas Worldwide-ის ხელმძღვანელის, გრაფ ნიკოლას ფონ სანდიზელის განცხადებით, წინასწარი მონაცემებით ბორტზე ფაიფურის 700 ათასამდე ნაკეთობაა. ტვირთის ამოღებას კომპანია უახლოეს თვეებში გეგმავს. სააგენტო „ფრანს პრესის“ მონაცემებით, ჩაძირული ხომალდი 2009 წელს მეთევზეებმა აღმოაჩინეს. ინდონეზიის მთავრობამ კომპანია Arqueonautas Worldwide-ს დახმარებისთვის სწორედ ამის შემდეგ მიმართა.

მარადიორობის ფაქტების თავიდან ასარიდებლად ხომალდს მუდმივი დაცვა მიუჩინეს. „ვან ლის ტვირთის“ აღმოჩენას ინტერნეტში საგანგებო გვერდიც კი მიეძღვნა.

Arqueonautas Worldwide-ი გრაფმა ნიკოლას ფონ სანდიზელიმ 1995 წელს პორტუგალიაში დააფუძნა. კომპანიამ დაარსების დღიდან აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში 300-მდე ჩაძირულ ხომალდს მიაკვლია.

მოამზადა ნინო ჯაფარიძემ

თალიზი

თმის გადანერგვის კლინიკა

ტაშკენტის ქ.27 ტელ.: 214-15-15

www.talizi.ge

იშხნის საკათედრო ტაძარი ისტორიულ ტაოში

საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში

1945 წლის მიწურულიდან მოყოლებული მთელი საქართველო მოელოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდნენ და ისტორიული საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალს კვლავ დედასამშობლოს დაუბრუნებდნენ. ბევრს არც კი ეეჭვებოდა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენა სულ ახლო მომავალში მოხდებოდა, იმდენად დიდი პოლიტიკური თუ სამხედრო სამზადისი უძღოდა წინ ე.წ. „თურქეთის საქართველოს“ შემოერთებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ეს საკითხი პირველად საგანგებოდ პოტსდამის კონფერენციაზე წამოჭრა.

საბჭოთა კავშირი თურქეთს სთხოვდა არტაანის, ართვინისა და ყარსის ოლქების დათმობასა და 1936 წლის 20 ივნისის მონტრეს ხელშეკრულების პირობების გაუქმებას — ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლებასა და ასევე, სრუტეში საბჭოთა გემებისთვის სამხედრო-სარემონტო ბაზის შექმნას.

ეს საკითხები საგანგებოდ განიხილეს „დიდი სამეულის“ (საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) პოტსდამის კონფერენციაზე.

1945 წლის 22 ივლისის სხდომაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: „თავს უფლებას მივცემ გენერალისიმუსის ყურადღება მივაქციო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, თურქეთი არ შევაშინოთ. თურქეთი უდავოდ შეშფოთებულია საბჭოთა და ბულგარეთის არმიების კონცენტრაციით ბულგარეთში, აგრეთვე საბჭოთა პრესისა და რადიოს გამუდმებული თავდასხმებით. აგრეთვე ელჩის ბატონ მოლოტოვთან მოლაპარაკებით, რომლის დროსაც ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და სრუტეში საბჭოთა ბაზა“.

პრემიერის ამ განცხადების შემდეგ იოსებ სტალინმა საგარეო საქმეთა კომისარ ვიაჩესლავ მოლოტოვს სთხოვა კონფერენციისთვის მოეხსენებინა საქმის ვითარება.

ისე დავბერდი,
ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი..
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
გიორგი ლეონიძე

ოქმში ვკითხულობთ:

„სტალინი: გთხოვთ სიტყვა მივცეთ მოლოტოვს.

მოლოტოვი: „სრუტეების საკითხზე წერილობით წარმოვადგენთ დოკუმენტს, შესრულებულს რუსულ და ინგლისურ ენებზე. მაგრამ მანამდე განგიმარტავთ საკითხის წინაისტორიას.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით დადგა საბჭოთა მთავრობასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკითხი, ჯერ ანკარაში ჩვენს ელჩთან, ხოლო მაისის ბოლოს თურქეთის ელჩის მეშვეობით მოსკოვში.

ივნისის დასაწყისში ორჯერ ვესაუბრე ელჩ სარფერს. მივეცით თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, განსაზღვრული პირობით. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთპრეტენზიები.

ჩვენ გვაქვს ორი საკითხი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გულისხმობს საზღვრის ერთობლივ კონტროლს, მაგრამ ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მი-

პოტსდამის კონფერენცია. 1945 წლის ივლისი. უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი, იოსებ სტალინი

სიმონ ჯანაშია

ნიკო ბერძენიშვილი

ვიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინისა და არდაგანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია საკითხის მოგვარება, უნდა დაუბრუნდეთ მათ ეს ტერიტორიები".

საბჭოთა დელეგაცია მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებებისას არ აყენებდა ამ საკითხს. საზოგადოების სათანადოდ შემზადებისთვის საბჭოთა პროპაგანდამ მძლავრი იდეოლოგიური კამპანია დაიწყო თურქეთის მიერ 1921 წელს მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა. ამ საქმეში ჩართული იყვნენ არა მარტო საბჭოთა მეცნიერები და მწერლები, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები, არამედ ქართული და სომხური პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოსა და სომხეთის ეკლესია. ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და თურქეთისგან ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებას ყველა ითხოვდა.

საზღვრის გადასინჯვის მოთხოვნით პირველად სომხები გამოვიდნენ. სომხეთის პარტიული ელიტა თუ ინტელიგენცია აქტიურად ჩაება ამ კამპანიაში. წამოწყებას მხარი აუბა სომხეთის პოლიტიკურმა ემიგრაციამ. სომეხი ერის მოთხოვნას გამოეხმაურნენ უცხოელი მეცნიერები, მათ შორის გამოირჩეოდა ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი, დოქტორი ჰიულეტ ჯონსონი.

ეს საკითხი დაისვა 1945 წლის ივნისში ეჩმიაძინში გამართულ საეკლესიო კრებაზე. მას ესწრებოდა 111 დელეგატი მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. მოწვეული იყვნენ სომეხთა სათვისტომოების წარმომადგენლები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ინდოეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, სირიიდან და სხვ. საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ კილიკიის კათალიკოსი გარეგინ I, იერუსალიმის პატრიარქი გიურექ I, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ევროპის ეპარქიის მღვდელთმთავარი არტავაზ სიურმეიანი და სხვა მაღალი საეკლესიო იერარქები. ეჩმიაძინს ეწვია ინგლისის დელეგაციაც ჰიულეტ ჯონსონის ხელმძღვანელობით. 1945 წლის ივნისის მიწურულს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰიულეტ ჯონსონმა განაცხადა: „მე მთლიანად და მთელი გულით ვეთანხმები იმას, რომ თურქე-



1945 წლის გაზეთ „კომუნისტის“ 14 დეკემბრის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის გაზმაურებული სტატია

თის მიერ მიტაცებული ტერიტორიები რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს სომხეთს“.

1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა სომხურმა ორგანიზაციებმა საგარეო საქმეთა მინისტრთა ლონდონის საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ითხოვდნენ საბჭოთა სომხეთისთვის დაებრუნებინათ ყველა სომხური ტერიტორია, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა.

თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების კამპანიაში 1945 წლის დეკემბრიდან აქტიურად ჩაერთო ქართული მხარეც.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის საგაზეთო სტატია — „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, საქართველოში ამ კამპანიის დასაწყისი იყო. გაზეთ „კომუნისტში“ 1945 წლის 14 დეკემბერს ამ

20 დეკემბერს ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის სტატია „პრავდამ“ გადაბეჭდა

სტატიის გამოქვეყნებიდან მალევე, იგი რუსულად ითარგმნა და უკვე 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა (გაზეთ „პრავდასა“ და „იზვესტიაში“), 22 დეკემბერს კი იგი გადაბეჭდა უკრაინის წამყვანმა გაზეთმა „პრავდა უკრაინიმ“.

მიუხედავად სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ტიტულებისა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს სტატია აბსოლუტურად პოლიტიკური დაკვეთით მომზადდა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ ქართველ ისტორიკოსთა ინიციატივად. ეს კარგად იცოდნენ ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკურმა წრეებმა და ამიტომაც საკავშირო პრესაში გამოქვეყნებისთანავე სტატია უცხოურმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატიას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დავით ზავრიევის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები. ამ კამპანიაში ჩაერთო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი რასიხ ბერიძე.

თურქეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი უმაღლეს პარტიულ შეკრებებზეც არაერთხელ დასმულა. მასზე ღიად საუბრობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები. საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ქართველი ხალხი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების

ირაკლი აბაშიძე

დამყარების 25 წლისთავს ეგებება დიდი სასიხარულო მიღწევებით, რომლებმაც მიგვიყვანეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოო განმტკიცებამდე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საფუძველზე.

მაგრამ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენდა“.

ლაშა ბაქრაძე თავის საინტერესო სტატიაში „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე, თურქეთი-საქართველო: 1945/1946“ აღნიშნავს, რომ საქართველოს ცეკას ამ პერიოდისთვის ჯერ შემოუერთებელ ტერიტორიებზე პარტიული უჯრედების ჩამოყალიბების თადარიგი დაუჭერია. შესაბამის კანდიდატებს წინასწარ ამზადებდნენ ართვინის, არტაანის, ტრაპიზონის მხარეების რაიკომის მდივნებად. როგორც ჩანს, გრიგოლ აბაშიძის ლექსს, „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“, რეალური საფუძველი ჰქონდა:

> გზის გასწვრივ დგანან ალვები მწკრივად,
> თეთრად გაჰკვრია ზეცას ღრუბლები...
> მე ტრაპიზონის ოლქკომში ვზივარ,
> ოლქკომის მდივანს ვესაუბრები...
> წუხელ გვიანღამ ჰქონდა თათბირი,
> დღეს რაიონი თვითონ არკვია...
> რეკავს თბილისი და პირდაპირი
> ხაზით მდივანი უსმენს ჩარკვიანს.

1946 წლის შუა ხანებიდან პროპაგანდისტული კამპანია თანდათან შენელდა. ცენტრალურ პრესაში უკვე აღარ იბეჭდებოდა მკვეთრი სტატიები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული მიწების შემოერთების საკითხი ამის შემდეგაც არ მოხსნილა. პერიოდული გამოცემებიდან ძირითადად გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ აქტიურობდა. ქართველი მწერლებიდან ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ილო მოსაშვილმა და სხვებმა არაერთი ნაწარმოები უძღვნეს ამ პრობლემას.

ირაკლი აბაშიძემ ქართველ პოეტთაგან პირველმა 1945 წლის დეკემბერში ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება ლექსად გამოხატა. „რა დაგავიწყებს...“ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა 28 დეკემბერს, რასიხ ბერიძის სტატიასთან ერთად. პოეტი ქართველ ხალხს მოუწოდებდა:

გიორგი ლეონიძე

ოლთისის ციხე

იქ არის შენი აკვნის გამთლელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული;
ქართველო, სანამ გქვიან ქართველი,
გეძახის შენი მიწა ქართული.

1946 წლის 16 ივნისს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს დუტუ მეგრელის „ოლთისის ციხეს“:

ვით მგლოვიარე მიჯნურსა
იზიდავს სატრფოს სამარე,
რომ მოგონებით წარსულის
დაიტკბოს აწმყო მან მწარე;
აგრევე აქ გადმოტყორცნილს
მოკლებულს მშობელს მხარესა,
ძეგლი ძველ საქართველოსავ,
იზიდავ სულს მწუხარესა.
როს უცხოთ შორის მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომაწვება,
რომ მცირედ არის მაინცა,
მივცე საბრალო თავს შვება,
მოვრბივარ... შენს ნანგრევებზე
ვისვენებ დაღონებული
და დროთ სივრცეში მიმოვფრენ,
ოცნებით გატაცებული!
ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდექ მტკიცე, ძლიერი
და შენში მედგრად ხვდებოდა
მოსულს მტერს ქართველი ერი.
და შორს, შორს, ძვირფას მამულში
მიმაფრენს ეს მოგონება
და გული მიძგერს სიამით,
სანამ არ ქრება ოცნება!..

ამავე პერიოდში დაიწერა გიორგი ლეონიძის „მესხეთი“. მოკლე ხანში ეს ლექსი რამდენიმე თაობის უსაყვარლეს პოეტურ ქმნილებად იქცა:

ისე დავბერდი,
ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი..
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...

...ბუმბერაზები, გოლიათები,
გორგასლანიდან, ვიდრე ჩვენამდის,
ყველა ფეხზეა, ერთი გაფრენით,
რომ შენთან გაჩნდეს მტრის გაჩენამდის!..

1948 წელს გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ნაწარმოებებში დახატულია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მძიმე მდგომარეობა. ვარლამ ჟურული თავის ლექსში „მიტაცებულ მიწაზე“ გულნაკლული აღნიშნავს:

ტაო-კლარჯეთში კვნესის ნიავი,
ცრემლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიავით,
შფოთავენ ძვლები მამა-პაპათა.

ალიო ადამიას ლექსი „ლაზური ბალადა“ გამსჭვალულია თურქეთისადმი სიძულვილით. ასეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ამ კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო:

... — იყო, არ არის, ვაჟკაცო,
სარფი — სოფელი ლაზური!
ღამით, სულ მოულოდნელად,
როგორც ქურდი და ლაჩარი,
თურქთა ჯარები დაგვესხნენ
და გულში დაგვცეს ლახვარი...
აი, შეხედე, იქ არის
დედაშვილობის გამყოფი
უსწორმასწორო საზღვარი!

ასეთივე პათოსითაა დაწერილი ნესტორ მალაზონიას ლექსი „ქორწილი“:

შინ არ დარჩა ახალგაზრდა,
მოხუცი და ხანშესული,
მტრის საჟლეტად ყველა აღდგა
სატევარ და ხმალასხმული...
მაგრამ მტერმა ეს სოფლები
გადაწვა და გადათქერა,
დააცილა მეზობლები,
გაუცივა მრავალს კერა...

ან:

მაყრად აწვიეთ მესხეთი —
ტბეთიდან არზრუმს გასვლამდე,
უარს ვერ იტყვის ვერც ერთი
ართვინ — არტანუჯ — ყარსამდე...

1948 წელს დაიწერა და უკვე 1949 წლიდან რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ყოფილი მასწავლებელი, ტომით ქართველი ბეჟან-აღა ახალგაზრდებს მიმართავს: „ოსმალებსა და მათს დღევანდელ ბატონებს — ამერიკელ სოვდაგრებს კი უნდათ ჩვენი გულიდან სამუდამოდ ამოშალონ სამშობლოს სიყვარული... მათ სწადიათ დაგვაყიწყონ ჩვენი ქართული დედაენა, რომ პირუტყვებს დაგვამსგავსონ და უფრო ადვილად იბატონონ ჩვენზე!.. მათ უნდათ ჩვენს შვილებსა და მამებს თოფი მისცენ ხელში და თავისუფლების დიდ ქვეყანას მიუსიონ, სადაც ძმები ქართველები სხვა ტომის ხალხთან ერთად ბედნიერი ცხოვრებით სტკბებიან... ხომ გაიგონეთ, ჩემო შვარდნებო?..“

გრიგოლ აბაშიძე

ამავე პერიოდში გამოდის გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებული „სამხრეთ საზღვარზე“. ეს წიგნი მოკლე ხანში პოპულარული გახდა მთელ საქართველოში. მასში შევიდა ავტორის ის პოეტური ქმნილებები, რომლებიც თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული ტერიტორიების ბედ-იღბალს ეხებოდა. ლექსებში „ტაო“, „რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“, „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“ პოეტი გამოთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა სახელმწიფო იზრუნებს ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე:

შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი
ჩვენს სადროშოს მიაბარო!
(„ტაო“)
„როცა თურქთაგან ასჯერ გათელილ
ტაოს გამოხსნას ტაშით ახარებს,
ჩემი თაობის გმირი ქართველი —
ჩვენი წარსულის ბაირახტარებს“.
(„რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“)

1951 წელს ილო მოსაშვილს პიესისათვის „ჩაძირული ქვები“ და გრიგოლ აბაშიძეს, ლექსების ციკლისთვის „სამხრეთ საზღვრებზე“ და „სამგორის ველზე“, მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

* * *

მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს იოსებ სტალინი იძულებული გახდა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი ეთქვა და ამ მიწების შემოერთებაზე ხელი აეღო. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის

ტბეთის საკათედრო ტაძარი ისტორიულ შავშეთში

რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ თითქმის მთელი XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მოახერხა საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს. ესეც ჩვენი ერის უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია იყო.

1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურ დონეზე და საბოლოოდ უარი თქვა ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით, საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

ჯაბა სამუშია

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

ცარ-ხელაჩავეთის შემოერთების შესახებ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
კალისტრატე ცინცაძე

ეს წერილი 1946 წლის 5 იანვარს დაიწერა, მისი ავტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე გახლავთ. წერილი იმ დროისთვის „ქართული საბჭოთა პრესის ფლაგმანად“ წოდებულ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას მთელი საქართველო წაიკითხავდა. სხვათა შორის, ეს ის პერიოდია, როცა მეორე მსოფლიო ომი ახალი დასრულებულია, როცა გამძაფრებულია საკუთარი ტერიტორიების დაცვისა და პატრიოტიზმის გრძნობა, აგრეთვე, გამარჯვებული დიდი ქვეყნის ძლევამოსილების განცდა. სწორედ ამ დროს წამოჭრა საბჭოთა კავშირის მთავრობამ ქართველებისა და სომხების ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების საკითხი, გაიშალა საინფორმაციო კამპანია, გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია, რომელთა შორის იყო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წერილი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ საშუალება გაზეთ „კომუნისტში“ ამ მოწოდების გამოქვეყნებით ჩემი და მთელი ჩემი სამწყსოს ხმა შევუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების — სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილში (იხ. „კომუნისტი“ №24, 14.XII.1945 წ.).

XV საუკუნეში მაჰმადიანურმა ოსმალეთმა ქრისტიანულ მსოფლიოს გულზე ფეხი დაადგა: სახელოვანი კონსტანტინოპოლი დაიპყრო და კულტურული ახლო აღმოსავლეთის სიამაყის — ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობა სამუდამოდ შეწყვიტა.

იუსტინიანე კეისრის დროის გენიალურ ქმნილებაზე — წმინდა სოფიის ტაძარზე, დაპყრობილ ქრისტიანეთა სისხლით მოსვრილი ხელის ანაბეჭდი — გამომხატველი გამარჯვებული ხონთქარის მიერ ქრისტიანული ტაძრის მაჰმადიანურ მიზგითად გადაქცევისა, მომასწავებელი რამ იყო ოსმალთა პოლიტიკისა მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ბნელი უკუნეთი ჩამოწვა, ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა. შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებისა

დასავლეთის განათლებულ ხალხებთან.

ოსმალეთი ყოველთვის შორს იდგა მეზობლებთან მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობისაგან. ეს აგრესიული ბუნების სახელმწიფო ყველა მეზობელს თავს ესხმოდა და გლეჯდა, ვიდრე საამისო ღონე მოსდევდა.

ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზავი არა ჰქონია. ოსმალეთი უჩვეულო სიჯიუტით ცდილობდა საქართველოს დაპყრობას ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ქართველები შეუნელებელი მხნეობით თავს იცავდნენ.

300 წელს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა.

მოძალადე მტაცებელმა განაზრახი ვერ შეისრულა, ქართველთა სიმტკიცე ვერ გასტეხა და საქართველო მთლიანად ხელთ ვერ იგდო. დამპყრობელს მწარედ მოაგონდება ბასიანი, ბათომი, გორი, ასპინძა, ზეკარი, ხრესილი, ჩხერის ციხე და არაერთი სხვა ადგილი — მოწმე ქართველთა მამაცური შებმისა და მომხდურის დამარცხება-უკუქცევისა.

მაგრამ უზარმაზარ მტერთან ბრძოლაში მეტად დაზიანდა ქართველი ხალხი. ოსმალეთმა თანდათან მიიტაცა საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ვრცელი მიწა-წყალი: ჭანეთი, ბეიბურთ-გიუმიშხანე, თორთუმი და სპერი, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო-ბასიანი, კოლა-არტაანი და სამცხე.

არც ერთ დამპყრობელს შუა საუკუნეებში კულტურული ახლო აღმოსავლეთისთვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია, როგორიც მას ოსმალეთმა მიაყენა. ბიზანტია-საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო და მრავალი სხვა კულტურული ქვეყანა, ქრისტიანული თუ მაჰმადიანური, შეიქმნა მსხვერპლი ოსმალური მიმტაცებლობისა და მისი ბარბაროსული მოძალადეობისა.

შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას ის უსამართლობა, რომელიც გადაიტანა ხონთქრის საბრძანებელში მოყოლილმა ქართველობამ ოსმალ დამპყრობელთაგან. ფიზიკური ძალადობა, მორალური შეგინება ოსმალთა ბატონობის მთავარი იარაღი იყო.

ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. ბარბაროსული თურქული ფეოდალიზმი სულშემხუთავ ძალად დაეწვა შეუდარებლად უფრო წინ მდგომ ქართულ საზოგადოებრივ წყობილებას დაპყრობილ ოლქებში. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა ოსმალობა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა.

წინსვლა შეჩერდა და ქვეყანა თანდათან უკან წავიდა. ქრისტიანობა, ეროვნული კანონები და ქართული ენა ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. ოდესმე აყვავებულს ქვეყანაში უკულტურობამ დაისადგურა. სასოებით და სიყვარულით ნაგები ტაძრები, ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები თანდათან დაიცალა, დაყრუვდა. თანდათან გაქრა ბანას თუ ხა-

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის წერილი, რომელიც 1946 წლის 5 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“

ხულს ოპიზართა მიერ ნაჭედი წმინდა ხატები, წყაროსთავს მოხატული საღვთო წიგნები, შატბერდს ნათქვამი სიბრძნე, ოშკს შეთხზული საგალობლები. მათი დიდი უმრავლესობა დაიღუპა, ნაწილი სასოებით გადამალეს შევიწროებულმა მლოცველებმა, ნაწილიც თან წაიღეს გაჯოჯოხეთებული სამშობლოდან ლტოლვილებმა.

დამპყრობელთა ბარბაროსულმა მმართველობამ ხალხი გააღატაკა; მოსახლეობის რიცხვი კატასტროფულად შემცირდა, ქვეყანა გავერანდა. ოსმალური მმართველობის ჩამორჩენილობის მჭევრმეტყველური ნიშანია, რომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს დამპყრობელი დაეპატრონა, იქ მოიშალა და მოისპო ოდესმე აყვავებული საქალაქო ცხოვრება, ინტენსიური სასოფლო მეურნეობა, ჩაქრა განათლების კერა, შეწყდა ყოველგვარი მშენებლობა. მთელს ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სავსეა ქართველობის დროის დიდებული არქიტექტურული ძეგლებით (რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ გაუნადგურებიათ ისტორიისა და მეცნიერების წინაშე პირშავ ბარბაროსებს), არც ერთი სასახლე, არც ერთი ტაძარი, არც ერთი ქარვასლა, არც ერთი ხიდი და არც სხვა რამ აშენებულება, რამდენადმე ღირსშესანიშნავი, არ აგებულა ოსმალთა ბატონობის დროს.

ხალხის სასიცოცხლო ძალების პარაზიტული გამოწოვით ოსმალურმა მმართველობამ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში დაახშო განვითარებისა და შემოქმედების ყოველგვარი გზა.

ზემოთ თქმულში დასარწმუნებლად საკ-

ხახულის ტაძარი. დეტალი

მაია ერთიმეორეს შევადაროთ დღევანდელი საქართველოს ორი ნაწილი: საქართველო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი და საქართველო თავისუფალი. განუზომელია ჩამორჩენა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისა და მწარე კაეშნის მომგვრელია ბედის უკულმართობა: ისტორიულ საქართველოს დიდი კულტურული აღმავლობის ხანაში, IX-XII საუკუნეებში, და შემდეგ, ვიდრე ოსმალთა მიერ მიტაცებამდე, საქართველოს სწორედ ეს ნაწილი იყო ჭეშმარიტი აკვანი და საძირკველი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი თუ ნივთიერი კულტურისა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა ხალხებთან განუყრელ ძმურ კავშირში აღდგა თავისუფალი ქართველი ერი. გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი — მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მიწა-წყლისა და დაჩაგრულ-შეგინებული ღვიძლი ძმების დედასამშობლოსათვის დაბრუნება — გარდაუვალ ამოცანად დაისვა მის წინაშე.

ქართული მართლმადიდებელთა ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მატარებელი და მქადაგებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამასთანავე სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებით და მოთმინებით განირჩეოდა. მით უმეტეს ეს ითქმის იმ ქართველების, ჩვენი ღვიძლი ძმების მიმართ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღეს.

ქართულ ეკლესიას არ ჰქონია და არც არასდროს ექნება განზრახვა სამხრეთ საქართველოს რაიონებში ქრისტიანობის აღდგენაზე იფიქროს. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ყველასათვის ცნობილია მისი დამოკიდებულება სარწმუნოების საკითხისადმი: ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება — ყველას შეუძლია ირწმუნოს და ილოცოს ისე, როგორც თვითონ სურს.

დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ჟამია. თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა — ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირენი.

ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდავო უფლებაც მოიპოვა მოითხოვოს ისტორიული უსამართლობის გასწორება — საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება.

თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი: რაიონები არტაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გიუმიშხანესი და ლაზისტანჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩათვლით.

მე მივმართავ გაერთიანებულ ერთა ხელმძღვანელებს, მსოფლიო მოწინავე საზოგადოებრიობას და მოვუწოდებ მათ, მხარი დაუჭირონ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ამ წმინდა საქმეს.

კალინსტრატე,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
1946 წლის იანვრის 5

თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ

აკადემიკოსი სერგი ჯიქია. 1946 წ.
(სტილი დაცულია)

თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალო თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შეცვალა სელჯუკი თურქები, რომელნიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლის მღვრელი ომების შედეგად ოსმალო თურქებმა შეძლეს თავიანთი ჭარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდების მომენტიდან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრად ველურ მომთაბარეთა მორალით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთ განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრები, მშობლიურ წრეს მოწყვეტილი, მასობრივად გარბოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა „თავი ეხსნათ თურქების მიერ ფანატიკური დევნისაგან“ (დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნო-

შავშეთის ხედი
ნინო გაელიძის ფოტოები

ბილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაიღო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი პოვა გურიაში, შემოქმედის მონასტერში (დიმიტრი ბაქრაძე, იქვე).

ამ მკაცრ პოლიტიკას, რომელსაც ოსმალო ხელისუფალნი მხარის გასათურქებლად და გასამაჰმადიანებლად ახორციელებდნენ, მოწმობს ის უცილობელი მონაცემებიც, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი“. ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი თურქ ხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ არის შედგენილი საქართველოს ახალდაპყრობილი ნაწილისათვის და ამიტომ წარმოადგენს ობიექტურ წყაროს, საიდანაც შეიძლება ამოღებულ იქნას თურქეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მასალები; დასახლებული პუნქტების ჩამოთვლასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე იმ სოფლების გრძელ სიებს, რომლებიც შიშით შეპყრობილ ქართველ მოსახლეობას მიუტოვებია. ეჭვგარეშეა, რომ ეს, „დავთრის“ მიხედვით „მოსახლეობისგან თავისუფალი სოფლები“ იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილები იყო, რომლებმაც, ამაყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრად ველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ ააგდებინეს. მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დატოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონში გადასახლდნენ. ამ გადასახლების მასშტაბს თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „მცხოვრებთაგან თავისუფალი სოფლების“ რიცხვი საქართველოს მარტო იმ ნაწილში, რომელიც „დავთარშია“ შეტანილი, 300-ს აღწევს!

იმ ძალადობას, რასაც თურქები დაპყრობილ მხარეში ჩადიოდნენ, აღნიშნავს XVIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა ამბობს, რომ დაპყრობილი მხარის წარჩინებულ ქართველთა წოდება თურქულ ენაზე გადავიდა, „დამჭირნეობისათვის ოსმალთა“ (იხ. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, გვ. 131).

ქომუნისტი

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

3

ᲡᲐᲠ ᲙᲔᲕᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐᲡᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲪᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ-ᲧᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

აკადემიკოს სერგი ჯიქიას სტატია გაზეთ „კომუნისტში“ 1946 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა

მაგრამ თურქი ხელისუფალნი პირდაპირი რეპრესიების გარდა, რასაც ქართველი მოსახლეობა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა, მიმართავდნენ არაპირდაპირი ზემოქმედების ზომებსაც იმისათვის, რომ დაპყრობილი მოსახლეობა იძულებული გაეხადათ ხელი აეღო თავის საუკუნეობრივ ეროვნულ ტრადიციებზე. ეს იყო ეკონომიკური ზეგავლენა, რაც გამოიხატებოდა აუტანელი გადასახადების შეწერით, რომლებითაც სპეციალურად დაბეგრეს არამუსლიმანი მოსახლეობა. იმავე „დავთარში“ არის მასალები, რომლებიც ახასიათებენ ხალხის ჩაგვრის ამ ხერხს. „დავთრის“ მიხედვით, მრავალ სხვა გადასახადს გარდა, არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა, იხდის კომლობრივ გადასახადს, ეგრეთ წოდებულ „ისფენჯს“ 25 ახჩის ოდენობით, რაც იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გაღატაკებული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით. ამავე დროს კი, მუსლიმანი გაცილებით ნაკლებს იხდიდა: ეგრეთ წოდებულ „ბენაქს“ და „მუჯერეთს“, 18 ან 12 ახჩს. „დავთარში“ 127, 262, 274, 358, 365 და სხვა გვერდებზე მუსლიმის ყოველ სახელთან არის სპეციალური აღნიშვნა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანია და ამიტომ შეღავათიან გადასახადს იხდის.

ასევე მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში — ჭანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაჟინებით მისწრაფებას — ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება — ლაზები უპირისპირებდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მიუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა. ლაზებისადმი თურქების მხრივ ზიზღით აღსავსე და ეროვნულად შეურაცხმყოფ დამოკიდებულებას მოწმობს თურქული ანდაზა: „ლაზლარინ თერმონი-მისლიმან იემეზ ონი“, ე.ი. „ლაზური ფელამუში მუსლიმანს არ ეჭმევაო“ (ნიკო მარი, თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 627).

ვფიქრობ, აქ უადგილო არ იქნება ცოტა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ეჭვგარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით სამსუნის ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის ანგარიში, რომელიც მოყვანილია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1945 წლის 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ყველა თურქული დიალექტი, მათ შორის სამსუნის ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი „ლაზურ-თურქულის“ სახელწოდებით (გერმანულად —

ბაგრატ IV-ის ბანაში ჯვრისწერის სცენა, ოშკის ტაძრის ფრესკიდან

გზამ პირდაპირ ოპიზის ტაძრის საკურთხველზე გაიარა

Lazisch — Türkisch, იხ. მაგალითად, პოლონელი პროფესორის, ტადეუშ კოვალსკის სამიმოხილვო სტატია Enzuklopädie des Islam-ის IV ტომში, გვ. 996 და სხვ.). ცხადია, რომ ანატოლიის ამ ნაწილში გაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ელფერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალდატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მოწმობს არა მარტო ლაზთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამპყრობ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალო თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისთვის მომთაბარე ტომების ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეჯახნენ, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომებს თურქებმა შემდგომი განვითარების გზა დაუხშეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმყოფელი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც იმ დროისათვის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა — სიმინდი ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება — „ლაზოთი, ლაზუთი“, რაც ნიშნავს „ლაზურ მცენარეს“ (იხ. რედჰაუსი, თურქულ-ინგლისური ლექსიკონი, გვ. 1619, აჰმედ ვეფიკ-ფაშა, ლეჰჯე-ი ოსმანი გვ. 748 და შრომა „სიტყვა lazut-ის წარმოშობისათვის“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში, ტ. V, № 2 გვ. 227).

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ გამოარკვია, რომ მთელი რიგი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (გუთანი, ჯილღა) აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა

მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში — ჭანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაჟინებით მისწრაფებას — ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება — ლაზები უპირისპირებდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მიუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა

ქართველებისგან გადაიღეს (იხ. დასახელებული შრომა, I, გვ. 248 და სხვ.).

თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა „განაპირა მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრი“ ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედევრები, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუჩად აგდების საგანი გახდა. აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, ყველგან ხედავდა მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების „ულმობლად გაძარცულ კედლებს“; ეკლესიები გადაკეთებული იყო მეჩეთებად. „მუეძინის ძახილი ბერთის საყდართან, — ამბობს აკადემიკოსი ნიკო მარი, — ახლა მე იმდენად სევდის მომგვრელი არ მეჩვენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების ახლანდელი უბადრუკი მდგომარეობა“ („მოგზაურობის დღიური“, გვ. 182). ისტორიის უკუღმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნიკო მარი „მოგზაურობის დღიურში“ ამბობს: „სევდის მომგვრელი იყო ოდესღაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი ღვიძლი შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მიისწრაფოდნენ მაღლა ტაძარში, რათა თავიანთი ლოცვა აღევლინათ ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერთის მშენებელთათვის. სევდის მომგვრელი იყო ამის დანახვა, სევდის მომგვრელი იყო ამის მოსმენა“.

ოშკის გუმბათქვეშა სვეტის დეკორის დეტალი

სურათი ნათელია. უაღრესად განვითარებული კულტურისა და აყვავებული ეკონომიური კეთილდღეობის ქვეყანა გაპარტახდა და „დღემდე გაყინულია გაველურებაში“. ამ ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახასიათა მისმა საუკეთესო მცოდნემ, აკადემიკოსმა ნიკო მარმა: „მალე (ქართველებისაგან მოწყვეტის შემდეგ) ამ მხარეში ჩაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვრების უკანასკნელი შუქი, და ახალი შუქი აღარ ამობრწყინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ადამიანი მოკვდა“ (ნიკო მარი, ბათუმი — არტაანი — ყარსი, გვ. 47).

მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები, რომელთა გულშიც ღვიოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს პატრიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მშობლიურ მეტყველებასა და მშობლიურ დამწერლობას. ერთეული როდი იყო იმის შემთხვევები, რომ

ისმებოდა მიტაცებულ ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღების საკითხი. მაგრამ ასეთ ცდებს სულთნის მთავრობა ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ლაზ ფაიკეფენდის, რომელმაც სცადა „გამოეგონებინა ჭანური (ლაზური) ანბანი: იგი გადაასახლეს და საპყრობილეში ჩასვეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და მთელი მისი ნაშრომები და წიგნები დასწვეს“ (ნიკო მარი, მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაბრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით, XX საუკუნის 20-იან წლებში, ბავშვებისთვის ქართული ენის სასწავლებლად ქართველ კათოლიკეთა კოლონიამ სტამბოლში სახელმძღვანელო გამოსცა. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ ძირშივე აღკვეთა ეს ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მოწმობს: სტამბოლში შევხვდი ერთ შუახნის ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და საქართველოში არასოდეს ყოფილა. მას თავისი მამისგან ესწავლა ქართული კითხვა და მოეხერხებინა რამდენიმე ქართული წიგნის წაკითხვა. მას აინტერესებდა საქართველო და მისი ისტორია და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში წამოსულიყო. მე სავსებით დავრწმუნდი მისი სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯიბიდან ამოიღო ქართული წიგნი, აკაკი წერეთლის „რჩეული ლექსები“. რამდენიმე ლექსი ზეპირად დაესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე, რომელიც ხალხთა მონობასა და ჩაგვრას ქადაგებდა, — საქართველოს, ჩვენის აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდება, რომ დაამტკიცოს თავისი შეურყეველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღიმაღლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ.

ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზროვნე კულტურული სამყაროსთვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა და ყველაზე უკეთესად თვით

იშხნის ტაძარი, გუმბათის მოხატულობა

თურქებისთვის, რომლებიც ასე უსახელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული ქვეყნების დიდი ომიდან კულტურისა და ჰუმანიზმის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არც იმდენად შორეულ წარსულში მომხდარა. თურქებმა ან მოსპეს, ან მშობლიური ადგილებიდან განდევნეს მთელი ხალხები. მაგრამ ქართველმა ხალხმა შეძლო არათუ შეენარჩუნებინა თავისი ფიზიკური არსებობა და სახელმწიფოებრიობა, არამედ კიდეც გაეგრძელებინა მრავალსაუკუნოვანი კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მოწყვეტილნი არიან საქართველოს. საქართველო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ამ პროვინციების მიღებით და კიდევაც უნდა მიიღოს ისინი.

პირადი ნივთები დიდი ილიას მუზეუმიდან

ილიას „ნაპლულევანება" ბანქოს თამაში ყოფილა...

ჟამთა სვლასთან ერთად სულ უფრო ძვირფასი ხდება ყველაფერი, რაც წმინდა ილია მართლის სახელს უკავშირდება. ყველაფერი, რაც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, რასაც ხელით შეხებია და მისი საკუთრება ყოფილა. ამჯერად გვინდა წარმოგიდგინოთ ილიასეული რამდენიმე ნივთი, რომელიც საგურამოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. თითოეული მათგანი განსაკუთრებული და ორიგინალურია.

პოლიფონი შვეიცარიული წარმოების მუსიკალური ინსტრუმენტია. გერმანელები მას მუსიკალურ საათსაც უწოდებენ. ეს პოლიფონი ილია ჭავჭავაძის მეგობარმა, პროფესორმა ილია ოქრომჭედლიშვილმა გერმანიაში შეიძინა და საჩუქრად გადასცა საქართველოს „უგვირგვინო მეფეს". პოლიფონი მექანიკურად იმართება და მელოდიებს გამოსცემს. ძალიან ჰყვარებია ამ პოლიფონის ჰანგების მოსმენა დიდ მწერალს.

მუზეუმში დიდი მოღვაწის რამდენიმე საათია დაცული. მათ შორის გამორჩეულია კედლის საათი-კალენდარი, რომელიც სპეციალისტთა დასკვნით პარიზშია დამზადებული. იგი ერთდროულად გვიჩვენებს როგორც დროს, ისე თვეს, რიცხვსა და დღეს. ფრანგული წარწერები ილიას თვითონვე შეუცვლია ქართულით და დღესაც ასეა წარმოდგენილი.

ილიას სიკვდილის შემდეგ მისი საოჯახო ნივთების დიდი ნაწილი ისევე გაიყიდა, რო-

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში

გორც ქართველ მოღვაწეთა მრავალი მემორიალური ნივთი იყიდებოდა მწერალთა საზოგადოების ხელმოკლეობის გამო. ეს საათი ცნობილ მეცნიერ კორნელი კეკელიძეს (რომელიც მაშინ ახალგაზრდა იყო) შეუძენია და მრავალი წლის განმავლობაში ოჯახში ინახავდა. საათის მუზეუმში დაბრუნება მხოლოდ 1965 წელს გახდა შესაძლებელი.

ილიას მუზეუმისთვის თითქოსდა შეუფერებელ ბანქოს სათამაშო მაგიდასთან ბევრი

პოლიფონი

ფრანგული წარმოების სიგარა



პოლიფონის დეტალი

თავადი, ბანკირი და მეფის მოხელე აზარტული თამაშით იქცევდა თავს. სტუმრებს არც მასპინძელი ჩამორჩებოდა, რომელმაც ეს მაგიდა თვითონვე ჩამოიტანა გერმანიიდან და ტიტანური შრომით დაღლილი, განსამუხტავად დიდი გატაცებით თამაშობდა დროდადრო ბანქოს. ამ ამბავმა ილიას სულიერ მოძღვრამდე მიაღწია თურმე. ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საკმაოდ კრიტიკული ყოფილა და ილიასთვის საყვედური უთქვამს.

— გთხოვთ მომიტევოთ, მეუფეო, გულახდილი გამჟღავნება და გულწრფელი აღსარება. ცოდო გამჟღავნებული სჯობიან. ჩემი ნაკლულევანება ეგ არის... მაგას ვერ მოვიშლი, თვეში ან ორ-სამ თვეში ერთხელ ვთამაშობ. ამის შემდეგ თითქო ვისვენებ და უფრო მუყაითად ვმუშაობო, — გამოსტყდომია ილია ეპისკოპოსს (ვასილ კარბელაშვილის მოგონებიდან).

იონა მეუნარგია თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ილიამ მთელი ღამე თურმე ბანქო ითამაშა რომელიღაც კლუბში და ათას ხუთასი მანეთი წააგო. გამთენიისას შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო, აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი თუმანიღა შერჩენოდა. ისიც მეეტლისთვის უჩუქებია. მას კი გაუფიქრია, წუხელ ალბათ ბევრი მოიგო, თორემ ამდენს არ გადამიხდიდაო და გახარებულმა მიაძახა თურმე, — ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებინოსო.

ილიას მუზეუმში ასევე ინახება ფრანგული წარმოების სიგარები. ილია ბევრს ეწეოდა. იგი ხომ დარდმა და ლექსმა თამბაქოსთან დააძმობილა. როგორც მისი თანამედროვე იაკობ მანსვეტაშვილი აღნიშნავს, „პირიდან განუგდებელი პაპიროსი“ მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. რა თქმა უნდა, მოჭარბებულმა თამბაქომ მის ჯანმრთელობაზე

კედლის საათი

ბანქოს სათამაშო მაგიდა

ჯოხ-სკამი

ნეგატიურად იმოქმედა. სიცოცხლის ბოლო წლებში ილია ასთმით დაავადდა.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა საკუთარ მამულში, სოფელ წინამძღვრიანთკარში, 1883 წელს პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დააარსა, სადაც გლეხის შვილები სწავლობდნენ და ქვეყნისთვის საჭირო პროფესიებს ეუფლებოდნენ. სკოლის გახსნაში დიდი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძემ.

მუზეუმში ინახება ჯოხ-სკამი, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეებმა დაამზადეს და ერთ-ერთ ილიაობა დღეს საჩუქრად გადასცეს ერის წინამძღოლს. ჯოხ-სკამი გასაშლელია. დიდი ილია მას ჯოხადაც იყენებდა და სკამადაც...

ნიკოლოზ დორეული

ვასილ დუმბაძე
მორგანთა ბანკის ფინანსისტი

ბუხული აზნაურის საოსური თავგადასავალი ჩესეთის იმპერიასა და აშშ-ში

ჟურნალ „ისტორიანის“ მესამე ნომერში დაბეჭდილ სტატიას მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის, ჯონ მორგანის შესახებ ვინც წაიკითხავდა, ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ მორგანთა იმპერიის წამყვან ფინანსისტთა შორის იყო ამერიკაში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი ვასილ დუმბაძე. ამ გასაოცარი კაცის, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი გმირის ერთ-ერთი პროტოტიპის რეაბილიტაცია რამდენიმე წერილში ვცადეთ, რადგან მის შესახებ საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი აზრი იყო გავრცელებული, განსაკუთრებით, გერონტი ქიქოძის მოგონებათა ფრაგმენტ „აფერისტი დუმბაძის“ გამოქვეყნების შემდეგ. ბოლო წლებში ქველი ჩხატარაიშვილის ნარკვევსა და ალეკო ასლანიშვილის ორ წერილში ვასო დუმბაძე ერთგვარად რეაბილიტირებულია. მისი ბიოგრაფია ნამდვილად იმსახურებს, რომ კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს. მით უმეტეს, მკვლევართა წერილებში ვასოს ემიგრანტულ მოღვაწეობაზე არაფერია მოთხრობილი, საიდანაც გასაგები ხდება, ვინ იყო დუმბაძე — საერთაშორისო რანგის აფერისტი და ავანტიურისტი, თუ პატრიოტი.

ვასილ დუმბაძე (მარჯვნივ) და სპირიდონ კედია

ვასილ (ვასო) დუმბაძე ოზურგეთის მაზრაში დაიბადა, სოფელ შემოქმედის მღვდლის, ცნობილი მგალობლის, დავით დუმბაძის ოჯახში. დუმბაძეებს ორი ვაჟის გარდა ცხრა ქალიშვილი ჰყავდათ. დავითის უფროსი ძმა, იმპერატორის ამალის წევრი, გენერალ-მაიორი ივანე დუმბაძე, იალტის ქალაქის თავად დანიშნეს. უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობდა ყირიმში, რომელსაც „დუმბაზიასაც“ უწოდებდნენ.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვასო გერმანიაში გაემგზავრა და სტუდენტობიდანვე მიიქცია ქართველი საზოგადოების ყურადღება. „ივერია“ 1904 წლის ივლისში წერდა, რომ ლაიფციგის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუდენტ ვასილ დუმბაძეს სამოას ეთნოგრაფიაზე წაუკითხავს რეფერატი და დამსწრეთა მოწონება დაუმსახურებია. მუზეუმის დირექტორს, პროფესორ ვოილეს უთხოვია ახალი რეფერატის წაკითხვა თემაზე: „ქართველები და სომხები“. ოქტომბერში დაიბეჭდა ცნობა, რომ ვასო ორ დისერტაციას ამზადებდა: „ქართველები — ეთნოგრაფიული მიმოხილვა“ და „ნავთის ინდუსტრია კავკასიაში და მისი ამერიკის ნავთთან შედარება“. თვით ვასოს იმავე წელს

გაზეთ „ცნობის ფურცელისთვის“ გამოუგზავნია სტატია „ფრიდრიხ რეტცელი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებაში“. როგორც ვხედავთ, თავისი სპეციალობის გარდა, ინტერესი გამოუჩენია ეთნოგრაფიისადმიც.

1906 წელს ვასომ დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. წიგნად გამოცემული მისი სადიპლომო ნაშრომი ბაქოს ნავთობსარეწებზე სოლიდური გამოკვლევაა, ვორონცოვის მამულებში დნეპრის ჭორომების ექსპლუატაციის გეგმა გამოირჩევა გრანდიოზულობითა და სითამამით, პეტროგრადის კანალიზაციის გეგმას უმაღლესმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კომისიამ „იდეალურად დამუშავებული“ უწოდა. მეცნიერებას რომ გაჰყოლოდა, დიდ წარმატებებს მიაღწევდა, მაგრამ ვასომ კომერციას მოჰკიდა ხელი და მალე იმდენად გაითქვა სახელი, რომ მორგანთა რუსეთ-ამერიკის ბანკის დამფუძნებელთა შორის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და აშშ-ში რუსეთის ელჩ ბახმეტევის გვერდით ისიც აღმოჩნდა.

გავლენიანი ბიძისა და მეგობრის მამის, კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის (რომლის მამულების მმართველიც ვასო იყო) წყალობით, იგი პეტერბურგის უმაღლეს წრეებში გაერია. მის პოპულარობას ხელს უწყობდა გარეგნობა, განათლება, მომხიბვლელობა, ავანტიურისტული ბუნება, ეკონომიკური ტალანტი, ფული და ევროპული ენების — გერმანულის, ინგლისურის, ფრანგულის ცოდნა. ვასო ყურადღებას იქცევს პატრიოტული საქმიანობითაც: პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ნიკო დადიანის მიერ შექმნილი ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების გამგეობის წევრი. საზოგადოება 20 ათასამდე დაჭრილს დაეხმარა სურსათით, ტანსაცმლით, ქართული წიგნებით, გაჭირვებულთა ოჯახებს — ფულით. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაშიც. ომის წინ აქტიურად თანამშრომლობდა გიორგი მაჩაბელთან, გიორგი შარვაშიძესა და სხვებთან ილია ჭავჭავაძის დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად — რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მისაღწევად, მაგრამ წიგნის გმირად და ცნობილ ავანტიურისტად იგი საიდუმლო დიპლომატიურმა საქმიანობამ და მსხვილ სამხედრო დაკვეთათა ხელში ჩაგდებამ აქცია.

ვასილ დუმბაძის მამა, სოფელ შემოქმედის მღვდელი დავით დუმბაძე უმცროს ძმასთან ერთად

სამხედრო წრეებს ვასო ომამდე დაუკავშირდა და სამხედრო შეკვეთებიც მიიღო. გაიცნო სამხედრო მინისტრ ვლადიმირ სუხომლინოვის ნდობით აღჭურვილი პირი. ალტშულერი, სუხომლინოვის ცოლის ბიძაშვილი, ინჟინერი და საქმოსანი ნიკალაი გოშკევიჩი, შემდეგ კი მინისტრის ახალგაზრდა ცოლი. 1914 წელს გამოსცა სუხომლინოვის აპოლოგეტური ბიოგრაფია და სამხედრო შეკვეთებმაც მისკენ იწყო დენა, საიდანაც სოლიდურ საკომისიოს იღებდა. მანვე მოაგვარა სამხედრო მინისტრისთვის მორგანთა ბანკის საშუალებით ამერიკაში 150 ავტომანქანის შეძენა.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ორ თავში, „ამბავი საიდუმლო ვალდებულობისა“ და „ამბავი უდიდეს სამხედრო საქმის გაიმასქნებისა“, მოთხრობილია პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ამბავი, რომელმაც საერთაშორისო სკანდალის სახე შეიძინა. რეზო გაბაშვილის მოგონებებში ჩამოთვლილია ამ

სამხედრო მინისტრი ვლადიმირ სუხომლინოვი

1914 წელს სუხომლინოვის აპოლოგეტური ბიოგრაფიის გამოცემის შემდეგ, სამხედრო შეკვეთებმა ვასო დუმბაძისკენ იწყო დენა

გრანდიოზული აქტის ოთხი მთავარი მონაწილე: გიორგი მაჩაბელი, ვასო დუმბაძე, რუსეთის სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი და მინისტრის ლამაზი ცოლი. ვის რა წილი ედო სკანდალში, სამხედრო ტრიბუნალმაც ვერ გაარკვია. საქმე კი ამგვარად წარიმართა: რუსეთის სამხედრო უწყებამ ამერიკაში 15 მილიონი ოქროს მანეთის ყუმბარების შეკვეთა, მინისტრის ცოლის წყალობით, ვასოს მიანდო. შვეიცარიაში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ აქტიურმა წევრმა, ვასოს ძველმა მეგობარმა გიორგი მაჩაბელმა დაარწმუნა დუმბაძე, რომ ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. მათ შეიმუშავეს მზაკვრული გეგმა და სხვა კალიბრის ჭურვები შეუკვეთეს, რომლებიც რუსულ ქვემეხებს არ მოერგო. დაიწყო კარპატებამდე მისული რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა.

კატასტროფამდე დუმბაძემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მისია შეასრულა.

დოკუმენტურადაა დასაბუთებული, რომ ნიკოლოზ II-მ სეპარატული ზავის დასადებად გერმანიაში ვასილ დუმბაძე გაგზავნა, როგორც გერმანიის მმართველ წრეებთან დაახლოებული პირი. 1915 წლის ზაფხულში, გერმანიაში ვასომ მეფისთვის შედგენილი, სამხედრო უწყების 1909-14 წლებში უმთავრეს ღონისძიებათა ჩამონათვალის 13-პუნქტიანი საიდუმლო დოკუმენტიც წაიღო. სტოკჰოლმში მას დახვდა გიორგი მაჩაბელი. ფონ ლუციუსმა იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა. საიდუმლო დოკუმენტის გადაცემის შემდეგ ორივე ქართველი ბერლინს გაემგზავრა. იქ მათ განსაკუთრებული პატივით შეხვდნენ. რუსეთში დაბრუნებულმა ვასომ 19-გვერდიანი მოხსენება წარადგინა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა: „კავკასიის საკითხი“ და „სამხედრო ტყვეები“. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ გერმანია მზად არის სეპარატული ზავისთვის და მისი ჩარევით შეუმსუბუქდათ მდგომარეობა სამხედრო ტყვეებს.

რუსეთში მისი დაბრუნება ჭურვების სკანდალს დაემთხვა. ჯილდოს ნაცვლად, საიდუმლო დოკუმენტების გერმანელებისთვის გადაცემის ბრალდებით, ვასო დააპატიმრეს. სკანდალს შეეწირა მინისტრის კარიერა, ვასო დუმბაძეს კი სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც ნიკოლოზ II-მ კატორღით შეუცვალა.

„კვაჭი გურული“

თებერვლის რევოლუციის შემდეგ სუხომლინოვ-დუმბაძის საქმე გადაისინჯა. სუხომლინოვს კატორღა მიუსაჯეს, საიდანაც იგი საზღვარგარეთ გაიქცა. დუმბაძე კი თავდებით გამოიხსნა გიორგი მაჩაბლის ძმამ, ილომ და თავის თეატრ „ბი-ბა-ბოსთან“ ერთად კიევში წაიყვანა. 1919 წლის ზაფხულში სამოქალაქო ომის ალში გახვეული კიევიდან ვასო ჯერ ოდესაში გაემგზავრა, შემდეგ — სტამბოლში, იქიდან კი ევროპაში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, ვასო დუმბაძეც ემიგრაციაში აღმოჩნდა.

1924 წელს ვასო ამერიკაში ჩავიდა. 1925 წელს ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები“, რომელმაც მიიპყრო არა მარტო ამერიკული საზოგადოების, არამედ ქართველ ემიგრანტთა ყურადღება და საფრანგეთში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ვასო ამერიკაში თავის წარმომადგენლად დანიშნა. ვასოც ენერგიულად შეუდგა საქმეს. საჭირო იყო საქართველოს ოკუპაციის საკითხის გახმაურება, რადგან ამერიკა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებულ ქვეყნად მიიჩნევდა. ვასოს თაოსნობითა და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისთვის“, რომელშიც მრავალი ცნობილი მოღვაწე გაერთიანდა. განთქმულ იურისტთა კომისიამ შეისწავლა საქართველოს წარსული, არსებული მდგომარეობა და დაადგინა მისი „დამოუკიდებლობის უდავო უფლება და ევროპაში გახიზნული დემოკრატიული მთავრობის კანონიერება“, — იუწყებოდა ჟურნალი „ბრძოლა“.

1926 წლის 10-11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატასა და სენატში ერთდროულად შეიტანეს წინადადება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნაზე ვირჯინიის დეპუტატმა კოპლენდმა და სენატორმა ვალტონ-მურმა. კონგრესმა დაადგინა, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისთვის გამოეყო თანხა, როცა ამას პრეზიდენტი მიიჩნევდა მიზანშეწონილად. საქართველოს საერთაშორისო უფლების, მისი დამოუკიდებლობის საკითხი და 11 მარტის რეზოლუცია კონგრესმა 1-2 აპრილს ხელახლა განიხილა. ჯონ სტიუარტისა და ჰენრი ობდაიკის გამოსვლების შემდეგ კონგრესმა ამ სხდომათა ოქმებით, 22 დანართით და 17 ფოტოთი, სახელმწიფო ხარჯით საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა. საქართველოს საკითხი მეორედ 1929 წლის 23 აპრილს დაისვა. სენატორმა კოპლენდმა მე-17 კონგრესის I სესიაზე კავკასიის ოთხ რესპუბლიკაში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია) დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი შეიტანა. „ბილი“ მოუწოდებდა ამერიკელ კანონმდებლებს, გამოესწორებინათ წინამორბედთა შეცდომა და დაედასტურებინათ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის უფლება. წინადადების მიღების შემდეგ ვასილ დუმბაძე საქართველოს წარმომადგენლად დამტკიცდა. იმავე 1929 წელს ცნობილი დიპლომატის, ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს უფლებე-

ნიკოლოზ II, მინისტრი სუხომლინოვი და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. 1914

1925 წელს ვასილ დუმბაძემ ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები“, რომელმაც მიიპყრო არა მარტო ამერიკული საზოგადოების, არამედ ქართველ ემიგრანტთა ყურადღება და საფრანგეთში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ვასო ამერიკაში თავის წარმომადგენლად დანიშნა. საჭირო იყო საქართველოს ოკუპაციის საკითხის განმარტება, რადგან ამერიკა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებულ ქვეყნად მიიჩნევდა.

ბის დაცვის კომიტეტი“, რასაც შედეგად ამერიკის კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა.

1933 წელს საფრანგეთმა ცნო საბჭოთა კავშირი, გაუქმდა საქართველოს მთავრობის ლეგაცია და შეწყდა საქართველოს მთავრობის, საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილება. დუმბაძემ საქართველოს საკითხის ახალარჩეული პრეზიდენტის, რუზველტის წინაშე წამოჭრა სცადა და წერილი მის მდივანს, მაკინტაირს გადასცა. მაკინტაირმა კი კონგრესის გამოცემულ წიგნში შესაბამისი ადგილები მოუნიშნა პრეზიდენტს. ვასო ემადლიერება კონსულ კოლუს, პრეზიდენტის მეგობარს, საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ედვინ ვალდმანს, 1926 წელს საქართველოს საკითხის კურატორ კელეის, ჰენრი ვილსონსა და სხვებს. საქართველოსთვის ამ ბრძოლაში ვასოს არ დაუზოგავს სახსრები და ენერგია. ამის შესახებ გიორგი მაჩაბელი სპირიდონ კედიას წერდა: „ვასომ აქ მართლაც დიდებულად იმუშავა, მაგრამ როგორც სათავეში ვუთხარ, ტყუილად ჩააბნია მთელი თავისი ქონება ამ მუშაობაში. არ იყო დრო და უკეთესი იქნებოდა ეს ფული რაიმე საქმეში მოეხმარა, ახლა მილიონერი იქნებოდა და ასჯერ უფრო მეტად შესძენდა თავის სამშობლოს საქმეს. არ დამიჯერა. მისი საქმეა, მაგრამ მაინც დიდი პატივის საცემია მისი თავდადებულება და მსხვერპლი სამშობლოს სამსახურისთვის“.

საქართველოს არაოფიციალური ელჩი აშშ-ში

ვასო შემდეგაც ცდილობდა საქართველოს საკითხით ამერიკის ხელისუფლების დაინტერესებას, მაგრამ ევროპაში მწიფდებოდა დიდი ომი და აშშ-ის ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა. ვასო კი დიდხანს ასრულებდა საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტებული ელჩის როლს ამერიკაში. ეს მით უფრო საშური იყო, რომ 1924 წლის აჯანყების დამარცხების, ევროპაში 1929-33 წლების ეკონომიკური კრიზისის — „დიდი დეპრესიისა“ და 1932 წელს იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობდა, ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა

უკან, მარჯვნივ — ვასო დუმბაძე

რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. 1931 წელს დაარსდა ნიუ-იორკის სათვისტომო, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი პავლე და თამარ კვარაცხელიებთან, ვანო კობახიძესა და გიორგი მაჩაბელთან ერთად ვასო დუმბაძეც გახლდათ. ვასო აქტიურად მონაწილეობდა სათვისტომოს საქმიანობაში, ფინანსურადაც ხშირად ეხმარებოდა, ოთხგზის იყო მისი თავმჯდომარე. ქართველთა შესაკავშირებლად ხშირად აწყობდა თავყრილობებსა და ნადიმებს. 1938 წელს ვასოს ინიციატივით აისლიპში შეიძინეს სათვისტომოს სახლი. ვასომ თავისი ხარჯით გაარემონტა, გააწყო ავეჯით, გააშენა ბაღ-ბოსტანი, რომელსაც კოსტა ხუნწარიას ცოლ-შვილთან ერთად უვლიდა. დუმბაძის დახმარებითა და თანადგომით ამერიკაში ჩავიდა და შესაბამის სტრუქტურებს დაუკავშირდა არაერთი ქართველი, რომელთაც შემდეგ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამერიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

მართალია, მას ამერიკაში ისეთი საკუთარი დიდი საქმე არ წამოუწყია, როგორიც გრიგოლ კობახიძესა და გიორგი მაჩაბელს, მაგრამ როგორც მორგანების ბანკის წამყვანი ფინანსისტი — მდიდარ ადამიანად ითვლებოდა. ამერიკაში ჩასვლის შემდეგ ვასომ შეირთო უმდიდრესი ქალი, რომელსაც წილი ჰქონდა ერთ-ერთ უდიდეს, დღეში რვამილიონიანი ტირაჟით გამომავალ გაზეთ „ჩიკაგო ტრიბიუნში“. საკუთარი მდგომარეობის, ცოლისა და გაზეთის წყალობით ვასო ყველა უწყებაში ადვილად ახერხებდა შეღწევასა და ქართველების დახმარებას. ეხმარებოდა ევროპაში მცხოვრებ ქართველებსაც, ახალგაზრდებისთვის კი ამერიკის უნივერსიტეტებიდან საცხოვრებლით, კვებითა და სტიპენდიით უზრუნველყოფილი ადგილები ჩაჰქონდა.

ვასო დუმბაძე გარდაიცვალა 1943 წელს ამერიკაში. მისი უმცროსი დის, ეკატერინეს ქალიშვილმა რუსუდან (ლულუ) ჩეჩელაშვილმა ვასოს ფოტოები მოგვაწოდა და გვიამბო, რომ კარგად ახსოვს 1943 წელს სოფელ შემოქმედში ვასილ დუმბაძის ანდერძი რომ მივიდა ფოსტით. „ჩაბარებაზე ჩვენებს ხელიც მოაწერინეს. მე თვითონ მაქვს წაკითხული. ვასომ იცოდა, რომ მამა ცოცხალი აღარ ჰყავდა, კომუნისტებმა საკუთარ სახლში მოკლეს. ანდერძი ასე იწყებოდა: „ჩემს ძვირფას ნენას! ჩემს ძვირფას დებს,

სპირიდონ და სოფიო კედიები, ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ვასო დუმბაძე

დისშვილებს, სიძეებს. ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება...“ ანდერძში დასახელებული იყო 27 მილიონი, მე ასე მახსოვს. ქველი ჩხატარაიშვილს მგონი 42 მილიონი უწერია. შემდეგ ეწერა, რომ თუ არავინაა ცოცხალი, იმ ფულით სკოლა ან საავადმყოფო უნდა აშენებულიყო. იცოდა, რომ აფთიაქი სოფელში უკვე იყო. ეს ანდერძი მერე მილიციის უფროსმა შალამბერიძემ წაიღო და დღემდე არ ვიცით, სად არის. როცა სუხიშვილები საზღვარგარეთ პირველად გავიდნენ, ნინო რამიშვილი, რომელიც დეიდასთან მეგობრობდა, ყვებოდა: „ამერიკას რომ ვათვალიერებდით, გიდმა ხელი გაიშვირა და გვითხრა, ეს არის თქვენი თანამემამულის, ვასო დუმბაძის ვილაო. შესვლით ვერ შევედით, მაგრამ ვინც ნამყოფი იყო, ამბობდნენ, რომ შესასვლელში, ფოიეში კიბის ერთ მხარეს ჩიხტიკოპსა და ქართულ კაბაში გამოწყობილი დედის სურათი ეკიდა, მეორე მხარეს — ანაფორაში შემოსილი მამის“.

ვასო დუმბაძე — ევროპულ-ამერიკულ უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში მიღებული ეს საოცარი ბიოგრაფიის კაცი ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დარჩენია. დასაფლავებულია ნიუ-იორკში. ვასო დუმბაძის მილიონები და ანდერძის მეორე დედანი კი ალბათ მორგანების ბანკში ინახება. იქ, სადაც წამყვან ფინანსისტად მუშაობდა.

რუსუდან დაუშვილი

არსებობდა თუ არა სინამდვილეში ტროას ცხენი?

ჰომეროსი ალინეჰა მიტენეილებისა და ხეთების ომი ბერძენთა და ტროელთა ომად

მსოფლიო ისტორიაში დღემდე განსჯის საგნად რჩება ძველი ბერძნული ისტორია ტროას ათწლიანი ალყის შესახებ. ამბავმა, რომელიც ბერძენმა პოეტმა ჰომეროსმა აღწერა, ისე მყარად გაიდგა ფესვი ადამიანთა ცნობიერებაში, რომ იგი დღემდე ყველა დროის უდიდეს გამოცანად რჩება. ეს მხოლოდ მითია, როგორც უწინ მიაჩნდათ, თუ როგორც ზოგი ფიქრობს, ახლა უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ რაც ჰომეროსმა დაწერა, სიმართლეა?

ტროას ადგილას დღეს ლეგენდარული ცხენის უზარმაზარი ასლი დგას. როგორც ჰომეროსი „ოდისეაში“ აღწერს, ბერძნებს გიგანტური ცხენის მეშვეობით სურდათ დაესრულებინათ ქალაქის ათწლიანი ალყა და ომში საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინათ. ამბავი მართლაც შთამბეჭდავია. ბერძენთა მშვენიერი დედოფალი ელენე ტროელთა უფლისწულმა პარისმა მოიტაცა და ტროაში წაიყვანა, სადაც მამამისი პრიამოსი მეფობდა. ბერძენთა მეფე აგამემნონი სათავეში ჩაუდგა ბერძენთა ფლოტს ტროას დასალაშქრად და მშვენიერი ელენეს დასაბრუნებლად. ქალაქის ალყა ათ წელიწადს გაგრძელდა და მასში როგორც ბერძენი (აიაქსი, აქილევსი), ასევე ტროელი (ჰექტორი) არაერთი გმირი მონაწილეობდა. ბერძნებმა რჩეული მეომრები ხის ცხენში ჩასხეს და ქალაქის კარიბჭის წინ დატოვეს, თვითონ კი ვითომ იქაურობას გაეცალნენ. წინასწარმეტყველი ქალის, კასანდრას (პრიამოსის ქალიშვილი) გაფრთხილების მიუხედავად, ტროელებმა ცხენი ქალაქში შეიტანეს. ღამით ცხენიდან მეომრები გამოვიდნენ, კარიბჭე გააღეს და ბერძნები ქალაქში შეუშვეს. მართლაც შესანიშნავი ისტორიაა, მაგრამ შეესაბამება კი ის სინამდვილეს?

ჰომეროსი იდუმალებით მოცული პიროვნებაა. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ კაც-

ზე ან იქნებ ქალზე. შემორჩენილია მხოლოდ მისი ორი ეპიკური პოემა „ილიადა“ და „ოდისეა“, რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. 730 წელს დაიწერა (თავად ამბები, რომლებიც მასშია მოთხრობილი, ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა თაობებს). პოემების გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვით რომაელებს, რომლებიც მოხიბლული იყვნენ ჰომეროსით. რომაელებს, რომელთაც მოგვიანებით ბერძნები დაამარცხეს, სჯეროდათ, რომ ტროას ომში გადარჩენილთა შთამომავლები იყვნენ, — იმათი, ვინც დაცემული ქალაქიდან გამოქცეულებმა, იტალიას შეაფარა თავი.

ტროას ომის ამბავი საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემოდა და არაერთხელ გამხდარა მეცნიერების შესწავლის საგანი. ერთხანს სწავლულები ერთსულოვნად ამტკიცებდნენ, რომ ეს ლეგენდა იყო.

მართალია, ჰომეროსმა დაწვრილებით აღწერა ტროა და მისი შემოგარენი, თანამედროვე მსოფლიოსთვის მაინც უცნობი იყო ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა. მეცნიერთა ვარაუდით, ქალაქი უნდა ყოფილიყო თანამედროვე თურქეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროზე, სადღაც დარდანელის სრუტის შესასვლელთან, მაგრამ სახელდობრ სად, ვერავის დაედგინა.

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის ქალაქის ადგილმდებარეობის შესაძლო ვარიანტად განიხილებოდა ჰისარლიყის ბორცვი (თურქეთში), მაგრამ არ არსებობდა ხელჩასაჭიდი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ზუსტ ადგილს მიაკვლიეს. 1871 წელს გერმანელმა მეწარმემ და მოყვარულმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა (1822-1890 წწ.) ჰისარლიყის ბორცვის გათხრა დაიწყო.

ჰომეროსის დიდი თაყვანისმცემელი შლიმანი, გარდა იმისა, რომ არქეოლოგიით იყო დაინტერესებული, მილიონერიც გახლდათ.

ბევრ რამეს, რაც მისი ვარაუდით, ტროას ომს არ უკავშირდებოდა, ყოფილი დიდვაჭარი უარყოფდა. ამიტომ მან მოპოვებულ მასალათა უმრავლესობა დაუდევრად გაანადგურა და კულტურული ფენებიც ძალიან დააზიანა.

ტროაში დღეს ლეგენდარული ცხენის უზარმაზარი ასლი დგას



ტროას არქეოლოგიური გათხრები

ტროას გათხრებისას ნაპოვნი ტეტრადრაქმა ელინურ ქალღმერთ ათინასა და მისი სიმბოლოს, ბუს გამოსახულებით



LITERATURE & HISTORY Chapter 29

SECTIONAL DIAGRAM SHOWING THE NINE SETTLEMENTS ON HISSARLIK

By a process of levelling the debris of earlier settlements and bringing up new material for their own buildings, successive of new inhabitants almost doubled the height of Hissarlik, at first only a rocky hump rising some sixty feet above the plain. This diagram shows how each stratum after the first completely enveloped all that preceded it. The Romans who formed the summit into a temple precinct sheared off the whole of the central portion of the important sixth stratum.

After Walter Leaf, "Troy, a Study in Homeric Geography"

wanted unless they had leaders of outstanding merit as statesmen and as warriors. Thus the Trojans were wise in their own generation and far-sighted for the future when they selected Hissarlik as their stronghold. They little dreamt that their citadel would ever become so powerful and so wealthy. Still less did they dream that Troy would be a household word to all the distant ages to come, and that it would owe its fame not to its riches or strength, but to the immortal music of the earliest and greatest of poets, 'the blind old bard of Scio's rocky isle.'

Thus in the problem of the importance of Troy we begin with an axiom, the geographical and other natural advantages of its site at Hissarlik. A postu-

Qualities of the Trojan race

Sea or indeed anywhere within the area naturally under Trojan influence, which we can best estimate by the list of Priam's allies in Homer. They extend from Lycia in the far south, all along the western littoral of Asia Minor, as far at least as Paphlagonia in the north. On the European side Priam's allies comprise the Thracian tribes on the north shore of the Aegean, as far as the Axius in Macedon.

Northern Thrace and the Black Sea area as a whole, though open to trade, no doubt highly profitable to Troy, were then 'barbarian' regions and unlikely to disturb the power of Troy at all seriously. Yet these very regions were apt to erupt from time to time and pour down into the Balkan peninsula, or across the straits into Asia Minor or farther east

პრესა ინტერესით აშუქებდა შლიმანის აღმოჩენებს

შლიმანს აღმოჩენების თაობაზე ბევრ სიცრუესაც სწამებდნენ და როგორც ამბობდნენ, უკანონოდ, მალულად გაჰქონდა ქვეყნიდან გათხრებისას ნაპოვნი ძვირფასი ნივთები. თუმცა მან მართლაც აღმოაჩინა ტროა და ამას ისტორიკოსებიც ადასტურებენ.

სინამდვილეში შლიმანმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე უბრალოდ აღმოჩენა იყო. ჰისარლიკი, როგორც მას თანამედროვე არქეოლოგები უწოდებენ, არის ბორცვი, რომელიც დასახლებათა რამდენიმე ფენისგან შედგებოდა.

შლიმანმა ცხრა ფენა აღმოაჩინა, რომელთაგან ყველაზე ძველი ძვ.წ. 3000 წლით თარიღდება. მეორე ფენაში შლიმანმა ტროას არსებობის ყველაზე მეტი ნივთმტკიცება იპოვა. მათ შორის სკივრი, განუზომელი ღირებულების ოქროს განძეულით, რომელიც მისი აზრით, ტროელთა მეფე პრიამოსს ეკუთვნოდა. მანვე იპოვა იმის მტკიცებულებაც, რომ მეორე ფენასაც იგივე ბედი ეწია, რაც ჰომეროსის ქალაქს, — იგი ერთიანად გაენადგურებინათ. ეს საკმარისი აღმოჩნდა შლიმანისთვის, რათა დაესკვნა, რომ მან სწორედ ტროა აღმოაჩინა.

შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შლიმანი მართალი გახლდათ, თუმცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის დეტალებში ცდებოდა. მეორე ფენა საკმაოდ პატარა იყო, უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნებოდა და საეჭვოა, ის ბერძნების მიერ ალყაში მოქცეული კოშკები ყოფილიყო.

შლიმანის შემდგომი არქეოლოგები ჰომეროსის პოემაში მოხსენიებულ ქალაქად მეშვიდე ფენას მიიჩნევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მისი ასაკი და ზომა ზუსტად შეესაბამებოდა იმ ეპოქას. თავდაპირველად მის განადგურებას მიწისძვრას მიაწერდნენ, მაგრამ ახლა ფიქრობენ, რომ ეს იმ ძლევამოსილი ლაშქრის ნამოქმედარი იყო, რომელმაც ქალაქი ალყაში მოაქცია.

შლიმანის აღმოჩენა აღიარეს. ცინიკოსები კი ქილიკობდნენ და კითხულობდნენ: თუ ჰისარლიკი ტროა იყო, მაშ სადღა იყო მისი მტრების ნაშთები? არ არსებობდა რამე სამხილი, გარდა ჰომეროსის მონათხრობისა, რომ ხალხი, რომელმაც ტროა დაარბია, ბერძნები იყვნენ. შლიმანმა, ჰომეროსის მონათხრობზე დაყრდნობით, აგამემნონის ქალაქის ადგილმდებარეობის დასადგენად გათხრები მიკენში დაიწყო და მიაღწია კიდეც წარმატებას. მან აღმოაჩინა კარგად გამაგრებული ცი-

ხესიმაგრე და მდიდრული სამეფო სამარხები. მოყვარული არქეოლოგი დარწმუნებული იყო, რომ ბერძენთა მეფის სასახლე იპოვა. მან სხვა ადგილებიც გათხარა და საფორტიფიკაციო ნაგებობებსა და ნეშტებს მიაგნო. შლიმანის აზრით, ეს სწორედ იმ მეომართა ნეშტები იყო, რომლებიც ხომალდებით მიადგნენ ტროას და ალყაში მოაქციეს. როგორც არქეოლოგები აცხადებენ, იმ დროისთვის გაბატონებული უარყოფითი აზრის მიუხედავად, შლიმანის თეორიები სწორი აღმოჩნდა.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონში წარმართულმა უამრავმა არქეოლოგიურმა გათხრამ ცხადყო, რომ ზღვაოსანი ხალხი საბერძნეთში დაახლოებით ძვ.წ. 1550 წელს გამოჩნდა.

მატერიკის დაპყრობის შემდეგ მიკენელები, როგორც მათ უწოდებდნენ, შეიჭრნენ კრეტაზე და დაეპატრონნენ მინოსის უდიდეს ცივილიზაციას, რომელიც ამ კუნძულზე არსებობდა. დაახლოებით ძვ. წ.1350 წელს მიკენელთა ძალაუფლება განუსაზღვრელად გაიზარდა. ისინი გაცხოველებულ ვაჭრობას მისდევდნენ და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონშიც იჭრებოდნენ.

ეს თარიღები იყო რეალური საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ მიკენელები და ჰომეროსის ბერძნები ერთი და იგივე ხალხი იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა ტროაში მიკენელთა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. როგორც ბევრს მიაჩნდა, ამის ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა თიხის ფირფიტებზე მიკენურ ენაზე შესრულებული წარწერების გაშიფვრა, რომელიც ხაზოვანი დამწერლობა B-ს სახელით არის ცნობილი. ეს კი, ეჭვგარეშეა, ბერძნული ენის ადრეულ ფორმას წარმოადგენდა. ფირფიტები გვამცნობს, რომ მიკენელები მებრძოლი მონათმფლობელები იყვნენ, რომლებსაც სწორედ ისეთივე გემები ჰყავდათ, როგორიც ჰომეროსმა აღწერა. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აგრეთვე მიკენელთა ბრინჯაოს საჭურველი და ტახის ეშვებისგან დამზადებული მუზარადი. მისი აღწერილობა ზედმიწევნით ემთხვევა „ილიადაში“ აღწერილს.

ახლა უფრო ნაკლებად საეჭვო ჩანდა, რომ მიკენელები და ბერძნები ერთი და იგივე ხალხი იყო. მართალია, უამრავი საბუთი არსებობდა ამ მოსაზრების განსამტკიცებლად, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ცდილობდა, დაეკნინებინა ჰომეროსის მონათხრობი და აცხადებდა, რომ ის ნაკლებად შეესაბამებოდა რეალურ



ჰაინრიხ შლიმანი

ტროას ნაშთები დღეს

ილიონის ციხესიმაგრე

ამბავს. მადლობა ღმერთს, უამრავი ნივთმტკიცებაა აღმოჩენილი. ისინი, ვისაც ეჭვი ეპარებოდათ, ცდებოდნენ.

გერმანელი არქეოლოგი, დოქტორი მანფრედ ოსმან კორფმანი, რომელიც 1988 წლიდან ინტენსიურ გათხრებს წარმართავდა ტროაში, დარწმუნებულია, რომ მიაკვლია საფუძვლიან მტკიცებულებას — ქალაქი გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეგონათ. კორფმანის აზრით, ქალაქი, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 10 ათას კაცს შეადგენდა, რაც იმ დროისთვის მართლაც შთამბეჭდავი ციფრი იყო, გვიანი ბრინჯაოს ხანის უმდიდრეს ცენტრს წარმოადგენდა, რისთვისაც ბრძოლა ღირდა. კორფმანის აზრით, ჰომეროსის ეპიკურ პოემებს აქვს, როგორც ის უწოდებს, „ისტორიული ფესვები“, თუმცა მისი აღმოჩენები დეტალებში განსხვავდება იმ აღწერილობისგან, რასაც ჰომეროსი იძლევა. მეცნიერი მიუთითებს საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლეზე, რომლებსაც ტროელები ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე აგებდნენ, რათა თავიანთ კონტროლქვეშ მოექციათ ეგეოსისა და შავ ზღვებს შორის გამავალი საზღვაო გზები. მეცნიერის აზრით, ტროელებს მრავალი ბრძოლის გადატანამ მოუწიათ და სწორედ ეს ომები დაედო საფუძვლად ჰომეროსის ეპიკურ პოემებს.

ზოგიერთი არქეოლოგი კორფმანის მოსაზრებას სადავოდ მიიჩნევს. ასევე სადავოდ მიაჩნიათ ხეთების კულტურის ცნობილ მკვლევართა, ფრენკ სტარკისა და დევიდ ჰოკინსის დასკვნები, რომლებიც ხეთების იმპერიის სამეფო ციტადელის არქივში ნაპოვნი მასალების საფუძველზე გაკეთდა.

ხეთების სახელმწიფო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა იყო ცენტრალურ ანატოლიაში (თურქეთი). მათ მაღალგანვითარებული ცივილიზაცია შექმნეს და ომის დროს დიპლომატიის გამოყენების ხელოვნებასაც ფლობდნენ. ჩანაწერებში, რომელიც ძვ.წ. XIII საუკუნეს განეკუთვნება, დეტალურად არის ასახული, როგორ საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ ხეთები მეზობელ ქვეყნებთან.

სტარკისა და ჰოკინსის მტკიცებით, ხეთების იმპერიის ჩრდილოეთ-დასავლეთით, დარდანელის სრუტის შესასვლელში, არსებობდა ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ვილუსა (Wilusa). თუ ამ სახელს წინა W-ს ჩამოვაცილებთ (ბერძნები ამ ასოს არ იყენებდნენ), მაშინ ილუსა ძალიან წააგავს ილუმს, იმავე ილიონს. ამ სახელითაც მოიხსენიებს ხოლმე ჰომეროსი ტროას. ხეთებმა იცოდნენ, რომ ვილუსას დასავლეთით ცხოვრობდნენ აქაველები (ასე უწოდებს ჰომეროსი ბერძნებს).

ხეთი იმპერატორები აქაველთა მეფეებს, როგორც თანასწორნი თანასწორებს, ოფიციალურ მიმოწერაში უწოდებდნენ „მეფე ძმას“.

სტარკსა და ჰოკინსს თავიანთი მოსაზრებების განსამტკიცებლად მაგალითად მოჰყავთ

ხეთების მეფე ხათუსილის წერილი, რომელიც მან აქაველთა მეფეს გაუგზავნა. ხათუსილი ტროას დაცემის პერიოდში მართავდა ხეთების სამეფოს. წერილში აღნიშნულია, რომ ომში, რომელიც ქალაქ ვილუსას გამო წამოიწყეს, შეთანხმებას მივაღწიეთო. ფირფიტებზე გადმოცემული ინფორმაცია მწირია, არაფერია ნახსენები იმის შესახებ, თუ რა იყო ომის დაწყების მიზეზი, რამდენ ხანს გრძელდებოდა კონფლიქტი ან როგორი იყო შეთანხმების პირობები. ხეთური ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ ჰომეროსმა მხოლოდ 500 წლის შემდეგ აღწერა ეს ისტორია.

გასაგებია, რომ ბერძნული და ხეთური ვერსიები ზედმიწევნით არ ემთხვევა ერთმანეთს. მიკენელებისთვის ეს დიდი გამარჯვება იყო, ხეთებს სულ კუდით ქვა ასროლინეს და ამიტომაც ამბები უფრო გაზვიადებულია. რაც შეეხება ხეთებს, ტროას ომი მათთვის მხოლოდ გამაღიზიანებელი ეპიზოდი შეიძლებოდა ყოფილიყო და ისიც მარჯვე იმპერიული დიპლომატიის მეშვეობით მოგვარდა.

ცხადია, რომ მართლაც არსებობდა ტროა და ომიც ნამდვილად მოხდა, შესაძლოა, არაერთიც, და მასში ჩართული იყვნენ ძველი ბერძნები. თანამედროვე გეოგრაფიული და გეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროა და მისი შემოგარენი ზედმიწევნით ზუსტია. ერთადერთი, რასაც ვერასოდეს გავიგებთ, არის ის, მართლა ათ წელიწადს გრძელდებოდა თუ არა ომი. ნამდვილად იმ მიზეზით დაიწყო ბრძოლა, როგორც ჰომეროსი აღწერს — როცა ღმერთებმა და ქალღმერთებმა სხვადასხვა მხარე დაიჭირეს — თუ ეს იყო ბრძოლა მხოლოდ კომერციული უპირატესობის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, ტროას ცხენის არსებობის იდეას მყარი საფუძველი აქვს, რომელიც ახლა ჩვენთვის ცნობილ მიკენელთა სამხედრო ტექნოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ძვ.წ. XIII საუკუნეში ომის დროს უკვე იყენებდნენ ხის საალყო კოშკურებსა და კედლის სანგრევ მორებს (იგივე ტარანი). ჰომეროსის პოეტური ენით გადმოცემულ ამბავში ის, რამაც ტროას კედელი შეანგრია და შიგ შესვლა გააადვილა, თავისუფლად შეიძლებოდა ხის ცხენი ყოფილიყო. ჰომეროსისთვის დამახასიათებელი იყო ამბის შელამაზებით გადმოცემა. ის უფრო პოეტი გახლდათ, ვიდრე ისტორიკოსი. სწორედ მისმა პოემებმა შემოინახა ტროაზე და ტროას ომების შესახებ ამბავი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

*მომზადებულია **National Geographic**-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით*

კადრი კინოფილმიდან „ტროა“

რუსტამი — ნაპოლეონის მამლუქი

ნაპოლეონის მამლუქის, რუსტამის სახელი ქართველი საზოგადოებისთვის საკმარისად ცნობილია, მაგრამ რუსტამის წარმომავლობის შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ რუსტამი თბილისელი და ქართველი იყო, მეორენი კი მას სომეხად მიიჩნევენ. რა ედო საფუძვლად ამ გაუგებრობას?

„რუსტამ რაზა“. ჟაკ ნიკოლა პაიო დე მონტაბერი, 1806

ნაპოლეონის მსახური კონსტანი თავის მემუარებში „ნაპოლეონის პირადი ცხოვრების აღწერა“, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსტამი დაიბადა თბილისში და წარმოშობით ქართველი იყო. იმავეს წერს რუსტამის ერთ-ერთ ბიოგრაფი ჰექტორ ფლეიშმანი წიგნში „რუსტამი — ნაპოლეონის მამლუქი“. რუსტამის ქართველობის ვერსიის მომხრეთა მთავარ ამოსავალ წერტილს, ცხადია, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ იგი თბილისში დაიბადა. ფრანგი ისტორიკოსი ჟან სავანი წიგნში „მამლუქები და ნაპოლეონი“ დასძენდა: „რუსტამს ქართველს უწოდებენ იმიტომ, რომ დაიბადა თბილისში“. თბილისში დაბადება, ბუნებრივია, არ ნიშნავდა მის ქართველობას.

რუსტამის ქართველობის ვერსიას, ცხადია, ფართო გამოძახილი ჰქონდა საქართველოში. ეს იდეა გვხვდება როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მიხეილ ჯავახიშვილი რომანში „არსენა მარაბდელი“ გამჭვირვალედ მიგვანიშნებს რუსტამის ქართველობას. არსენა წერილს უგზავნის რუსტამს, როგორც ტომით ქართველს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოსაზრების მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი გივი ჟორდანია გვევლინება. მისი აზრით, იგი იყო ქართველი როსტომ რაზმაძე.

უნდა ითქვას, რომ მტკიცების თვალსაზრისით რუსტამის ქართველობის ვერსია მოიკოჭლებს. თბილისში დაბადება სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ქართველი იყო. სასურველს შესაძლებლად ხომ არ მივიჩნევთ?

ამ საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთსულოვნება არ არსებობს და ამისთვის გვერდის ავლა, ალბათ, სწორი არ იქნებოდა. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ისტორიკოს ილია ტაბაღუას თვალსაზრისს. ჩანს, ის რუსტამის ქართველობის ვერსიას სკეპტიკურად უყურებდა. იგი არ უარყოფს, რომ რუსტამი თბილისელია, მაგრამ არ აკონკრეტებს, ქართველია თუ სომეხი.

არსებობს სხვა მოსაზრებაც. ფრანგ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი უფრო იმ აზრისკენ იხრება, რომ რუსტამი სომეხი უნდა იყოს. რას ემყარება მათი შეხედულება? რა არგუმენტაცია არსებობს რუსტამის სომხური წარმომავლობის სასარგებლოდ? ამ ვერსიის მომხრეები უმთავრესად ეყრდნობიან რუსტამის მემუარებს, რომელშიც იგი პირდაპირ ამბობს, რომ

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან" ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

9 - დან - 16 სექტემბრამდე

მალე გამოვა:

20 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
21 ნატო ვაჩნაძე
22 მეფე ერეკლე II
23 პეტრე მელიქიშვილი
24 გიორგი ბრწყინვალე
და სხვა დიდი ქართველები

წიგნის ფასი 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

დიმიტრი უზნაძე

შემდეგი
ქაქუცა ჩოლოყაშვილი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები
წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, № 9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18
შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

„საპატიო ორდენის ლეგიონის პირველი გადაცემა 1804 წლის 5 ივლისს“. ჟან-ბატისტ დებრე, 1812

სომეხია. მისი მამა იყო რაზა უნანი, ხოლო დედა – ბუდჩი ვარი. მისი ნამდვილი სახელია როსტომ რაზა. საფიქრებელია, რომ აქედან მოდის ვერსია, თითქოს ის იყო როსტომ რაზმაძე, რაც ერთობ ხელოვნურია. მშობლები ვაჭრები იყვნენ და ცხოვრობდნენ თბილისში. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ კონსტანს, თითქოსდა „რუსტამი წარჩინებულ ქართულ ოჯახს ეკუთვნოდა“.

უახლესი ქართული ისტორიოგრაფია უფრო იმ თვალსაზრისისკენ იხრება, რომ რუსტამი თბილისელი სომეხი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე ნაშრომში „ეგვიპტური კამპანია. ნაპოლეონი მამლუქების წინააღმდეგ“. ამ მოსაზრებას უჭერენ მხარს ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები. პროფესორი გოჩა ჯაფარიძეც ფიქრობს, რომ რუსტამი თბილისელი სომეხი იყო.

* * *

ნაპოლეონის მამლუქი რუსტამი დაიბადა 1780 წელს თბილისში. 11 წლისა იყო, როდესაც მოიტაცეს. 1794 თუ 1795 წელს გატაცებული ბიჭი იყიდა ერთმა ვაჭარმა ჩრდილოეთ კავკასიიდან. მცირე ხნის შემდეგ იგი მოხვდა კონსტანტინეპოლის მონათა ბაზარზე, სადაც მამლუქთა ერთ-ერთი თავკაცის, სალა-ბეის ნდობით აღჭურვილმა პირმა შეიძინა. ასე აღმოჩნდა რუსტამი ეგვიპტეში. 1799 წელს იგი უკვე შეიხ ელ-ბეკრის ამალაშია. როგორც ჩანს, ნაპოლეონს რუსტამი პირველად შეხვდა 1799 წლის 14 ივნისს. ეს მოხდა ქალაქ კაიროში. თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ელ-

ბეკრიმ ნაპოლეონს აჩუქა შავი არაბული ცხენი და რუსტამი. ნაპოლეონს სურდა, რომ მის ამალაშიც ყოფილიყო მამლუქი. ნაპოლეონმა რუსტამი თავის პირად დამცველად დანიშნა. ამის შემდეგ იგი ნაპოლეონს გვერდიდან აღარ მოსცილებია.

რუსტამი ნაპოლეონთან ერთად იბრძოდა, მონაწილეობდა სამხედრო აღლუმებში, საზეიმო ცერემონიალებში. ცხადია, ესწრებოდა ნაპოლეონის იმპერატორად კორონაციას 1804 წლის 2 დეკემბერს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ონორე ბალზაკმა მას „სახელგანთქმული მამლუქი“ უწოდა.

ნაპოლეონი პატივს სცემდა რუსტამს. მან მამლუქს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა. ყოველი სამხედრო ოპერაციის შემდეგაც გულუხვად აჯილდოებდა. ცნობილია ისიც, რომ 1806 წელს რუსტამის ქორწილის ხარჯები მთლიანად ნაპოლეონმა გაიღო.

რუსტამის მცდელობა, მოეძებნა თავისი მშობლები, უშედეგო აღმოჩნდა...

დადგა 1814 წელი. ნაპოლეონის ერთგული რუსტამი ამჯერად იმპერატორის მოღალატეთა შორის აღმოჩნდა. მართალია, შემდგომ შეეცადა შეცდომის გამოსწორებას, თუმცა ამაოდ დაშვრა. „ასი დღის“ დროს რუსტამმა ნაპოლეონს შესთავაზა თავისი სამსახური, მაგრამ ნაწყენმა იმპერატორმა ცივი უარით გაისტუმრა.

თეთრ ტერორს, რომელმაც იმსხვერპლა მიშელ ნეი და ბრუნი, რუსტამი როგორღაც გადაურჩა, მაგრამ ხელისუფლებაში დაბრუნებული ბურბონები მას ეჭვის თვალით უყურებდნენ. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ბურბონთა რესტავრაციის დროს რუსტამს პოლიცია მეთვალყურეობდა.

უახლესი ქართული ისტორიოგრაფია უფრო იმ თვალსაზრისისკენ იხრება, რომ რუსტამი თბილისელი სომეხი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე. ამ მოსაზრებას უჭერენ მხარს ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები. პროფესორი გოჩა ჯაფარიძეც ფიქრობს, რომ რუსტამი თბილისელი სომეხი იყო

1830 წლის რევოლუციის შემდეგ რუსტამი თავისი მეუღლის მამულში, დურდანში დასახლდა. რუსტამი კიდევ ერთხელ გაიხსენეს 1840 წლის 15 დეკემბერს, წმინდა ელენეს კუნძულიდან პარიზში ნაპოლეონის ნეშტის გადმოსვენებისას. იგი, ცხადია, ამ ისტორიულ ცერემონიალში მონაწილეობდა.

რუსტამი გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, 1845 წელს დურდანში და დაკრძალეს იქვე. ისტორიკოს ვარუჟან პოღოსიანს მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი. მის გარდაცვალებას გამოეხმაურა მხითარიანული კონგრეგაციის ჟურნალი, რომელიც გამოიცემოდა იტალიაში, ვენეციაში. სხვათა შორის, არსებობს ვერსია, რომ ამ ეკლესიის გადარჩენაში წვლილი რუსტამსაც მიუძღვის.

მერაბ კალანდაძე

„ტიფლისის ხედი“. ივან აივაზოვსკი, 1868

ლუდი

თრიალეთის ყორღანზე აღმოჩენილი ვერცხლის თასი

საქართველოს მთის წმინდა სასმელი

თრიალეთის ყორღანზე, გასული საუკუნის 30-იან წლებში აღმოჩენილმა ქართული ჭედური ხელოვნების შედევრმა, ვერცხლის თასმა მრავალკომპოზიციანი სიუჟეტით, ჩვენი შორეული წინაპრის თანაზიარობა ძველი აღმოსავლეთის მაღალ ხელოვნებასა და რელიგიასთან კიდევ ერთხელ დაადასტურა. თასზე შესრულებულია სარიტუალო მსვლელობა წმინდა სასმელით, ის ძვ.წ. XVIII-XVII საუკუნეების საკულტო და სამეურნეო ურთიერთობებზე მნიშვნელოვან მინიშნებებს შეიცავს.

ვერცხლის თრიალეთური თასი ე.წ. უნაკერო ნაკეთობაა, ჩარხზე ერთი მთლიანი ფურცლისგან არის დამზადებული და ამ მხრივაც უნიკალურია. ბრტყელძირა და მუცელფართო სასმისი ორ ნაწილადაა გაყოფილი. დაბალ ფრიზზე დედალ-მამალი ცხრა ფურირემი განაყოფიერების საერთო მინიშნებით ერთი მხრისკენ მიემართება. ზემოთ, მეორე ფრიზზე ოცდაორი ნიღბიანი მამაკაცია, ხელში მაღალი თასებით უფროსი ღვთაებისკენ მიმავალნი. მათ მოკლე ქულაჯები და ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვიათ — ხეთური ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული ფიგურების მსგავსად. ნიღბები ოსირისის დღესასწაულის წარმმართველ ქურუმთა ცხოველის ნიღბებს წააგავს. უფროსი ღვთაება საკარძელში ზის და მასაც ხელში მაღალი თასი უჭირავს. მის წინ დიდი ფეხიანი ჭურჭელია, ხოლო ჭურჭლის იქით და აქეთ სამსხვერპლო ცხოველები. ღვთაების უკან სიცოცხლის ხეა — ყველა დროის ხალხთა უნივერსალური სიმბოლო...

მეცნიერ-მკვლევართა უმეტესობა, ვინც თრიალეთის თასის სიუჟეტის ახსნას შეეცადა, მიიჩნევს, რომ ის ღვინისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ეს ბუნებრივია მეღვინეობის უძველესი ქვეყნისთვის, თუმცა ასევე შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ თასს არა მხოლოდ წმინდა სასმელად შერაცხილი ღვინით აღავსებდნენ, არამედ ლუდითაც, რომელიც ასევე წმინდა სასმელად მიიჩნეოდა უძველესი დროიდან და რომლის სამშობლოს ძიებას შუმერთა ქვეყანაში მივყავართ.

ძველი ქართული ტერმინი „ქაშქი“ აღნიშნავს ნადუღარი ქერის წვენს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ლუდი. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქართული „ქაშქ“ მიღებული უნდა იყოს შუმერული ტერმინისგან „ქაშ“, რომელიც შუმერში სხვადასხვა სახეობის ლუდის სახელწოდება იყო. იმ დროისთვის შუმერები თვრამეტი სახეობის ლუდს მაინც ხარშავდნენ.

ამ მოსაზრებათა სასარგებლოდ თრიალეთის თასის სიუჟეტი შესაძლოა შევადაროთ იზოლირებულ გარემოში — საქართველოს მთაში შემონახულ საწესო-სარიტუალო დღესასწაულებს.

უძველესი ხალხებიდან ლუდს შუმერების გარდა ხარშავდნენ ხეთები, ეგვიპტელები, ებრაელები, სპარსელები, ურარტუელები და მოგვიანებით სომხებიც. მალე სომხებში ლუდმა დეგრადაცია განიცადა, ხოლო ქართველებში პირიქით, მისი წარმოების კულტურა განმტკიცდა და მთიელთა საკულტო ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში უდიდესი ადგილი დაიჭირა.

დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ ლუდის სამშობლო ძველი ცივილი-

ლუდის სმა ლერწმის ღერებით. ძველი შუამდინარეთი

მთაში არა მარტო სარიტუალო დღესასწაულები, არამედ, ფაქტობრივად, ყველაფერი მნიშვნელოვანი ლუდს უკავშირდებოდა და ლუდით იყო განწმენდილ-გაპატიოსნებული — ვაჟიშვილის ძეობიდან დაწყებული, მოჩხუბარ-მოშუღართა შერიგებით დამთავრებული.

ზაციის აკვანი — შუამდინარეთია. ორიენტალისტმა სემიუელ კრამერმა შუმერში წერილობითი ძეგლის ნაშთებს მიაკვლია — მიწათმოქმედის, ანუ გლეხის კალენდარს, სადაც ვკითხულობთ: „როცა შენ მარცვლის ლეწვას შეუდგები, ხალხი მოამზადე, კალო კარგად მოასწორე, საზიდრები გამართე, პირი გაეხსნება მარცვალს და კვრით გაილეწება იგი, რასაც ხუთი დღე მოუნდები, შემდეგ კი გამოაცხვე კვერები“. ეს ტექსტი ორი გლეხის საუბარს ჰგავს. ლუდზე ტექსტში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, თუმცა ჰამურაბის დროინდელ ბაბილონურ საბეჭდავზე ასახულია ლუდის გამოყენების ცერემონიალი, რომელიც საღმრთო სასმელის ზიარების რიტუალს უნდა გამოხატავდეს.

თუში დეკანოზი სალუდე ქვაბთან

ამ მოსაზრებისკენ გვიბიძგებს ერთ-ერთი ხეთური საბეჭდავის შედარება თრიალეთის თასთან. აქაც ერთი ფიგურა საგანგებო სკამზე ზის, იქვეა საკრალური ცხოველი, სიცოცხლის ხეთა სქემატური ვარიანტები და დიდი ჭურჭელი, რომლიდანაც ლერწმის ღეროებით მიირთმევენ ლუდს დიდი და მცირე ღვთაებანი. ვფიქრობ, ამ ორი სიუჟეტის შედარებაც ადასტურებს ძველი შუამდინარეთისა და კავკასიის ხალხთა ეთნოკულტურულ ნათესაობას.

ძვ.წ. III ათასწლეულის დამდეგიდან ეგვიპტეში ლუდის წარმოება უკვე ეჭვმიუტანლად დასტურდება. ამ საქმეში პრიორიტეტი ქალებს მოუპოვებიათ.

„ჰამურაბის კანონებში“ ლუდს საგანგებო ადგილი აქვს მიჩენილი. სასჯელის უმაღლესი ზომა იყო გათვალისწინებული მელუდისთვის, რომელიც სასმელის ფალსიფიცირებას შეეცდებოდა.

* * *

საჟურნალო სტატია საშუალებას არ გვაძლევს ვრცლად მიმოვიხილოთ ის არგუმენტები, რომლითაც დგინდება, ვისგან უნდა გადმოეღოთ ქართველებს ლუდის წარმოების ტრადიცია. ყველა გზა ძველი აღმოსავლეთისკენ მიდის და ქართული ლუდის გენეზისის უძველესობას ადასტურებს. რატომ შემოინახა მთამ ლუდის მოხმარების ჩვევა და არა ბარმა, ეს უბრალო მიზეზით აიხსნება: საქართველოში უმთავრესი ყურადღება გადატანილი იყო ბარის მევენახეობა-მეღვინეობაზე. სხვათა შორის, ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებაც იმ ტერიტორიას, სადაც ვაზი ხარობს, ბარად მიიჩნევს, ხოლო სადაც არა — მთად.

კახეთში ხევსურებს, არცთუ იშვიათად, ხატის მამულები გააჩნდათ. იქ კახელებს ღვინოს აყენებინებდნენ და დიდი ხატობისას ხევსურეთში აჰქონდათ. მაგრამ ამას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. მთიელები: ხევსურები, თუშები, მოხევეები და ფშაველები ძირითადად თავიანთი გამოხდილი ლუდით დღესას-

წაულობდნენ. დღესასწაული კი გაგიხარია, საკმარისად იყო...

ლუდის გამოხდის ტრადიცია საქართველოში დღეს ყველაზე კარგად დაცულია ხევსურეთსა და განსაკურებით თუშეთში. მას აქვს სეზონური ხასიათი და დაკანონებული ვალდებულებები: თუ თუშს შულტობა (იგივე დეკანოზობა, აქ კი რიტუალის ხელმძღვანელობა) მოუწევს, იგი ვალდებულია ავიდეს სალოცავში, ლუდი მოადუღოს და სადღესასწაულოდ მისულთ უმასპინძლოს.

ხევსურეთსა და ფშავში გავრცელებული იყო ხატისადმი მამულის შეწირვის წესი. შემწირველი, ერთ-ერთი დღეობის დროს თავისი მამულიდან წამოიღებდა ერთ მუჭა მიწას და საკლავსაც მიუმატებდა. საკლავს დაკლავდნენ, შემომწირავი მიწას ხატის ეზოში მოაბნევდა და დაილოცებოდა. ამის შემდეგ ეს კაცი მამულზე ხელს იღებდა და იგი უკვე ხატის საკუთრებად ითვლებოდა.

პირიქითა ხევსურეთში გადაიხდებოდა დღეობები „საბურდუხაო“ და „საიმედურო“. ამ სახელის მატარებელნი იყვნენ ოჯახები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ამოწყდნენ და მათი მიწა ხატისად იქცა. სანაცვლოდ, ჯვარში მათ სულებს იხსენიებდნენ: მათ მამულებზე მოწეული ქერიდან საგანგებოდ გამოიხდებოდა ლუდი. დანიშნულ საღამოს ხუცეს-დასტურნი ლუდიან კოდთან დადგამდნენ ტაბლებს, აანთებდნენ სანთლებს, ამოიღებდნენ თასით ლუდს და ხუცესი შეუდგებოდა „სულის ხუცობას“, ანუ მამულის გარდაცვლილ პატრონთა მოსახსენებელს, რის შემდეგაც ყველა იქ დამსწრე, მორიგეობით ახსენებდა გარდაცვლილს და შესვამდა ლუდს.

ხატის მამულზე მოწეული ხორბლეული წმინდად ითვლებოდა. თუ ხატს საკუთარი ბეღელი ჰქონდა, მოსავალიც იქ ინახებოდა, თუ არადა, რომელიმე გამორჩეული სახლის ჭერხოში. ამ ხორბლეულის მოპარვა, მითვისება ან რამე ფორმით განიავება ყოვლად დაუშვებელი იყო. სახატე ხორბლის ძირითადი ნაწილით ხდიდნენ ლუდს, უპირველეს სარიტუალო სასმელს ყველა დღესასწაულისას. უმისოდ დალოცვაც ვერ ითქმებოდა.

ხატის მიწას იმ გათვლით ამუშავებდნენ, რომ რიტუალისთვის სალუდე მასალა საკმარისი ჰქონოდათ. თუ ხატი უმამულო იყო, მაშინ ხევისბერი მოუწოდებდა ხალხს და ამათ უნდა მიეტანათ ხატში თავისი წილი სალუდე ფორი, შეშა, წყალი და სხვ.

საზარე

საკოდე

სასმისები

სახუცო კოჭობი

სალოცავში სხვადასხვა სარიტუალო დარბაზისა და სადგომის გვერდითაა სალუდე ნაგებობა: სიპი ქვისგან აგებული, ზოგან ორფერდა, ზოგან კი ბანური — სიპებითვე გადახურული. სალუდე-საქვაბეს აქვს ერთი შესასვლელი, საიდანაც შუქიც შედის. საქვაბეში გამართულია სპილენძის ორი დიდი ქვაბი. ქვაბს შემოწყობილი აქვს სიპი ქვები, იგი ჩაშენებულია და უძრავადაა, ამიტომ მის გამოსარეცხად შიგ ჩადიან და საგულდაგულოდ ხეხენ. ზოგან ქვაბი დიდი რკინის ჯაჭვით მსხვილ ძელზეა ჩამოკიდებული, მაგრამ გვერდებიდან მასაც ქვებით ამაგრებდნენ. ქვაბის ძირში შეშისთვის ადგილია დატოვებული. სადღეობო ლუდის სახარში ქვაბების ტევადობა 300-დან 700 ლიტრამდეა!

ზოგან ცალკეა და ზოგან სალუდეშივე საკოდე, სადაც ინახება ლუდის ჭურჭელი — ხისგან გამოთლილი სხვადასხვა ზომის კოდები, ქვაბები, ჩხუტები, ხის დიდი კოვზები, ლათბა ანუ გეჯა, რომელშიც ლუდი უნდა გაიწუროს და სხვ.

ხატის ყანებში მოწეული მარცვლეული ინახება ხატისვე ბეღელში, სადაც სხვადასხვა სათავსში იყრება დახარისხებული მარცვლეული როგორც ლუდის, ასევე ქადა-ხმიადებისთვის. ლუდს მთიელები ხდიან როგორც სარიტუალოდ, ასევე ოჯახისთვისაც.

ქართველი მთიელები ლუდს ძირითადად ქერისგან ადუღებდნენ. გამოხდისთვის უპირველესია ალაოს, ანუ ფორის მომზადება. ეს გულისხმობს ქერის მარცვლის დალბობას, დაღვივებას, გახმობასა და დაფქვას. გამხმარი ქერი წისქვილში მსხვილად დაიროშება, ტომრებში ჩაიყრება და ბნელ ადგილას შეინახება. ლუდის დუღებისთვის სამზადისი დღესასწაულამდე შვიდი-რვა დღით ადრე იწყება, რასაც ხევსურეთში „ქვაბების დაყრას“ უწოდებენ, თუშეთში კი „ქვაბების შეკიდებას“. საუკეთესო პროპორციად მიიჩნევა ერთ საწყაო ფორის ფქვილზე ერთი საწყაო წყალი. თუმცა კი ხშირად ერთ წილ ფორს ორ წილ წყალს ასხამენ.

* * *

შერეულ მასას სალუდე ქვაბში განუწყვეტლივ ურევენ ჯოხით. მას ბოლოზე რკინის თხელი ფირფიტა აქვს დამაგრებული, მორევისას რომ სიმტკიცე ჰქონდეს. როცა წყალი და ფორი კარგად აირევა, ცეცხლს აანთებენ. ქერისა და წყლის ნაზავს გამუდმებით ურევენ, რათა ფქვილი არ შეიკოლტოს. ცეცხლიც ზომიერი უნდა იყოს, მასა რომ ნელ-ნელა ადუღდეს. ამას ყველაფერს აკონტროლებენ დასტურები. როცა მასა ადუღებისკენ წავა, „შეიბუჟღება“, მოიმატებს და თუ ადუღდა, ქვაბიდან გადმოსვლასაც დაიწყებს... სანამ ეს მოხდება, ლუდის მდუღებელი ამ ქაფიან მასას დიდი ხის კოვზით, ე.წ. კოშით მოხსნის და სხვა ქვაბში გადაიტანს. როცა ქაფი მთლიანად მოეხდება, ქერის წვენის მოთუხთუხე ზედაპირი გამოჩნდება, რითაც ზომიერი დუღილის პროცესი იწყება.

სალუდე მასა, როგორც წესი, დუღილისას ჯერ იმატებს და რომ არ დაიღვაროს, ზემოთა ნაწილი ცალკე ქვაბში გადააქვთ, შემდეგ რომ ისევ დაუმატონ. როცა მთლიანი მასა სასურველ დონემდე დავა, ხარშვა უნდა დასრულდეს. ქვაბს ცეცხლს გამოუნელებენ და წვენსაც გემოს გაუსინჯავენ. იგი მოტკბო, სქელი და წებოვანი უნდა იყოს.

ქვაბს ადროვებენ, რომ ნახარშის უხეშმა მასამ ძირზე დაიწყოს დალექვა. ზედა ნაწილი მალე ისე გაიწმინდება, რომ გაწურვა არც სჭირდება და პირდაპირ გადაიღებენ სხვა ჭურჭელში. ტკბილის მდვრიე ნაწილს კი წურავენ ძელზე ჩამოკიდებულ თხის მატყლის ტომრებში, რომლებიდანაც გაწურულ-გაფილტრული წვენი ხის ან სპილენძის გეჯაში — ლათბიში უნდა ჩავიდეს. თავდაპირველად წვენი თავისით გადმოდის, მაგრამ დარჩენილი სქელი მასა უკვე უნდა გამოიწუროს...

დადუღებულ და გაწურულ ტკბილს (სისწვენი, ზისწვენი) ჩაასხამენ ხელახლა გასუფთავებულ ლუდის ქვაბში და სვეს (სვიას) დაყრიან.

ხატის დროშები

სვია უძველესი დროიდან ხარობდა საქართველოში, მაგრამ მთაში ის ძალიან ცოტაა. ხევსურები და ფშაველები მას ყიდულობდნენ ან ნატურალურ საქონელზე ცვლიდნენ. ძირითადად ქართლიდან, კახეთსა და ჩრდილოეთი კავკასიიდანაც კი მიჰქონდათ და კარგად გამოშშრალს ინახავდნენ. ლუდი საუკეთესო მაშინ გამოვა, თუკი სვია ფორის

რაოდენობის ნახევარი მაინც დაეყრება. ასეთი პროპორცია ლუდს „სიმწარესა და დათრობას“ სძენს.

ქვაბებში ტკბილსა და სვიას კვლავ ადუღებენ, სანამ არ მოიხარშება და მზად არ იქნება საფუებლად. ლუდის გამოხდისას ფუება ყველაზე მნიშვნელოვანია — იმდენად, რომ აქამდე ჩამოთვლილ პროცედურებში ძირითადად დასტურები და შულტები მონაწილეობენ, სვიის ფუებას ხევისბერი წარმართავს. აქ უკვე შემოდის ერთგვარი მისტერიული სულისკვეთება, იმის აშკარა გამოხატულებით, რომ ფუება შეუძლია მხოლოდ იმ კაცს, ვინც ღმერთსა და ხალხს შორის შუამავალია. აქედან იკვეთება ლუდის, როგორც სარიტუალო სასმელის ხასიათი.

საფუვრად გამოიყენება ადრე მოდუღებული ლუდის ქაფი (ხევსურულად ჭიჭი, ფშაურად ჩამა, თუშურად წვერის თხლე). ხევისბერმა გამოცდილებით იცის, რა ტევადობის კოდს რამდენი საფუარი მოუნდება. საფუვრის სისწვენში შერევას ფშავ-ხევსურნი „შაყრას“ უწოდებენ.

მესაფუვრე ხევისბერი ყოველი კოდის ასადუღებლად გამზადებისას უნდა განიბანოს — ლუდი სარიტუალო სასმელია, ამიტომ ლუდის გამომხდელი სუფთა უნდა იყოს სხეულითაც და სულითაც.

საფუარმიცემულ კოდებს სუფთა ფარდაგებს მჭიდროდ გადააკრავენ. ფუილი, ანუ ლუდის დუღილი ზამთარში ექვს-შვიდ დღეს გრძელდება, ზაფხულში კი ორი-სამი დღეც ჰყოფნის. კარგად ნადუღარ ლუდს ჭიჭი-ქაფი ზემოდან ადევს თხლად, ხოლო თუ კარგად ვერაა ნაფუები და დაწმენდილი, იმით მიხვდებიან, რომ ქაფი მაღლაა წამოსული და ლუდი — ამღვრეული. ასეთ შემთხვევაში კოდიდან ერთ ჩხუტ ლუდს ამოიღებენ, გააცხელებენ, უკანვე ჩააბრუნებენ და ერთი დღეღამის განმავლობაში ფუება უნდა დასრულდეს, ამის შემდეგ ლუდი უნდა დადგეს და კოდებიც გაიხსნება.

ხევისბერნი და დასტურნი ადიდებენ და ლოცავენ ლუდიან კოდს. მოაშორებენ ქაფს, ლუდს ვერცხლის სახუცო თასით ამოიღებენ და კოდთან დადგამენ. რამდენიმე სანთელს ერთად გადაახვევენ და კოდზე დააკრავენ. პატარა სანთლებს ვერცხლის ლუდიან თასს მიაკრავენ და ხევისბერი დაიწყებს მთავარმოწამის დიდებას. ლოცვის შემდეგ ლუდს მოსვამს,

მერე წრეში დაატრიალებს და საბოლოოდ მასთან მისულს თავადვე გამოცლის.

ახალდადუღებული ლუდი საუკეთესო გემოვნებით გამოირჩევა. მთიელმა კარგად იცის ლუდის ფასი. მისი ცხოვრების ბედნიერი დღეები სწორედ ლუდს უკავშირდება. ერთი მისი ნატვრა ლუდის გამოულევლობაცაა: „დგომაც ქნა შავის ლუდისა, გათავდის — წესიმც არ იყვა“.

მთაში არა მარტო სარიტუალო დღესასწაულები, არამედ, ფაქტობრივად, ყველაფერი მნიშვნელოვანი ლუდს უკავშირდებოდა და ლუდით იყო განწმენდილ-გაპატიოსნებული — ვაჟიშვილის ძეობიდან დაწყებული, მოჩხუბარ-მოშუღართა შერიგებით დამთავრებული.

* * *

თითქოს აღარ იყო იმედი, რომ ქართველი მთიელი სალოცავში ზარებს დააჟღარუნებდა, სალუდეში ქვაბებს „დაყრიდა“, კოდებს დაავსებდა და ღვთის სადიდებელს წარმოთქვამდა, მაგრამ გადაიარეს ღვარცოფიანმა ქარიშხლებმა და ბარში ჩასუდრულმა თუშმა და ხევსურმა, ფშაველმა და მოხევემ თავისი სალოცავები გაიხსენა, აღარ დააყენა სახლში ლაშარის ჯვარის ჩვენებამ, აიკიდა მცირე ბარგი და კვლავ გაახმიანა შამბში ჩაყურსული ნასახლარები, სალუდეები, საკოდეები და დიდი სალოცავები.

მოვა თუ არა ათენგენობა-ათნიგენობების დღესასწაულები, ბარელები შეამზადებენ სურსათ-სანოვაგეს და მამა-პაპათა სალოცავებში გასწევენ. ვინ ცხენით, ვინ ხარ-ურმითა და ვინ მანქანებით...

სადღეობო სუფრებზე ღვინოც ბლომად ჩანს, მაგრამ ყველანი მოუთმენლად ელოდებიან „მშობლიურ“ ლუდს, რომელსაც კეტგაყრილი დიდი ქვაბებით გამოიტანენ ახალგაზრდები. ხევისბერი მოკრძალებით შეამზადებს სახუცო კოჭობს, აუვსებენ უკვე ნაკურთხი ლუდით, ისიც ხატსა და ჯვარს თავს დაუდრეკს, დაამწყალობებს, კიდევ ერთხელ მოიხსენიებს სალოცავებს: კოპალას, იახსარს, ლაშარს, ჭიხალეს, წმინდა გიორგის, მთავარანგელოზს, დედა მარიამს... მერე სახუცო კოჭობს მაღლა ასწევს, ჯვარიონს ხატობას მიულოცავს და იწყება ხალხური დღესასწაულის ზეიმური დინება, სადაც სიუხვე, სიყვარული და ერთიანობის უძვირფასესი განცდაა...

ელდარ ნადირაძე

ხატი

ლუდის ხარშვა

სარიტუალო ლუდის თასი

ᲘᲝᲑᲝᲘ ᲑᲐᲥᲘᲜᲔᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲓ ᲣᲓᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐ...

უდიები (უტიები) სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ძველი, მკვიდრი ეთნოსია. ცხოვრობენ აზერბაიჯანსა (სოფლები ვართაშენი, ახლანდელი ოღუზი და ნიჯი) და საქართველოში (ყვარლის რაიონის სოფელი ზინობიანი). საქართველოში უდიები 1920-1922 წლებში ვართაშენიდან გადმოსახლდნენ. სოფლის თავკაცმა ზინობი სილიკაშვილმა თანამემამულები სისხლიან დაპირისპირებას გამოარიდა. მათ მშვიდობიანი თავშესაფარი საქართველოში იპოვეს: აზერბაიჯანის მოსაზღვრე საქართველოს ყვარლის რაიონში დასახლდნენ. უდიებს აქ მუხნარი ტყე გაუკაფავთ და ახალი სოფელი — ზინობიანი დაუარსებიათ. უდიები დღეს ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქსა და კრასნოდარის მხარეში. აქ უდიელთა მიგრაცია ძირითადად 1980-იან წლებში მოხდა.

უდი მამაკაცი სოფელ ნიჯიდან (აზერბაიჯანი). მაქს ტილკეს ნახატი

უდი ქალი სოფელ ნიჯიდან (აზერბაიჯანი). მაქს ტილკეს ნახატი

დღეს უდიების რაოდენობა 7-დან 8 ათასამდეა. უდიების დაახლოებით 80% აზერბაიჯანში, სოფელ ნიჯში ცხოვრობს (5400 კაცი ნიჯში და 700 — ვართაშენში. უკანასკნელი მონაცემებით, ვართაშენში, ანუ ოღუზში მხოლოდ 100-მდე უდიელი დარჩა). საქართველოში, სოფელ ზინობიანში კი უდიების რაოდენობა დაახლოებით 300 კაცს შეადგენს. 1989 წელს რუსეთის ფედერაციაში 1,1 ათასი უდიელი იყო აღრიცხული.

1886 წლის საოჯახო სიებით, აზერბაიჯანში (ნუხის მაზრაში) უდიები 7201 სულს შეადგენდნენ. XIX საუკუნეში უდიები, ნიჯს გარდა, ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფელ მელიკში (198 სული), ყაზახის მაზრის სოფელ ყირზენეში (160 სული). ყირზენის მკვიდრი უდიები გვიან გასომხებულან. ყირზენის მოსახლეობა 1886 წელს უდიებად იყო ჩაწერილი, 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარი“ კი მათ სომხებად მოიხსენიებს. დასავლეთ აზერბაიჯანში არცთუ დიდი ხნის წინ სხვადასხვა სოფელში იყვნენ მოხუცები, რომლებმაც უდიური იცოდნენ.

უდიური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ენაა. უდიები კავკასიის ალბანელთა შთამომავლები არიან. მიიჩნევენ, რომ დღევანდელ აზერბაიჯანელებში უფრო მეტნი არიან ძველ ალბანელთა ფიზიკური მემკვიდრეები, ვიდრე თურქული წარმოშობისანი.

უდიები ქრისტიანები არიან. სოფელ ვართაშენისა და საქართველოს მკვიდრი უდიები მართლმადიდებლობას მისდევენ, ნიჯელები — მონოფიზიტობას. ნიჯელი უდიებიც თავის დროზე მართლმადიდებლები იყვნენ და სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობა გვიან მიიღეს, რამაც მათი იდენტურობის შენარჩუნება განაპირობა. XIX საუკუნეში უდიებში შემონახული იყო გადმოცემა XV საუკუნის ქართველი მქადაგებლის — იოანეს მოღვაწეობის შესახებ. სოფელ ვართაშენში 1822 წელს უდიებმა წმინდა ელისეს მართლმადიდებლური ეკლესია ააგეს (წმინდა ელისე II საუკუნეში ალბანეთში, უტიკის ტერიტორიაზე — ქრისტიანობას ქადაგებდა).

V საუკუნის ბოლოს ალბანეთის ეკლესიას თავისი არქიეპისკოპოსი ჰყავდა, რომლის რეზიდენციაც ქალაქ პარტავში (ბარდავში) იყო. VIII საუკუნის დასაწყისში ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა; ის სომხურმა ეკლესიამ დაიქვემდებარა. უდიელთა ზო-

უდიელთა ყველა გვარს თავისი სალოცავი („ჯილისა“) ჰქონდა. **სანდრო შანიძის ფოტოები**

გიერთი ჯგუფი მართლმადიდებლობას მისდევდა, რამაც მათ გასომხებისგან თავის დაღწევის საშუალება მისცა. უდიელთა შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებიც. ვართაშენთან წმინდა გიორგის სალოცავთან ლოცულობდნენ როგორც მართლმადიდებლები, ისე გრიგორიანელები. ფერიცვალების დღესასწაულზე ვართაშნელი გოგონები კრეფდნენ ხილს და მინდვრის ბალახებისაგან ჯვრებს წნავდნენ. განთიადისას ხილი, რომელზედაც ყვავილების ჯვარი იდო, ნაცნობებსა და ნათესავებთან მიჰქონდათ.

ალბანელთა შორის წამყვანი იყო ოთხი ეთნოგრაფიული ერთეული (უტიები, გარდმანელები, გარგარელები და წავდეელები). XIX-XX საუკუნეებში გამოთქმულმა მასაზრებამ, რომ ძველი ალბანელების ერთადერთი მემკვიდრეები უდიები (უტიები) არიან, უკანასკნელ წლებში, აკადემიკოს ზაზა ალექსიძის მიერ სინას მთაზე აღმოჩენილმა ძველი ალბანური დამწერლობის ძეგლებმა და მათი უდიური ენის საშუალებით გაშიფვრამ, ეს ვარაუდი საბოლოოდ გაამართლა და არცთუ მცირერიცხოვან სკეპტიკოსთა მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო შეხედულებებს არსებობის ყოველგვარი საშუალება მოუსპო. ამდენად, კავკასიის ალბანეთის ისტორია უდიების (უტიების) მცირერიცხოვანი ეთნოსის კუთვნილებაა.

ერწმენების დაკარგვა

VII საუკუნის მეორე ნახევარში ალბანეთში არაბები შეიჭრნენ. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბებმა ალბანეთი საბოლოოდ და მთლიანად დაიპყრეს. 866 წელს ალბანელმა მთავარმა ჰამამმა ცოტა ხნით აღადგინა ალბანეთის სამეფო. ამ დროიდან იწყება ალბანური ეთნოსის დეეთნიზაციის პროცესი, რომელიც XI საუკუნეში თითქმის მთლიანად დასრულდა. ალბანეთის სამეფოს მოსახლეობის ნაწილის დეეთნიზაციის პროცესი უფრო ადრეც მიმდინარეობდა. IV-V საუკუნეებში არმენიზებულ იქნა არცახი (ყარაბაღი). VI-VII საუკუნეებში ასევე მნიშვნელოვნად იყო არმენიზებული უტიკიც. რაც შეეხება თურქიზაციას, მას ინტენსიური ხასიათი XI საუკუნიდან ჰქონდა და ძირითადად გამოწვეული იყო ალბანეთის ტერიტორიაზე თურქ-ოღუზების გადმოსახლებით.

ქრისტიანობის მიღებამდე ალბანელები მთვარესა და მზეს ეთაყვანებოდნენ. ალბანელებს შორის კარგა ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ბუნების ძალ-

თა აღორძინებასთან იყო დაკავშირებული.

ალბანელებმა ქრისტიანობა IV საუკუნის დასაწყისში მიიღეს. რამდენადაც ალბანეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (არცახი, უტიკი) ხშირად სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, ალბანური ეკლესიაც ხშირად მათი გავლენის ქვეშ ექცეოდა. სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ ალბანეთის დიდ ნაწილში ქალკედონისტობასთან ბრძოლაში საბოლოოდ განსაზღვრულ წარმატებებს მიაღწია. თუმცა იბერიის (ქართლის) მოსაზღვრე დასავლეთ ალბანეთის ტერიტორიაზე, დიოფიზიტობამ გაიმარჯვა, განსაკუთრებით შექის სამთავროში, იქ, სადაც დღეს ძველი ალბანელების (უდიელების) ორი სოფელია შემორჩენილი.

უდიელთა წინაპარ ალბანელებს V საუკუნიდან ჰქონდათ საკუთარი ანბანი, დამწერლობა. ქრისტიანობის მიღება ალბანელებში არა მარტო ხალხის სოციალურ, არამედ კულტურულ დაწინაურებაზეც მიუთითებს. V-VIII საუკუნეებში არსებობდა ორიგინალური სასულიერო ლიტერატურა. ალბანურმა დამწერლობამ დაახლოებით ოთხ საუკუნეს იარსება და ეთნიკური პროცესების შედეგად, VIII საუკუნეში არსებობა შეწყვიტა.

ამდენად, ძველი ალბანელების ერთადერთი უშუალო მემკვიდრეები უდიები არიან, რომლებმაც დღემდე შემოინახეს წინაპართა ენა. ალბანელთა ეთნოგრაფიულმა ერთეულებმა — გარგარელებმა, გარდმანელებმა, წავდეელებმა, არცახელებმა, აგრეთვე ქართული წყაროებით სახელდებულმა მოვაკანელებმა, რანებმა — ჩვენამდე ვეღარ მოაღწიეს. მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად არ გადაშენებულა; დროთა განმავლობაში ისინი სხვა ეთნოსთა (სომხების, აზერბაიჯანელების, ქართველების) ნაწილი გახდნენ.

ალბანეთი განვითარებული მეურნეობის ქვეყანა იყო. მისდევდნენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. ალბანეთის საზამთრო საძოვრებზე ცხვარს ჩრდილოეთკავკასიელი მთიელებიც კი აბალახებდნენ. ალბანელთა შთამომავლების, უდიების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა სარწყავი მიწათმოქმედებაა. თესდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვს, განვითარებული იყო მევენახეობა (უდიები აყენებდნენ მაღალი ხარისხის ღვინოს). ფრიად განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც. უდიებში მესაქონლეობას დიდი მასშტაბი არ ჰქონია. საქართველოში გადმოსახლებულმა უდიელებმა მეურნეობის ტრადიციული დარგები განავითარეს, განსაკუთრებით კი მეაბრეშუმეობა და მევენახეობა.

უდიელები კრამიტს დღესაც ამზადებენ

აზერბაიჯანში მცხოვრები უდიები კრამიტის დამზადების შესანიშნავი ხელოსნები იყვნენ. ძველ ალბანელთა შთამომავლებში გავრცელებული იყო აგრეთვე მეთუნეობა.

აზერბაიჯანში უდიელთა სოფლები მთისწინა ზოლშია განლაგებული. უდიელის კარ-მიდამო მოიცავს არა მარტო საცხოვრებელ კომპლექსს, არამედ სამეურნეო ნაგებობებს, ხილის ბაღს. კარ-მიდამო, ჩვეულებრივ, შემოღობილი ჰქონდათ წნული ღობით ან ქვის გალავნით. ბაღებში ბევრი აქვთ მოშენებული კაკალი, თხილი, წაბლი. უდიები ნაწილობრივ ვაჭრობასაც მისდევდნენ. გასაყიდად გაჰქონდათ აბრეშუმი, აბრეშუმის პარკი, წეკო, კაკალი, თხილი, ბრინჯი, წაბლი, ბლის კერკი...

ფერიცვალების დღესასწაულზე უდიელი გოგონები კრეფდნენ ხილს და მინდვრის ბალახებისგან ჯვრებს წნავდნენ. განთიადისას ხილი, რომელზედაც ყვავილების ჯვარი იდო, ნაცნობებსა და ნათესავებთან მიჰქონდათ.

უდიელი პატარძალი აუცილებლად ქალწული უნდა ყოფილიყო. წინაალმდეგ შემთხვევაში უდიებს ჰქონდათ ტრადიცია არაქალწული პატარძლისთვის ქურქის უკულმა ჩაცმისა და მამის სახლში დაბრუნებისა.

უდიებს ქვის ან აგურის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები ჰქონდათ. სახლები კრამიტით ჰქონდათ გადახურული. უფრო ადრე იშვიათი არ ყოფილა ჩალით გადახურული სახლები. XIX საუკუნეში უდიელთა სახლებში სინათლე, ჩვეულებრივ, ერდოდან შედიოდა. საცხოვრებელი სახლის შუაში მოწყობილი იყო კერა. კერა არასოდეს არ ქრებოდა. აქ ამზადებდნენ საჭმელს. სახლის კედლებში ოსტატურად გამოჰყავდათ თახჩები, სადაც ლოგინს, ჭურჭელს, მწნილიან ქოთნებს ათავსებდნენ. ფქვილს თიხისგან დამზადებულ ყუთებში ინახავდნენ. საქართველოში გადმოსახლებული უდიები თავდაპირველად ხის სახლებს აგებდნენ. საერთოდ, უდიები ხის დამუშავების კარგი ოსტატები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ყოფიდან გაქრა უდიელთა ტრადიციული ტანსაცმელი. 1800-იანი წლებში უდიელთა და ყარაბაღელი სომხების ტანსაცმელი ერთნაირი იყო. ორ ხალხს შორის კულტურის ამ ელემენტის მსგავსება საერთო წარმომავლობით უნდა აიხსნას.

უდიების ტრადიციული საკვები მცენარეული პროდუქტები იყო: ლობიო, ბრინჯი, კაკალი, ბოსტნეული, ხილი, კენკრა. პურს, ჩვეულებრივ, ხორბლის ფქვილისგან თორნეში აცხობდნენ. განსაკუთრებით პოპულარული იყო ფლავის სხვადასხვა სახეობა, მოხალული და მოხარშული წაბლი, რომელსაც უდიები თბილისელ და ბაქოელ შემსყიდველებზე ყიდდნენ. ნიგვზისგან ხდიდნენ ზეთს.

XIX საუკუნეში თითქმის ყველა უდიურ ოჯახს ასამდე ქათამი მაინც ჰყავდა. მოხარშული ფეტვით გასუქებულ ქათამს ბრინჯით ტენიდნენ და ბუხარში წვავდნენ. უდიების საკვების მნიშვნელოვან ნაწილს რძის პროდუქტები (მაწონი, არაჟანი, კარაქი, ერბო) შეადგენდა. დღესასწაულზე და სტუმრიანობისას აუცილებელი იყო ხორციანი კერძები (ჩიხირთმა, ტოლმა). ძალიან გავრცელებული იყო თევზის კერძები. კვების რაციონში აუცილებლად იყო თაფლი და ჰალვა. სხვადასხვა ხი-

სოფელ ზინობიანში

ლისგან (ყურძენი, მსხალი, ვაშლი, თუთა, შინდი) იცოდნენ არყის გამოხდა. დახელოვნებული იყვნენ მწნილების დამზადებაში.

გვარები უცხო დაბოლოებებით

ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხები, უდიებიც უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან. ტრადიციულია ასაკით უფროსისადმი, მოხუცისადმი პატივისცემა და მოწიწება. უდიელთა წინაპარ ალბანელებში ამ წეს-ჩვეულების შესახებ ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც წერდა: „ალბანელები მოხუცებულობას მეტისმეტად სცემენ პატივს, არა მარტო თავისი მშობლებისას, არამედ სხვებისასაც“. სტუმართან სუფრაზე ვაჟი არ ჯდებოდა. ის სუფრის სიახლოვეს ტრიალებდა და ემსახურებოდა. ქალები კაცებთან ერთად არ სადილობდნენ. მეზობელთან ან სტუმრად წასვლისას ქალს ქმრისგან აუცილებლად ნებართვა უნდა მიეღო.

უდიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნათესაობას. გვარი ერთ სანათესაო წრეს წარმოადგენდა. ის ეგზოგამიური იყო. ქორწინება მკაცრად იყო აკრძალული შვიდი თაობის განმავლობაში. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია საქორწინო აკრძალვას ოთხი თაობით განსაზღვრავდა. შვიდ თაობამდე საქორწინო ურთიერთობის აკრძალვა კი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ნიჯელი უდიები მართლმადიდებლები იყვნენ და გვიან გახდნენ მონოფიზიტები. უდიებში მკაცრად იყო აკრძალული ქორწინება დედის მხრიდან ნათესავებზე.

აზერბაიჯანში მცხოვრები უდიების გვარსახელები ორი სუფიქსით ბოლოვდებოდა. ნიჯელთა გვარები სომხური სუფიქსით (-იან) ბოლოვდებოდა, ხოლო ვართაშნელებისა — რუსული (-ოვ) სუფიქსით. ბოლო დროს ბევრმა უდიელმა გვარ-სახელის მაწარმოებელი სომხური სუფიქსი ტრადიციული უდიური ან აზერბაიჯანული ფორმანტით შეიცვალა, მაგალითად, კოჩარიანი — კოჩარლი და სხვ. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ უდიებს, მათი გვარები ძირითადად ქართულ -შვილი სუფიქსს ირთავენ. აღნიშნული სუფიქსებით ნაწარმოები უდიელთა გვარ-სახელები ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებშია შეტანილი. უდიები დედაენაზე როცა მეტყველებენ და ამა თუ იმ გვარს ახსენებენ, უდიურ გვარებს სომხურ, ქართულ და რუსულ სუფიქსებს არ ურთავენ. ჩვეულებრივ, თითოეულ უდიურ გვარ-სახელს უდიური ფორმა აქვს. ნიჯელი

უდიელთათვის კვების რაციონში თაფლი დღესაც შეუცვლელია...

ზინობიანის მუზეუმში

სოფლის გზაზე

სოფელ ზინობიანის სალოცავი

დალაქიანების გვარის უდიური ფორმაა დალახო, ხამიანებისა — ხამარხო, ვაზირიანისა — ვაზირხო. ვართაშნელი კანანჩოვის გვარს გამოთქვამდნენ როგორც კანარჩი, პაჯიკოვისას — პაჯიკი და სხვ. ვართაშენიდან გადმოსახლებულებს გვარებიც აქედან გადმოჰყვათ, ოღონდ გვარ-სახელები -შვილი სუფიქსით გაიფორმეს: პაჭიკი — პაჭიკიშვილი, ნემუში — ნემუშაშვილი...

უდიელთა ყველა გვარს თავისი სალოცავი („ჯილისა“) ჰქონია. ნიჯელებს საერთო სასოფლო სალოცავი არ ჰქონიათ. მათთვის ასეთი სალოცავი იყო ვართაშენის „იეღიშ არაქელ“. ვართაშნიდან საქართველოში გადმოსახლებულ უდიებს თან სალოცავის ნიში („ეველ“) გადმოუტანიათ, რომელიც ვართაშნის სალოცავ „წიმერიდან“ წამოღებული ქვის, მიწისა და ჯვრისგან შედგება.

კავკასიის სხვა ხალხების მსგავსად, უდიებმაც იცოდნენ ხელოვნური დანათესავება. შვილის შერჩენის მიზნით, სცოდნიათ ბავშვის „ყიდვა-გაყიდვა“. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნათლიას („ხაშბაბა“). უდიებში ნათლიაობა მემკვიდრეობითი ყოფილა, ამიტომ ქორწინება იკრძალებოდა არა მარტო ნათლიისა და ნათლულის ოჯახის წევრებს, არამედ მათ შთამომავლებს შორისაც. ნათლია ყველაზე პატივსაცემ სტუმრად ითვლებოდა. ის საქორწილო რიტუალშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. „ხაშ“ უდიურად მთვარეს, ნათელს ნიშნავს, შესაბამისად, „ხაშბაბა“ — ნათლიას, ნათლიმამას, მთვარე-მამას. ასე რომ, „ხაშბაბა“ მთვარის ღვთაებას უკავშირდება. ძველი ალბანელებისთვის კი მთვარე ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო.

პატარძალი აუცილებლად ქალწული უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უდიებს ჰქონდათ ტრადიცია არაქალწული პატარძლისთვის ქურქის უკუღმა ჩაცმისა და მამის სახლში დაბრუნებისა. ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებისთვის, უდიებისთვისაც დამახასიათებელი იყო უმძრახობის წესჩვეულება. დღეისთვის ეს ტრადიცია დავიწყებას მიეცა.

გარდაცვალებისთანავე მიცვალებულს განბანდნენ, სუდარაში ახვევდნენ, შემდეგ მღვდელს იწვევდნენ წესის ასაგებად. წესის აგების შემდეგ, მიცვალებული ლეიბით ეზოში გამოჰქონდათ და საგანგებოდ გაკეთებულ კიბეზე აწვენდნენ. აქედან ცხედარი ეკლესიაში მიჰქონდათ. ღამე იქ ტოვებდნენ. მეორე დღეს, ლიტურგიისა და გლოვის შემდეგ, მიცვალებულს კრძალავდნენ. ქელეხს მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ. ტრაპეზი ყველის, პურის, მოხარშული ხორცის, ყაურმისა და შილაფლავისგან („შილახუა“) შედგებოდა.

როლანდ თოფჩიშვილი

უდი ქალი სოფელ ვართაშენიდან ტრადიციულ სამოსში. 1883 წლის ფოტო

ზაზა კორინთელი: „არტგენი“ მარტო ჩვენ აღარ გვეკუთვნის, სახალხო ზეიმი გახდა!

მერვე წელიწადია, „არტგენი“ სახალხო ზეიმად იქცა. თბილისელთა ერთი ნაწილი ყოველ ზაფხულს კუს ტბის მახლობლად „აშენებულ“ პატარა საქართველოში — ეთნოგრაფიულ მუზეუმში ატარებს ათიოდე დღეს, სიგრილესა და ქართული გენეტიკური ხელოვნების გარემოცვაში.

ზაზა კორინთელი (ზუმბა), *(მუსიკოსი და ფესტივალის ორგანიზატორი):* — „არტგენი“ 2004 წელს დაფუძნდა და მას აქეთ დაზეპირებულივით ვიმეორებ, რომ იგი ფიქრი და სიყვარულია ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენის, პოპულარიზაციისა და განვითარებისა. უფრო ზუსტად, ფესტივალია, რომელიც გენეტიკურ ხელოვნებას მოიცავს. ეთნოგრაფიული მუზეუმი კი სწორედ ის ადგილი აღმოჩნდა, სადაც ეს ფესტივალი უნდა დაბადებულიყო. აქ ხომ მთელი საქართველოა თავმოყრილი...

სანამ ღია ცის ქვეშ მუზეუმში ამოვიდოდეს, „არტგენი“ ლამის მთელ ქვეყანას მოივლის. ეს არის ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელიც შეარჩევს ტრადიციულ მუსიკალურ ოჯახებს, ხალხური შემოქმედების ანსამბლებს, ცალკეულ მომღერალსა თუ მუსიკოსს, ხალხური თამაშობებისა და საბრძოლო ხელოვნების, ასევე ხალხური რეწვის ოსტატებს. „არტგენი“ მოიძიებს და დანარჩენ საქართველოს აცნობს საუკუნეების განმავლობაში ხალხში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას და ბუნებრივია, ხელს უწყობს წინაპართა ნაოსტატარის ახალი თაობისთვის გაცნობას. დასკვნით კონცერტებზე კი სახალხო ანსამბლებსა და მომღერალ-მოცეკვავეებს პოპულარული მუსიკალური ჯგუფები და შემსრულებლებიც უერთდებიან. მათ შორისაა „ზუმბალენდი“, ნინო ქათამაძე, ნიაზ დიასამიძე, სუხიშვილები...

„არტგენის“ სახე

მარიამ ზედგინიძე-ჟუჟუნაძე *(ხალხური რეწვის ოსტატი ახალციხის რაიონიდან):*

მარო ბაბო: — ადგილის ჯეჯიმის მოქსოვაც ვიცი, საჩოხე შალისაც...

„ცოცხის თესლი აგურისფერს აძლევს მატყლსა, ენდრო და ხახვის ქერქი — მკვეთრ წითელს. ენდროს თუ კაკლის წენგოს დაუმატებ, ოქროს წყალში ამოვლებულს დაემგვანება ძაფი, შიგაც თუ ხახვის ქერქია, ხო სუ ბზინავს და ბზინავს. თავშავა თუ ბევრხანი წყალში იქნება, მზე რო გაახუნებს შავ ცხვარსა, აი, ისეთ ფერს მიიღებ... შენ თუ არ აარჩიე, რომელ ორნამენტს რა ფერი შაუხამო, შენ ნაქსოვს ზედ არავინ შეხედავს. მე კი აგე, 78 წლისა ვარ და არტგენის სახეს მეძახის ჩემი ზუმბა. ჩემი შვილობილია, მაშ. მაგან მიპოვა თბილისობაზე და მერე სულ თან დამატარებს... ამ საჩეჩელ რათ უყურებ, აქაცა ვჩეჩავ, შვილო! ხან ვჩეჩავ, ხან ვართავ, ხან კიდევა ვქსოვ. აბა, უსაქმოდ რო დავჯდე, პურს ვინ მაჭმევს. რა გეცინება, ახლაც ჩემი შრომითა ვშოულობ პურის ფულს“.

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ ფესტივალ „არტგენზე“, მარო ბაბოს (ყველა ასე ეძახის) ცნობა არ გაგიჭირდებათ. თვითონაც ყოველ მომსვლელს გულღია მასპინძელივით ეგებება.

— მარო ბაბო, გეუბნებიან, „არტგენის“ სახე რომ ხართ?

— ჰოო! თავიდან მიკვირდა, რა სახე აიტეხეს-მეთქი და მერე და მერე შევეჩვიე.

— ძნელია „პოპულარობა“?

— რათა, შვილო! უბრალოდ, აქ ყველა მიცნობს. მეც მთელი საქართველო გავიცანი. ესეც ხომ ბევრი რამ არის! შარშან დარეკეს, მარო ბაბოსთან ამოვალთ, ფილმს გადავიღებთო...

— მერე, ამოვიდნენ?

— არა, მაგრამა... მაგათ ლოდინში ბარე სამი წყვილი წინდა დავქსოვე ისევ მაგათთვისა. არ ამოვიდნენ, ისევ მაგათ იდარდონ. მე კიდევა, ზუმბას ფილმებში ყველგანა ვარ!

— კიდევ რას ქსოვთ?

— ეს ფარდაგიო, ეს ხალიჩაო, ხურჯინი, ჯეჯიმი, ჯვალო, მაფრაშა... წინდები ისე, გასართობადა! ადგილის ჯეჯიმის მოქსოვაც ვიცი, საჩოხე შალისაც... ძაფს კიდევა იმდენი შრომა სჭირდება. ჯერ ჩეჩვაო, მერე დართვა, დაგრეხა, ხიფებიც გინდა შესაღებად, საღებავიც ხომ გითხარი, შენვე უნდა დაამზადო, აბა, მაღაზიაში ნაყიდი ქიმიური ჭყეტელებით ხო არ გავაფუჭებ ნაწვალევ მატყლს. ჰოო, ეს შეღებვა-გაშრობაო, ეს გორგლებად დახვევაო...

— თქვენს სოფელზე რას იტყვით?

— *სოფელ მუსხიდან მოვედით, / ჩვენზე არა სთქვათ აკია, / მაშინ მოგიკვდეთ მუსხელნი / არ მოგაწონოთ თავია...* მაინცდამაინც არ გვილხინს მუსხელებს, მაგრამ ბედს არ ვემდურით. რომ დავემდუროთ, რა გამოვა... ცოტა მეტი დახმარება და ხელის წამოშველება გვჭირდება და არც ჩვენ შევირცხვენთ თავს. ხო ამ ხნის ქალი ვარ, მზე ვერ მასწრებს ადგომას. ეთნოგრაფიული მუზეუმიც მაქვს სოფელში, ძველი შენობა დაგვენგრა და საბავშო ბაღს შევეკედლეთ, ისიც დანგრევის პირასაა. მერე რო იცოდე, რა ექსპონატები გვაქვს, სუ ჩვენი ძველების ნაკეთებ-ნაფერები, ახლებსაც ვუმატებთ. მარტო ტირიფისგან და თხილისგან ისეთ ჭურჭელსა „ქსოვენ“ ჩვენს სოფელში... იმ ყველაფერს ხო მოვლა და შენახვა უნდა.

მარო ბაბოს ფოტოების „კოლექციას“ კიდევ რამდენიმეს ვუმატებთ.

...მეც გამომიგზავნეთ სურათები, ჩემ მოსწავლეებს ვაჩვენებ, ნახეთ, როგორ მოსწონთ ჩვენი ძველებური ხელსაქმე-მეთქი, ვეტყვი და ისინიც უფრო გულს დაუდებენ ქსოვას, თორემ მარტო ერთი ქალი რას გავწვდები ამოდენა სართავ-საქსოვსაო...

2.500-ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐ“

რონალდ ოდიშელიძე მეიარაღეა, უფრო ზუსტად, მჭედელ-მესაჭურვლე. დუშეთში გაზრდილს ნადირობაც უყვარს და სანადირო დანების კეთებაც. ფესტივალის დაარსებიდანვე მისი უცვლელი „გმირია“.

— რომ მკითხოთ, როდის ისწავლე დანების დამზადებაო, ვერ გიპასუხებთ, რადგან რაც თავი მახსოვს, ხელში სულ დანა მიჭირავს (ოღონდ ხუმრობითაც არავინ დამიკეჭნავს). ძალიან მინდოდა ქართული იარაღის დამზადების ხალხური წესები მცოდნოდა და ხან ერთ მჭედელთან მივდიოდი, ხან მეორესთან. ამ სიარულში მოვხვდი კახა ზარნაძის სახელოსნოში და იმდენად მრავალფეროვანი ნაკეთობები ვიხილე, გაოგნებისგან ხმას ვერ ვიღებდი. მე კი ერთი დანები გამომყავდა და გრდემლიც არ მქონდა საკუთარი. ჰოდა, გრდემლს რომ თვალი ვერ მოვწყვიტე, მიხვდა, რაც მაწუხებდა. წაიღე, შენი იყოს, მე მეორეც მაქვსო, — მითხრა და ძალით გამომატანა. კახა მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან სრულიად ახალგაზრდა და მთელ საქართველოს, „არტგენის“ ყველა გულშემატკივარს დაწყვიტა გული...

— მითხრეს, პრეზიდენტისთვის აპირებდა თავისი გამოჭედილი დანის ჩუქებასო...

— ვინ მიმიშვებდა პრეზიდენტთან დანით. კი ვიძახე, უნდა ვაჩუქო-მეთქი, მაგრამ...

რომ იცოდეთ, მართლა საპრეზიდენტო დანა დავამზადე, ე.წ. ლეგირებული ფოლადისგან. ქარქაში კაკლის ხისა ჰქონდა, ტარიც კაკლის ხისა. ბაჯაღლო ვერცხლით იყო ინკრუსტირებული და მოსევადებული. ინკრუსტაცია გიგა გორდიაშვილის ნახელავი გახლდათ... ერთი სიტყვით, მაგარი სანადირო დანა იყო.

— იყო და აღარ არის?

— ასე გამოდის! ხომ იცი, მეიარაღეებს მაინცდამაინც არ გვილხინს. ერთ მშვენიერ დღეს მეც გამიჭირდა და ერთ უკრაინელ ბიზნესმენს მივყიდე ჩემი საპრეზიდენტო დანა.

— ფასი ალბათ საიდუმლოა...

— არა, რატომ! 2.500 დოლარი გადამიხადა! არც ცოტაა და არც ბევრი. არც შემვაჭრებია, ალბათ ხუთი ათასიც რომ დამეფასებინა, უსიტყვოდ გადამიხდიდა... აგერ, ფოტო დამრჩა იმ დანის... ისე, დიდხანს კი ვამზადებდი...

— „არტგენზე“ თუ ყიდით დანებს?

— ძალიან იშვიათად. სხვათა შორის, აქ უფრო ისეთი ხალხი ამოდის, ხელოვნება და კულტურა რომ უყვართ, ტრადიციას რომ დიდ პატივს სცემენ. მაგრამ ასეთების უმეტესობას, ხომ იცით, იმდენი ფული არ აქვთ, ძვირფასი სუვენირები რომ შეიძინონ...

— თქვენს ხელობას ვინ განაგრძობს?

— სანდრო, ჩემი 9 წლის შვილიშვილი! მისი იმედი მაქვს. ორწლინახევრისა იყო, რომ

როლანდ ოდიშელიძე: — ძალიან მინდოდა ქართული იარაღის დამზადების ხალხური წესები მცოდნოდა

2.500 დოლარად გაყიდული „პრეზიდენტის დანა“

ფაიფურზე გადატანილი „ქართული კალიგრაფია“

დემურ ჯალაღონია: — 350 ცალი ჩონგური მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში „გავამგზავრე“

„დამპირდა“, — პაპა, მიმიშვი, დანებს ახლა მე გავაკეთებო!

ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲐᲚᲔ, ᲛᲔᲠᲔ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘᲐ...

დემურ ჯალაღონია ჩხოროწყუელია, სოფელ სარაქონიდან. ხალხურ საკრავებს ამზადებს. მისი ნახელავი ფანდური და ჩონგური (როგორც კლასიკური, ასევე ხალხური), ჩანგი, სალამური არაერთ ქართულ ოჯახს ამშვენებს, საზღვარგარეთაც უკვე პოპულარული გამხდარა. ჩემი ხელით გამოთლილი და ამღერებული 350 ცალი ჩონგური მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში „გავამგზავრეო“, გვიმხელს ოსტატი. სალამურს ჯონჯოლის, კაკლისა და თუთის ხისგან თლის, სხვა საკრავებისთვის ვერხვი საუკეთესოა, კიდევ ერთი ხეა, იშვიათი ჯიშის, ღრუხეს ეძახიან სამეგრელოში, ჭანისწყლის პირას ხარობს. საუკეთესო მასალა გამოდის საკრავებისთვისო...

— ჩანს, დიდი მოთხოვნაა თქვენს ნახელავზე...

— ასე გამოდის. ხუთი ათასი ჩონგური და ფანდური რომ გამოვთალე, მერე აღარ დამითვლია... მარტო ქართველები კი არა, უცხოელებიც ყიდულობენ ჩვენებურ საკრავებს. 350 ცალი ჩონგური მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში „გავამგზავრე“ ბოლო წლებში. ინტერნეტით მიკავშირდებიან საფრანგეთიდან, თურქეთიდან... ხუთას ცალამდე გაჩუქებულიც მაქვს.

— ისეთ ციფრებს ასახელებთ, ძალიან ბევრი არ არის?

— ბევრი კი არა, ცოტაა. აბა, რამდენი ოჯახია საქართველოში. ხალხური საკრავი კი ყველას როდი აქვს. არადა, ხომ უნდა ჰქონდეთ... ფანდურსა და ჩონგურს თითზე ჩამოსათვლელი ოსტატები თლიან. ბევრი ხანში შესულია, მათ საქმეს კი გამგრძელებელი არ ჰყავს. ამ მხრივ მე გამიმართლა, ჩემი ვაჟი კლასიკურ ფანდურებს ამზადებს და მგონი ჩემზე უკეთესადაც.

— ფესტივალზე თუ ყიდით ფანდურებს?

— იშვიათად. აქ უფრო ჩემი ძველი მეგობრების სანახავად ჩამოვდივარ. „არტგენმა“ მთელი საქართველოს ოსტატები დაგვამაკაცა... თან ამ ბოლო დროს რაიონებშიც გადმოინაცვლა ფესტივალის დღეებმა და ხომ იცით, ქართველ კაცს ყველაზე მეტად ერთად ყოფნა და ერთმანეთისთვის გულის გადაშლა უყვარს... ღია ცის ქვეშ მუზეუმი კი გვაერთიანებს ამ მართლა ღია ცის ქვეშ თავმოყრილ ხალხური ხელოვნების ოსტატებს, ისე რომ, შეიძლება ითქვას, ფესტივალიდან ფესტივალამდე ლოდინით ვცოცხლობთ...

ᲙᲐᲚᲘᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ „ᲛᲝᲓᲘᲐᲜ“...

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაცია „წამთან“ (წარსული, აწმყო, მომავალი) ერთად მეორე წელია აწყობს კონკურსს „ქართული კალიგრაფია“. კონკურსის მიზანია ქართული კალიგრაფია მხოლოდ ფურცელზე კი არ დარჩეს, არამედ გადავიდეს ტყავზე, კერამიკაზე, ქსოვილზე...

ახალგაზრდა კალიგრაფები ფესტივალზეც ამოსულან და დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრშიც მოქცეულან.

ᲭᲠᲔᲚᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

იზოლდა გაბიტაშვილი *(ხალხური რეწვის ოსტატი):* — რაც ეს ფესტივალი არსებობს, ყოველი ზაფხული ჩემთვის „არტგენით“ იწყება... ვქსოვ, ვქარგავ, ყველა ნამუშევარში ვიცავ ხალხური, ტრადიციული ხელსაქმის სხვადასხვა მეთოდს. ორნამენტებიც ტრადიციული გამომყავს თუშურ თუ ხევსურელ ჩითებზე, ქუდებზე, ჩანთებზე, ხელთათმანებზე... ეთნოგრაფიულ თოჯინებსაც „ვქსოვ“, სამაჯურებსაც, ყელსაბამებსაც. ახლახან, მექსიკაში, სანტა-ფეს ფესტივალზე წაიღეს ჩემი თოჯინები და ყველა გაიყიდა... ძირითადად სელის ძაფითა და აბრეშუმით ვმუშაობ. სულ ძველი მასალით. ჯერ ისევ არის აქა-იქ შემორჩენილი და ხან ვყიდულობ, ხან მჩუქნიან. არადა, ერთი

ზუმბა თავვანისმცემლებთან (ზაზა კორინთელის ფოტოარქივიდან)

ქუდის მოსაქსოვი ახალშემოტანილი მასალისთვის 20 ლარი მაინც გჭირდება. ჩემს ნამუშევრებს ძირითადად მშრალ ხიდთან და სხვადასხვა გამოფენაზე თუ გავყიდი, „არტგენს“ მყიდველი არ ჰყავს. აქ უმთავრესად უფულო ხალხი მოდის. ძალიან უნდათ ჩემი ნაქსოვ-ნაქარგის ყიდვა, მაგრამ... ამიტომაც მყიდველი ძირითადად უცხოელია. გული მწყდება, ზოგჯერ ისეთ ლამაზ ჩითებს „ვიმეტებ“ სხვა ქვეყანაში გასასტუმრებლად.

ნელი არაბული *(სუვენირების ოსტატი):* — ვამზადებ მოზაიკურ პანოებსა და ქალაქურ ხედებს ძვირფასი ქვებითა და მძივებით. „ჩემს სფეროში“ პოპულარობა არ მაკლია. მთელი წლის დაღლილი, „არტგენზე“ ვისვენებ. აქ ყველას ვიცნობ და თავსაც შინაურულად ვგრძნობ. სუვენირების გაყიდვაზე არც ვფიქრობ. უფესტივალოდ ზაფხული ვერ წარმომიდგენია...

შინდისფერ კაბებში გამოწყობილი ქალები ღია სცენისკენ მიეშურებოდნენ, თუმცა დიქტოფონისა და ფოტოაპარატის დანახვისას სიამოვნებით დაგვთანხმდნენ ბლიცინტერვიუზე და გვითხრეს, რომ მათაც გურიიდან ხალისით მოეჩქარებათ მუზეუმში. სახელდახელოდ რამეს ხომ არ გვიმღერებთ-მეთქი, უბრალოდ ვიკითხე და რამდენიმე წამში უკვე ზარივით დასჭექეს „მარიკელა, ჯაშის ქალო“. ჩვენც სახელდახელოდ შემოერთებულ მაყურებელთან ერთად სიამოვნებით დავუკარით ტაში მშვენიერ მომღერალ ქალებს და მათი გვარ-სახელით თანამიმდევრობით ჩავიწერეთ: დალი კეკელიძე, მაკა ჩხიკვაძე, ლონდა ჭკუასელი, ნანა საჯაია, ლედი რამიშვილი, ლეილა კოტრიკაძე (ანსამბლის ხელმძღვანელი), ზოია გოგოლაძე და მთვარისა კეკელიძე.

სალომე შოშიტაშვილი

მღერის ჩოხატაურელ ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“ ავტორის ფოტოები

„ილჭოვ, ცრემლებად ნადენო“...


გოგია ჭიჭოშვილი

მეორე მსოფლიო ომის დროს გოგია ჭიჭოშვილი ყაჩაღად გავარდნილა. მარტო არ ყოფილა. მის ორგანიზებულ ჯგუფში ომიდან დაბრუნებული ან თავარიდებული ბიჭებიც შედიოდნენ.

გოგია ჭიჭოშვილი თიანეთელი იყო, ლიშოში დაიბადა, იქვე ცხოვრობდა და სოფლის სკოლაში ასწავლიდა. კარგი მოლექსე იყო. მისი ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. ხელნაწერები შემორჩა თუ არა, არავინ იცის. შესაძლოა ვინმეს გადანახულიც ჰქონდეს, სადმე ეწყოს მტვერწაყრილი, მიჩქმალული. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კიდევ ერთი მოლექსის, მიხა ხელაშვილის ხელნაწერთა ბედი. როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს, მიხა თან დაატარებდა ხელნაწერი ლექსებით სავსე აბგას. მიხას სიკვდილის შემდეგ ეს ნაწერები ხელში ჩავარდნია ვანო ხორნაულს. მთელი სამოცი წელი ინახავდა და ღრმად მოხუცებულს მიხას ქალიშვილისთვის გადაუცია ეს მართლაც ძვირფასი განძი...

გოგია ჭიჭოშვილის ლექსები ხალხმა ისე შეიყვარა, რომ უამლექსებოდ არც ქორწილი ჩაივლიდა და არც დღეობა. ახლაც ახსოვთ და მღერიან ამ ლექსებს.

გოგიას გაყაჩაღების მიზეზს სხვადასხვანაირად ხსნიან. თვითონ კი ამბობდა, კომუნისტებს ვებრძვიო. თუმცა მის ტკივილს ყველაზე უკეთ მისივე ლექსები გამოხატავენ:

ჭიჭოშვილ გოგიაი ვარ,
სოფელ ლიშოში მდგარია,
ძმაბიჭის მოსიყვარულე,
მეზობლის უწყინარია.
ბალღების მასწავლებელმა
ტყეს შევაფარე თავია.
თანა მყავს ბარის ლომები
დისწული-დედიძმანია.
მეოთხე გვყავის თომაი,
ქორ-შევარდენი ჩქარია,
მიზანში სწორად მსროლელი
ბიჭია ნაფრონტალია.
ერთხელ ჩავხედე დურბინდებს,
მთებს შემოვავლე თვალია,
ჩამოხეთქილა ზოვები,
კლდეებს ჩამასდის წყალია.
გამოღმა საქართველოა,
გადაღმა დაღესტანია.
ჩვენი ბინები იქ არის,
სადაც თუშების ცხვარია,
სადაც იყრება ერთადა
ალაზანი და მტკვარია.

— ჩვენი ბინები იქ არის, სადაც თუშების ცხვარიაო, — ამბობს გოგია და მუდმივი ბინა ყაჩაღად გაჭრილს სადღა ექნებოდა. გამუდმებით დევნიდნენ და ამის გამო ხან ივრის ხეობაში აღმოჩნდებოდა, ხან არაგვის სათავეებში გადავიდოდა, ჩავიდოდა სოფელ ახადში, ესტუმრებოდა მიხა ხელაშვილის ძმადნაფიცს, იაკობ გორელაშვილს. მასთან საიმედოდ დაიგულებდა თავს, კედელზე მიაყუდებდა თოფს და დანდობილად ქეიფობდა. იაკობისგან ისმენდა მიხას ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდებს და ფიქრობდა, როგორ მიეზღო სამაგი-

ერო ლუკა მარცვალაშვილისთვის, რომელიც ხალხში თავაღებული დადიოდა და კომუნისტ ხელისუფალთა წინაშე ხელაშვილის მკვლელობით ამაყობდა. ახადიდან ახმეტაში გადავიდოდა, იქიდან კი თუშეთის მთებს მიაშურებდა. და იყო ასე დაუსრულებელ ფორიაქში. მშვიდი ცხოვრება და თბილი კერა უცხო გამხდარიყო მისთვის.

მე ჭიჭოშვილი არა ვარ,
შვილი ვარ მყინვარებისა! —

ამბობს ერთ ლექსში.

გოგია არას ერჩოდა ალალ და პატიოსან ხალხს. საბჭოთა ხელისუფლებასა და მის თავგამოდებულ დამცველებს უპირისპირდებოდა. აკი თვითონაც ამბობს:

ბევრ უჭკოს დავაჭკვიანებ,
ხმასაც არ გავცემ ჭკვიანსა,
ბევრის შუბლს გავახვრეტინებ
ჩემი ვინტოვკის ტყვიასა.
ყაჩაღებ პოლიტიკები
შავეფარებით ტყიანსა.

უბრალო ხალხს უყვარდა გოგია ჭიჭოშვილი, თავშესაფარს სთავაზობდნენ, სურსათსანოვაგეს უგზავნიდნენ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებაც ატყობინებდნენ. თიანეთის რაიონის მილიციის უფროსს, სულაბერიძეს ყაჩაღის შეპყრობა განუზრახავს, გოგიას კი ასეთი ლექსი გაუგზავნია მისთვის:

თიანეთს სულაბერიძევ,
მარჯვენამც დაგმიწებია.
ლიშოში ჩემი დაჭერა
ტყუილად დაგიკვეხია,
ვისაც ჩემს სიკვდილს ავალებ,
ჩემი ძმები და დებია,
მოვლენ და მამახარებენ,
რასაც შენ შაგპირდებიან.

გოგია ხალხს უყვარდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მართალია მისგან სიკეთე ახსოვდათ, მაგრამ მაინც ღალატობდნენ. ერთხელ ახლობელი ქალის ხელით გაუგზავნეს მოწამლული ქადა-პურები. ქალმა კი არ იცოდა... გოგია მოიწამლა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. მომჯობინდა თუ არა, ქადა-პურების მიმტან ქალზე შური იძია. მოგვიანებით კი, როცა ყველაფერი გაარკვია, ძლიერ ინანა და კვლავ ლექსს გაანდო თავისი გულის წუხილი:

ჭიჭოშვილ გოგიაი ვარ,
დამდგარი მრუდე გზაზედა.
ჩონგურ ავასხი ლარები
ჩეჩხიმის ხეობაზედა.

სახლი, სადაც ცხოვრობდა გოგია ჭიჭოშვილი
სოფელი ლიშო, თიანეთის რაიონი

ავკარ-ჩამოვკარ თითები,
აჩქამდა ზარის ხმაზედა.

ჭიჭოშვილის შეპყრობას ლამობდა ახმეტის რაიონის მილიციის უფროსი რუბენ ალხაზოვიც, რომელსაც გოგია ალხატოს სახელით მოიხსენიებს ლექსში. როცა ალხაზოვი თავისი რაზმით ივრის ხეობაში ეძებდა, გოგია ილტოში აფარებდა თავს და იქიდან ეხმიანებოდა:

ილტოვ, ცრემლებად ნადენო,
საით რა მიიჩქარია?
თუ ბარი მოგწონს, ტიალო,
მთებიც ხო შენი მხარია.
წერილს გაგატან, ოხერო,
ალხატოს აუტანია.
აჰყაროს შავი რაზმები,
ჭულახევს მეომარია.
სახლში ნურავინ დაბრუნდეს
ამ ამბის ჩამამტანია,
წიოდეს კარაბინაი,
კლდეებს გაჰქონდეს ჩქამია.
წამოველ ჩემსა სოფელსა,
გამოვახანენ გზანია.
გაავებულან წყლულები,
გულში მჭირს ნატყვიარია.
მძლივ სადამ მოიანდევე
მამ-პაპათ ნასახლარია,
ჩამოშლილიყვნენ ყორენი,
ჩამასდიოდათ წყალია.

გოგია ერთხანს შირაქს აფარებდა თავს. ეს გაიგო ხელისუფლებამ და მწყემსები შეაიარაღა, ჯილდოსაც დაპპირდა. შირაქში გაჩნდა ლუკა მარცვალაშვილიც. იმედი ჰქონდა, რომ ხელაშვილის მკვლელობიდან ოცი წლის შემდეგ ჭიჭოშვილსაც მოუღებდა ბოლოს, მაგრამ გოგიამ მეგობარი მწყემსებისგან შეიტყო ყველაფერი. ჩაუსაფრდა გზაში. როცა მარცვალაშვილი მოუახლოვდა, გოგია საფარიდან გამოხტა და შესძახა:

— შესდექ! შენ მოჰკალ ხელაშვილი?

— მე! — უნებლიეთ წამოსცდა მომავალს და უცებ მიხვდა: მის წინაშე იდგა, ვისაც ეძებდა და მხარზე თოფს წაეტანა, მაგრამ გოგიამ დაასწრო და იქვე გააფრთხობინა სული. მერე მწყემსების ბინაში ჩამოვიდა და უთხრა: ტყეში ღორი შემომაკვდა, წამოდით და გაათრიეთო.

აიღო გოგიამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მიხა ხელაშვილის სისხლი, მაგრამ რას გახდებოდა იმხელა იმპერიასთან!

ჭიჭოშვილიც მოკლეს, სამზეოზე კი დარჩა მისი მშვენიერი ლექსები...

ტრისტან მახაური

ივრის ხეობა,სადაც გოგია ჭიჭოშვილი აფარებდა თავს

„ისტორიანი“
საქართველოსა
და მსოფლიოს
ისტორიის ნაცნობი
და უცნობი ფაქტები,
პიროვნებები,
მოვლენები-ახალი
კუთხით!
თოქშოუს
ავტორი და წამყვანი
ჯაბა სამუშია
ჩვენთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს!
PALITRA
TV-RADIO
უსმინეთ!
FM 103.9
www.palitratv.ge
უყურეთ!
ყოველ სამშაბათს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე

ჟამი სიმღერისა და ჟამი ლოცვისა

თემურ წიკლაური: ბიძოლაა საჭიროო მაშინაც ჯი, სიჯვდილი

ომ მოვა, ხმლით უნდა ბაებაბო...

იცით, რატომ იხდიან ადამიანები ბოდიშს? ალბათ იმიტომ, რომ რამეს აშავებენ ან რაღაც ეშლებათ, არა? ზოგჯერ კი ამ მიზეზების გარეშეც, მხოლოდ გულახდილობის გამო იხდიან ბოდიშს, რადგან გულახდილი საუბარი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვათა თანამიმდევრობა. ეს არის ზღვარის წაშლა და სახლის იმ კუნჭულში შეხედვა, სადაც ალბათ არასოდეს შეახედებდით ვინმეს...

თემურ წიკლაურმა სწორედ ამიტომ მოიბოდიშა:

— დიდი ბოდიში მკითხველს, რომ ასე გულახდილად გიყვებით ყველაფერს და რომ შეიძლება თავსაც ვახვევ ჩემს ცხოვრებას. ამას ვიტყვი თავშიც და ბოლოშიც...

არ უთქვამს, რა რთულია ილაპარაკო საკუთარ თავზე, თანაც გულახდილად; არ უთქვამს, რომ ამას გამბედაობა და ვაჟკაცობა სჭირდება... ამას ყველა თავად მიხვდება.

წლების წინანდელ ფოტოებს დაჰყურებს. საოცარია, მაგრამ მისი ხმა სიმღერასავით ჟღერს მაშინაც, როცა სულაც არ მღერის და ძალიან სევდიან ამბებს იხსენებს. ეს ბედისწერასავითაა. ვუსმენ, როგორ მიამბობს კოჯრის სკოლაზე, რომელიც წითლების შემოსვლის შემდეგ დანგრეული ეკლესიის ქვებით აუგიათ. მერე როგორ ინგრევა ის სკოლაც, იმიტომ რომ სხვაგვარად შეუძლებელია მოხდეს... როგორ პოულობენ წყაროს უკან გადაყრილ ჩუქურთმიან ქვებს და როგორ მიაქვთ იქ, სადაც მათი ადგილია — დაშლილი ეკლესიის მიწაზე. ქვები დუმან და თავის ჟამს ელიან...

ცხოვრებაშიც არის რაღაც იდუმალი, ისიც თავის ჟამს ელის... წლების წინ, მაგალითად, როცა კოჯრის ტყეში მიდიოდა გიტარაზე მალულად დასაკრავად, სხვას რომ ეთქვა, ალბათ არ დაიჯერებდა, ერთ დღეს სტიქარს თუ ჩაიცვამდა. ვერც იმას დაიჯერებდა, რომ სტიქაროსნობამდე ცნობილი მომღერალი გახდებოდა.

ვინ იცის, რას მოიტანს ჟამი ახალს... ჩვენ იმაზე ვისაუბრეთ, რაც უკვე მოიტანა...

* * *

— კოჯორში ვცხოვრობდი. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, VII კლასამდე — ხუთებზე.

დამპირდნენ, თუ ხუთებზე ისწავლი, ველოსიპედს გიყიდითო. ველოსიპედი კი ჩემი ოცნება იყო. ეტყობა, მეგობრებში დავიტრაბახე კიდეც, ნახეთ, მალე ველოსიპედი მექნება-მეთქი. არადა, მშობლებს ისე გაუჭირდათ, ველოსიპედი კი არა, არაფრის საშუალება აღარ იყო. მწყინა, პირობა რომ არ ამისრულეს და აღარ ვსწავლობდი... ახლა მეცინება, რომ მახსენდება...

ფიზიკური შრომა თუ გამომიცდია? როგორ არა! დიდი ბოსტანი გვქონდა, კარტოფილს ვრგავდით. მეათედ ჰექტარზე რომ დამაყენებდნენ და ვთოხნიდი, უნდა გენახათ. ტყეშიც დავდიოდი შეშაზე... „ტარზანი“ რომ შემოვიდა, ბიჭები მივდიოდით ტყეში, ვკიდებდით თოკებს და იყო ერთი ტყაპატყუპი. დაჟეჟილი ვბრუნდებოდით სახლებში.

ერთი ამბავიც მახსოვს: შინ მარტო დაგვტოვეს 97 წლის პაპასთან. მინდოდა გავფრენილიყავი. ეზოში დიდი წაბლის ხე იდგა. ავიტანე ორი-სამი ქოლგა ამ ხეზე, გავშალე და გადმოვხტი. ესენი დაიკეცა და მე ღობის ეკლიან მავთულზე ჩამოვეკიდე მუცლით. დავიწყე ბღავილი. სანამ პაპამ გაიგონა და მოვიდა... კიდევ კარგი, გაიგონა. ახლაც ამ ნაიარევს რომ დავხედავ ხოლმე, პაპა მახსენდება.

ღმერთი მწყალობდა ყოველთვის. აუცილებლად მინდა ვახსენო ხალხი, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩემს ჩამოყალიბებაში.

ნათელა პატარიძე ამოდიოდა თბილისიდან. სკოლაში სიმღერის გუნდი შექმნა. ისეთი გუნდი დადგა, ოლიმპიადებზე სულ პირველ ადგილზე გავდიოდით. ის მინერგავდა, მონაცემები გაქვს, ხმა გაქვს და მიჰყევიო...

ბიჭები ამოვიდნენ კოჯორში, გიტარაზე დაკვრას ასწავლიდნენ, მათგან ვისწავლე დაკვრა. მერე ერთად ვიყავით „ციცინათელაშიცა“ და „ოვერიაშიც“... პირველად ეს სიმღერა ვისწავლე: „შემოხტი და გამიფრინდი, ჩემო თოლია“. გიტარა არ მქონდა. ჩუმად ვიყიდე. მშობლებს არ უნდოდათ კატეგორიულად: ჯერ გიტარაზე დაკვრას ისწავლის, მერე გალოთდება და რა გვეშველებაო. გიტარას ტყეში ვმალავდი. მივდიოდი და იქ ვმეცადინეობდი.

საკმაოდ ხელმოკლედ ვცხოვრობდით.

1964 წელს უცხო ენების ინსტიტუტში ჩავირიცხე.

თბილისში რომ ჩამოვედი, ორი წელი პროფესორ ოთარ ზენაიშვილის სახლში ვცხოვრობდი. მან შემიფარა, კოჯორში ისვენებდა და იქიდან მიცნობდა... ბატონი ოთარი და მი-

დედასთან

სი მეუღლე თავს მევლებოდნენ, რომ კარგი ადამიანი დავმდგარიყავი... დიდად დამეხმარა პრორექტორი გოგი შიოშვილიც. იქაც გუნდში მოვხვდი. დეკანი ნელი კრავეიშვილი მყავდა. ის მეუბნებოდა, წადი, კონსერვატორიაში ჩააბარეო... ვერა და ვერ გადამაწყვეტინეს. რატომღაც დიპლომატობა მინდოდა სოფლელ ბიჭს და ამისთვის ენა უნდა მესწავლა.

ოჯახიდან დღეში მანეთს მაძლევდნენ. კვირაში 7 მანეთი მეკუთვნოდა, მეტი არა. თავი უნდა გამეტანა როგორმე. კიდევ ვიმეორებ, მადლობა უფალს, რომ მიცავდა ყოველთვის. მეგობარმა მომაკითხა — არნოლდ ნანობაშვილმა: პლეხანოვზე დიდი უნივერმაღი იყო. იქ ანსამბლი ჰყავთ და მოდი, ვიმღეროთო. ხელფასს მოგვცემენ 66 მანეთსო. მივედით დირექტორთან, ასლან ხარბედიასთან. ფოთში რომ პირველი ფეხბურთელები იყვნენ, იმ პერიოდის ფეხბურთელი იყო. რომ გვნახა უწვერულვაშო ბავშვები, გაგვაფორმა. მე გალანტერეის საწყობში ვიყავი მუშად. ხელფასიც მომცა... ამას სტიპენდიაც ემატებოდა და 100 მანეთი კი გამომდიოდა. ეს ჩემთვის დიდი ფული იყო. უკვე გამიჩნდა შესაძლებლობა, საჩუქრებიც კი მეყიდა გოგონებისთვის. ყოველ დილით მივდიოდით საწყობში, ვეხმარებოდი საწყობის გამგეს, ცხრის ნახევარზე ინსტიტუტში გავ-

„გიტარა ჩუმად ვიყიდე. მშობლებს არ უნდოდათ კატეგორიულად: ჯერ გიტარაზე დაკვრას ისწავლის, მერე გალოთდება და რა გვეშველებაო“ (სურათზე: ანსამბლი „ციცინათელა“)

რბოდით. მერე მივდიოდით რეპეტიციაზე... მერე ისეთ განყოფილებაში გადამიყვანეს, სადაც გეგმა სრულდებოდა. უკვე 100 მანეთი მქონდა ხელფასი.

1967 წელს შეიქმნა ანსამბლი „ციცინათელა“. სოსო ებრალიძე იყო ხელმძღვანელი. დამიძახა. იქ შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, ლილის. სამი კურსი ხომ ხუთოსანი ვიყავი... „ციცინათელასთან“ ერთად გასტროლებზე წავედი და წავედი ხელიდან. უკვე თავის გამოჩენა მომინდა, სიმღერა გახდა მთავარი... ბევრი ივიშვიშა ჩემმა დეკანმა, ისწავლე რა, ხომ შეგიძლიაო, — მაგრამ ვერ მიმაბრუნა... დამამთავრებინა მაინც როგორღაც...

საოცარია, მაგრამ სცენაზე გასვლა უსაზღვროდ მიჭირდა ყოველთვის. ახლაც მიჭირს. სიცილით კვდებიან, ვსველდები, ხელებიდან წურწურით მომდის ოფლი, სიტყვები არ მახსოვს, ხმა ხომ არ დავკარგე, — მეშინია. გავალ სცენაზე, ამოვიღებ ხმას და მერე მიდის და მიდის... არ ვიცი, როგორ აგიხსნათ...

დავქორწინდით. ორივე ვმუშაობდით. ამოვისუნთქე... ახლა რომ ვაკვირდები, რა იყო ეს ამოსუნთქვა? არაფერი. სიყვარულის ფონზე გაჩენილი თვითდაჯერება, რომ არაფერი გვაკლია.

ცხოვრება პრაგმატული გახდა... მაგრამ რაც გამოცდილი მქონდა, არასოდეს დამვიწყებია. ახვედი თუ ჩამოხვედი კიბის საფეხურებზე, მნიშვნელობა არა აქვს. შენ ხომ იცი, რა არის ხელმოკლეობა, განსაცდელი... რა არის, როცა კუჭი „თავისას ითხოვს“ ან ჩასაცმელი არაფერი აქვს კაცს. ამას ყველაფერს ვხვდები, სულ არ მჭირდება, რომ ვინმემ მიამბოს. მე ხომ ეს გზა გავიარე... ეს რომ არ გამევლო, ვაი, რა ძნელი იქნებოდა სულის დაამება!

ჯემალ ბაღაშვილს კოჯრიდან ვიცნობდი. ამოდიოდა, უკრავდა ხოლმე. თითებიდან სისხლი სდიოდა და არ ჩერდებოდა მაინც. ძალოსანი იყო. კრივიც იცოდა. როგორ, თბილისში რომ ჩამოხვალ, ყველაფერი უნდა შეგეძლოსო. დამაწყებინა ვარჯიში. თბილისში უკვე მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როცა „ციცინათელაში“ ვიყავი. „ივერია“ უნდა შევქმნათ და ერთად ვიქნებით, ჩემთან წამოდიო... გადავწყვიტე, გადავსულიყავი. ღალატი არ ვიცი. მაპატიონ ბიჭებმა, ვინც დავტოვე, მაგრამ პიროობები იყო ისეთი, იძულებული გავხდი...

მოვიარე მსოფლიო „ივერიასთან“ ერთად.

ეტაპობრივად ყველა ჯურის ხალხს შევხვედრივარ ქუჩაშიც, ცხოვრებაშიც... ყველანაირი გზა მაქვს გავლილი. პროფესიონალურ სცენაზე გამოსვლა რომ დავიწყე, ხშირად გვიხდებოდა კოლონიებში კონცერტების ჩატარება. შემდეგ მივხვდი, ეს ქრისტიანულია: პატიმარიც უნდა მოინახულო და ავადმყოფიც... ჰოდა, მთელ შავ და ფერად სამყაროს კი ვიცნობდით... სხვათა შორის, კონცერტის მერე პურმარილი იშლებოდა...

მარტო ჩემთვის კი არა, მთელი „ივერიისთვის“ ჩემი შვილის ამქვეყნიდან წასვლა დიდი ტკივილი იყო. მაშინ „არგონავტებს“ ვდგამდით. მე აიეტის როლი მქონდა. ვფიქრობ,

ასეთი კარგი მიუზიკლი სხვა არც არის, მაგრამ აღარასოდეს მივბრუნებივართ.

ძალიან სასიამოვნო მოგონებები მაქვს „ივერიაზე“. „ფიროსმანი“ დავდგით. ჯემალმა, შენ იცი, ფიროსმანი შენ ხარო... გადავწყვიტე, 21 დღე არ მეჭამა, რომ მივახლოვებოდი ნიკალას სულის მდგომარეობას, როცა ის შიმშილობდა, როცა ის არავის უნდოდა, მასზე საშინელებას წერდნენ გაზეთში... ავიღე წიგნები ნიკალაზე, ლოცვები და დავიწყე შიმშილი. მივდიოდი კოჯორში ჩემს წყაროზე, იქიდან მომქონდა წყალი დასალევად. ეს სიჩუმე და მარტოობა შეუდარებელია ჩემს ცხოვრებაში. მერე, როცა 21 დღის მერე პირველად გავედი, ჯემალმა: აი, ფიროსმანი მოვიდაო.

რამდენ ქვეყანაში ვყოფილვარ. დარჩენა არსად მნდომებია. კა-გე-ბე დაგვყვებოდა. ღამით გარეთ არ გვიშვებდნენ. ქართველი თუ მოვიდოდა, გამარჯობა არ უნდა გვეთქვა, სამშობლოს მოღალატეაო. გამარჯობასაც ვამბობდით და ქეიფიც მიდიოდა. „კაგებეშნიკიც“ საქეიფოდ მიგვყავდა ხოლმე...

ერთხელ ვენესუელაში ვიყავი ექვს თვეს ტრიო „საუნჯესთან“ ერთად. კონცერტები ხულიო იგლესიასის მენეჯერმა დაგვიგეგმა. ვუკრავდით, ვირუჯებოდით და ვიყავით, მაგრამ ვაი ამ ყოფნას! გასკდა თავი, გული! სახლში მინდოდა ჩამოსვლა. მაშინ შემომთავაზეს დარჩენა, მსოფლიო სახელი გექნებაო... არაფრით არ ვქენი. მხოლოდ ერთი წელიწადიო. არ შემიძლია-მეთქი... ვერ დავრჩი.

როცა ჩემი თავი ესტრადაზე ველარ ვიპოვე, ოპერას მივმართე. „აიდაში“ ამონასროს პარტია უკვე მზად მქონდა, „ტრავიატა“ დამუშავების პროცესში იყო... ამონასრო უნდა მემღერა, მაგრამ აირია ყველაფერი. როცა საქართველო კარგ ხასიათზე იქნება, მაშინ ვიმღერებ. ამით იმისი თქმა მინდა, რომ წლებს არა აქვს მნიშვნელობა. სული და გული არ უნდა დაბერდეს.

ორი წლის წინ დავობლდი... 96 წლის დედა გარდამეცვალა. ის იყო ჩემი იმედიც, ძალაც, სიმშვიდეც... მინდოდა, დედაჩემი და მისი დედმამიშვილები ერთად შემეყარა და ყველასთვის მომეკლო. ჭაღარა შვილი რომ მივიდოდი და მეტყოდა, მოგიკვდეს დედა, როგორ დაიღალეო... ამას ვერაფერი შეცვლის.

უკან რომ ვიხედები, ყველაზე მეტად იცი, რა მიხარია? იერუსალიმში შევიძინეთ 0,6 ჰექტარი მიწა. სოსო ხარებოვის დახმარებით ვი-

წლების წინ სხვას რომ ეთქვა, ალბათ არ დაიჯერებდა, ერთ დღეს სტიქარს თუ ჩაიცვამდა. ვერც იმას დაიჯერებდა, რომ სტიქაროსნობამდე ცნობილი მომღერალი გახდებოდა.

„ჩემი შვილიშვილი, ანდრია ჩემსავით სტიქაროსანი გახდა. ლურჯ მონასტერში ვდგავართ ერთად...“

ყიდეთ. ეს მიწა საპატრიარქოს გადავეცით. ახლა იერუსალიმში ქართულ ეკლესიას თავისი ღამის გასათევი აქვს.

სოსო ხარებოვის დახმარებით გაიხსნა „სოსლენდი“, სადაც 1500 ბავშვს ვასწავლეთ და მათგან ორასს უკვე სამსახური აქვს, ხომ ბედნიერებაა?..

ჩემთვის უზარმაზარი გზა გავიარე თავისი აღმართებითა და დაღმართებით. ახალგაზრდა ვიყავი და დროს ყურადღებას არ ვაქცევდი... ახლა, როცა დრო აჩქარდა, თუ ჩემი გონი იწვის ჩქარა ამ დროში, მაინც ვერ აღვიქვამ, როგორ გადის დრო. ახალი წელი გაივლის და უცებ მეორე ახალი წელია...

მიმწუხრს მომავალში არ ველოდები, რადგან უკვე განვსაზღვრე, მწუხრი რა არის, როცა სიკვდილმა თავისი პირი მაჩვენა. შევიცანი, რომ უნდა გარდავიცვალო. აქ მოსულს არაფერი მომიტანია და აქედანაც ვერაფერს წავიღებ...

1983 წელს წავიდა ჩემი ბიჭი, გიორგი... მას მერე მისი სულის ძებნა დავიწყე. ვეძებდი ყველგან — დედამიწაზე მოცემულ ყველა ფილოსოფიასა და რელიგიაში. მხოლოდ ასე დამშვიდდებოდა ჩემი სული და გონი. წავიკითხე ყველაფერი: დაოიზმი, ბუდიზმი, მუსლიმანური რელიგიის საფუძვლები. ისევ მართლმადიდებლობასთან მოვედი. მხოლოდ აქ დავმშვიდდი... მივხვდი, უფალმა ჩემი შვილის წასვლით უფრო დიდი რაღაცისთვის მომამზადა...

ხვალ არ ვიქნები... მერე რა? ყველაფერს ვაკეთებ, რომ დღეს ასე თუ ისე სრულფასოვანი ვიყო, ვაკეთო ის, რაც შემიძლია. ვცდილობ, ვიცხოვრო ფიქრმრავალი და სულიერებით აღსავსე ცხოვრებით.

იყო ჩემს ცხოვრებაში სიჩუმის პერიოდი. სამყარო ჩუმია ჩემს წარმოდგენაში. ის რომ ლაპარაკობს, მღერის, ხმაურობს, სიცოცხლის გამოა ყველაფერი... მაშინ მივხვდი, ბრძოლაა საჭირო მაშინაც კი, სიკვდილი რომ მოვა, ჩაბარება არ არის საჭირო, ხმლით უნდა გაეგებო.

რა მენატრება?..

გაზაფხულზე, იების ამოსვლის წინ მიწა რომ გაიბერება, ვერ წარმოიდგენთ, რა სუნი დგას ტყეში. ვერა და ვერ მოვახერხე ადრე გაზაფხულზე, რომ ტყეში ვიბოდიალო.

და კიდევ: ჩემს შვილიშვილს — ანდრიას ვზრდი ისე, რომ ჯერ უფალი უყვარდეს, მერე ქვეყანა, მერე ჩვენ... ისიც სტიქაროსანი გახდა ჩემსავით. ლურჯ მონასტერში ვდგავართ ერთად და ვემსახურებით უფალს. ანდრიამ უნდა იცოდეს, თუ არა უფლის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, ხალხის სიყვარული, — მას არავინ შეიყვარებს. ჩემი გამოცდილება ასეთია.

ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ამბროსი ხელაიას სიტყვების თქმა შეგეძლოს კაცს: „სული ჩემი — ღმერთს, გული — საქართველოს, ხორცს კი რაც გინდათ, ის უყავით!“

ლელა ჯიყაშვილი

პირველი წიგნი, რომელიც ძალიან მოეწონა, დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“ იყო. ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ მეორეკლასელმა წაიკითხა. ისტორიული რომანების გაცნობა უოლტერ სკოტის „აივენჰოთი“ დაიწყო. ძალიან უყვარს ისტორიული რომანები, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“. ბოლო დროს ისტორიული ნარკვევებით დაინტერესდა. აღიარებს, რომ ყმაწვილკაცობისას მეგობარს ფრანც კაფკას წიგნი მოჰპარა, თუმცა შემდეგ „დანაშაული“ აღიარა. წიგნი მისთვისაც მოუპარავთ, თანაც არაერთხელ. ამ ყველაფერს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე იმით ამართლებს, რომ ადრე წიგნის კითხვა მოდური იყო, კარგი წიგნები კი ძნელად იშოვებოდა...

მამუკა არეშიძე:

ᲐᲓᲠᲔ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲛᲝᲓᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲘᲗᲒᲜᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲘᲨᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ...

— ბატონო მამუკა, ახლა რას კითხულობთ?

— კავკასიელი ხალხების განვითარების ისტორიას.

— როგორ ფიქრობთ, კავკასიელი ხალხები სხვებისგან რით განირჩევიან?

— ბრძოლისუნარიანობით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიას უამრავი მტერი ჰყავდა და დამპყრობლებმა კოლონიადაც გაიხადეს მისი ესა თუ ის კუთხე, ხალხმა მაინც შეინარჩუნა თავიანთი ენა, ისტორია, კულტურა, ტრადიცია, რომელიც ასეთი მრავალფეროვანია. რაც ყველაზე მთავარია, არ გამქრალან, როგორც მსოფლიოს სხვა არაერთი ხალხი.

— ხომ არ გახსოვთ, რომელ წლებში გადაასახლეს რუსებმა უბიხები თურქეთში?

— XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. ვერ ვიტყვით, რომ უბიხები მთლიანად განადგურდნენ, ისინი ჩერქეზულ ტომებსა და თურქებში გაითქვიფნენ. ბოლო უბიხი, რომელიც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, 1984 წელს სტამბოლში გარდაიცვალა.

— გადავიდეთ კითხვარზე. ცნობილია, რომ ეგვიპტელები კავკასიელ ტყვეებს გვარდიის შესავსებად ყიდულობდნენ. ტყვეები დროთა განმავლობაში ისე გაძლიერდნენ, რომ ეგვიპტის მმართველ ძალად ჩამოყალიბდნენ. ვინ იყვნენ ისინი?

— მამლუქები.

— რას ნიშნავს ქართულად მამლუქი?

— მებრძოლს.

— რას ეწოდებოდა დვალეთი?

— ისტორიულ მხარეს შუა საუკუნეების საქართველოში.

— რომელი საუკუნიდან გადმოვიდნენ ამ ტერიტორიაზე ჩრდილოეთკავკასიელი ოსები?

— XIII საუკუნის შემდეგ.

— „ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან, / ბადეს შლიდა... და მშვილდ-ისრით ტყეში ნადირს არბევდა. / ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად, / ბეჭზე ორბად შეუფრინეს „ურაიდა რაიდა“. ვის ეკუთვნის ეს ლექსი?

— ეს შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატაა“.

— დიახ. ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თურ-

კავკასიელი ხალხები სხვებისგან ბრძოლისუნარიანობით განირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიას უამრავი მტერი ჰყავდა, ხალხმა მაინც შეინარჩუნა მრავალფეროვანი კულტურა

გი — ჩამოთვლილი მდინარეებიდან რომელი მოედინება მხოლოდ საქართველოში?

— ენგური.

— „ვფიქრობ, ისტორია ლმობიერი იქნება ჩემ მიმართ, რადგან თავად ვაპირებ დავწერო იგი“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ისეთი ამბიციური ნათქვამია, ნაპოლეონი იქნებოდა.

— არა, ეს უინსტონ ჩერჩილის ნათქვამია... რომელ ბრძოლაში დაამარცხეს ქართველებმა რუმის სულთანი?

— თამარის მეფობის დროს, ბასიანის ბრძოლაში.

— ახლა რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბასიანი?

— თურქეთის.

— რა ერქვა თამარ მეფის დედას?

— არ მახსოვს.

— ბურდუხანი. რომელ ქართულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— ამერიკელები ამაყობენ, რომ არც ერთ მათ პრეზიდენტს ეს ნაკლი არ ჰქონდა. რას გულისხმობდნენ ისინი?

— ხეიბარი რომ არც ერთი ყოფილა, ეგ ვიცი. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

— ისინი არ იყვნენ მელოტები... დაასახელეთ ქართველი სახალხო პოეტი, რომელიც 1920 წელს, 25 წლის ასაკში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაქირავებულმა მეგობარმა მოკლა. იგი „შეფიცულთა რაზმის“ წევრი იყო.

— მიხა ხელაშვილი.

— რამდენი ქართველი ემსხვერპლა რუსეთის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყებას?

— ათი ათასი.

— ბრძოლის წინ სიმხნევისთვის ნივრის გალას ჯვაროსნები იკიდებდნენ თუ გლადიატორები?

— გლადიატორები.

— ვინ იყო გლადიატორი, რომელმაც გაქცეულ მონათა და გლადიატორთაგან შედგენილი რაზმით რომაელთა ლაშქარი დაამარცხა?

— სპარტაკი.

— სადაური იყო წარმოშობით სპარტაკი?

— თრაკიელი. თრაკია არის დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორია.

— რომელი ზღაპართა კრებული გადმოგვცემს შაჰრიარ მეფისა და მისი ვაზირის ასულის — შაჰრაზადას ამბავს?

— „ათას ერთი ღამე“.

— ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილმა ასპარეზობამ 41 კაცის სიცოცხლე შეიწირა, გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი დაადგა თავზე, სამ დღესაც ველარ იცოცხლა. რაში შეაჯიბრა ერომანეთს ალექსანდრე მაკედონელმა მოასპარეზეები?

— არ ვიცი.

— ღვინის სმაში... ეს ციხე ისტორიულ წყაროებში პირველად XIII საუკუნეში იხსენება. სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე ბატონობას ნიშნავდა...

— გორის ციხე.

— ვისი მეფობის დროს მიეცა გორის ციხეს დღევანდელი სახე?

— ეგ არ მახსოვს.

— ერეკლე მეორის დროს... გახსოვთ, რა ეწერა ერეკლეს ხმალზე?

— კი, ეგ მახსოვს — „მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის ირაკლისა“.

— რისი სახელებია, „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „თამარიანი“?

— დროშების.

— მან მთელი ცხოვრება ირანელთა წინააღმდეგ ბძოლას შეალია, მაგრამ ბედისწერის გამო ყიზილბაშთა ტყვეობას ვერ გადაურჩა და აღსასრულიც ტყვეობაში პოვა. ქართველებმა მისი ნეშტი ალავერდის ტაძარში დაკრძალეს. დაასახელეთ ტრაგიკული ბედის მქონე ეს მეფე.

— ტყვეობაში ვინ აღესრულა? სვიმონი, გიორგი მესამე, როსტომი (*ფიქრობს*).

— ის ერთ-ერთი წამებული დედოფლის შვილი იყო

— ქეთევანის შვილი? თეიმურაზ პირველი, არა?

— დიახ... ჩერნენკო, ანდროპოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი: დაალაგეთ ქრონოლოგიურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ცეკას გენერალური მდივნები.

— ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო.

— ვინ იყო თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი?

— ქემალ ათათურქი.

— დიახ. აბუ-დაბი, აჯმანი, დუბაი, ფუჯაირა, შარმაჯა, რას ალ-ხაიმა, შარჯა, უმ ალ-ქუვაინი — რა ჰქვია ამ ყველაფერს ერთად?

— არაბთა გაერთიანებული საამიროები.

— ბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი თემიდა. რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას რომაულ მითოლოგიაში?

— ესე იგი, კანონიერების ქალღმერთი?

— დიახ.

— არ მახსოვს.

— იუსტიცია... რა ერქვა ძველ რომში მოქალაქეთა თავშეყრის ადგილს?

— არენა? არა, ეგ არ იქნება, მაგის პირველი ასოც მითხარი.

— ესეც ასობგერა „ფ“ გახლავთ.

— ფორუმი.

— გამოიცანით. რა ეროვნებისა იყო მურვან-ყრუ?

— არაბი.

— რა გახდა პაპ კლიმენტი V-ის, პაპ კლიმენტი VII-ისა და საფრანგეთის მეფე ფილიპე II-ის სიკვდილის მიზეზი?

— მოწამვლა?

— ამ მიზეზით საფრანგეთის მეფეთა შვილები ხშირად იღუპებოდნენ.

— დიზენტერია, მუნი. სხვათა შორის, მე მაქვს ისტორიული ნარკვევი, სადაც წერია, რომ ლუვრის შენობაში საპირფარეშო არ არსებობდა და ფრანგი დიდებულები პირდაპირ კარებთან ან კიბეებთან ისაქმებდნენ. თუ არ ვცდები, XVIII საუკუნემდე ევროპელები ბანაობაზეც უარს ამბობდნენ.

— XIX საუკუნის შუა ხანებში ინგლისში გადასახადი უცნაური პრინციპით იკრიბებოდა, რაც სახლებს კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა. როგორ გროვდებოდა გადასახადი?

— საღებავში იყო საქმე?

— არა, გადასახადი ფანჯრების რაოდენობისა და სიდიდის მიხედვით გროვდებოდა.

— ალბათ ჩვენმა მთავრობამ მათ მიჰბაძა, ფანჯრების შეცვლისთვის გადასახადი რომ დააწესა...

— რომელ სახელმწიფოს აქვს საზღვარი მხოლოდ ესპანეთსა და საფრანგეთთან?

— იტალიას.

— რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: წუღრუღაშენი, ქვეშის ციხე, ორბელიანთა კარის ეკლესია?

— დმანისში.

— რა ერქვა ინდოეთის იმ ნაწილს, რომელიც ძვირფასი შალის ქსოვილის წარმოებით იყო სახელგანთქმული?

— ქაშმირი.

— საფრანგეთში ვალუათა დინასტია რომელმა დინასტიამ შეცვალა?

— ბურბონების.

— რა ერქვა სახელმწიფო საიდუმლო პოლიციას გერმანიაში?

— გესტაპო.

— ვინ იყო ქართველი სამხედრო, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ოსებმა და რუსებმა სასტიკი წამების მიუხედავადაც ვერ აიძულეს, შეურაცხყოფა მიეყენებინა ქართული დროშისთვის.

— გიორგი ანწუხელიძე.

— დიახ. „მე არც ბოლშევიკების გენერალი ვარ და არც მენშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარ“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— გიორგი მაზნიაშვილს.

— სად არის დაკრძალული გენერალი პეტრე ბაგრატიონი?

— პეტრე ბაგრატიონი ჯერ სოფელ სიმში (ვლადიმირის გუბერნია) დაკრძალეს, შემდეგ ბოროდინოს ველზე, საბოლოოდ მისი ძვლები ამოთხარეს და გადაყარეს.

— დაასრულეთ კონსტანტინე გამსახურდიამ ფრაზა „არავინ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც...“

— სულელი?

— დიახ, სულელი.

ხათუნა ბახტურიძე

სამოსი

37 **ყველა ეგვიპტელი ატარებდა თილისმას, ანუ ავგაროზს.** სჯეროდათ, რომ ავგაროზი ადამიანს ავი სულებისგან იცავდა და ბედნიერება მოჰქონდა. ყველაზე პოპულარული თილისმა ღვთაება ჰორუსის თვალი გახლდათ. ბავშვები ატარებდნენ თევზის ფორმის ავგაროზებს, რომლებსაც ისინი ნილოსში დახრჩობისგან უნდა დაეცვა.

▼ ჰორუსის თვალი ეგვიპტელთა საყვარელი ავგაროზი იყო. ღმერთ სეთთან ბრძოლისას ჰორუსმა ცალი თვალი დაკარგა და სიბრძნის ღმერთმა და მკურნალმა თოტმა მას ყოვლისმხილველი თვალი აჩუქა. ჰორუსის თვალს ჯანმრთელობა და ძალა მოჰქონდა, ასევე მსხვერპლშეწირვასაც ასახიერებდა, რადგან ჰორუსმა თვალი ბოროტებასთან ბრძოლისას დაკარგა.

38 **ძველ ეგვიპტეში მამაკაცებიცა და ქალებიც თვალებს იხატავდნენ.** თვალის საღებავს, სახელად კოლს, სხვადასხვა მინერალის ფხვნილისა და ზეთისგან ამზადებდნენ. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ კოლს მაგიური და სამკურნალო თვისებები ჰქონდა, შეეძლო მხედველობის ნაკლის გამოსწორება და თვალის ინფექციათა განკურნება. ეგვიპტელები ფერ-უმარილს, ტუჩის საცხს, პუდრს, ფრჩხილისა და თმის საღებავებსაც იყენებდნენ.

◄ დიდგვაროვანი ქალბატონი პარიკის მორგებამდე თვალებს იღებავს

39 **სამოსის უმეტესობა ღია ფერის ტილოსგან მზადდებოდა.** ქალები ტილოს გრძელ, ნაოჭასხმულ კაბებს იცვამდნენ. დიდგვაროვანი ქალების კაბები საუკეთესო ქსოვილისგან მზადდებოდა და მძივებით ირთვებოდა. მამაკაცებს ეცვათ ფართო, ბალახონის ტიპის გრძელი სამოსი ან თეძოზე შემოიხვევდნენ ტილოს გრძელ ნაჭერს, რომელსაც წელზე კოხტად ინასკვავდნენ.

► ამ ლამაზ კაბას თან ახლავს გამჭვირვალე მოსასხამი, რაც მიუთითებს, რომ ეგვიპტელები ცხელ ამინდში ხალვათად იცვამდნენ

40 **შეძლებულ ეგვიპტელთა პარიკებს ამზადებდნენ ადამიანის თმისგან ან მატყლისგან, რომელთაც სპეციალურ სადგამებზე ჩამოცმულს, ყუთებში ინახავდნენ.** ბავშვებს — გოგონებსა და ბიჭებს — თავს პარსავდნენ, მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კულულს უტოვებდნენ: გოგონებს კეფაზე, ბიჭებს კი მარცხენა საფეთქელთან უწნავდნენ.

პარიკები

▲ პარიკების დამუშავება დიდ ოსტატობასა და დროს მოითხოვდა, არც მათი მოვლა გახლდათ ადვილი საქმე. ეგვიპტელები პარიკს ხის ან სპილოს ძვლის სავარცხლებით ვარცხნიდნენ, ზოგჯერ აკულულებდნენ კიდეც.

სავარცხელი

სავარცხელი

თმის სარჭები

დაამზადე მაგიური ავგაროზი

საამისოდ დაგჭირდება:

მოზელილი თიხის გუნდა, ტყავის თასმა, პლაკატის საღებავები, ფუნჯი და ლაქი.

1. მოზილე თიხა, სანამ არ დარბილდება და მიეცი ავგაროზის ფორმა.
2. ჩასვი თვალში თიხის პატარა ბურთულა — გუგა. ავგაროზს თიხისგან მარყუჟიც გაუკეთე.
3. დააცადე თიხას გამაგრება და ლურჯად შეღებე, ზემოდან კი წითელი საღებავით არშია შემოავლე.
4. ავგაროზს გასაპრიალებლად ლაქი გადაუსვი.
5. გაუყარე მარყუჟში ტყავის თასმა და ატარე ბედნიერების მომტანი ავგაროზი.

41 **სანდალს პაპირუსისგან ან ლერწმისგან ამზადებდნენ.** დიდებულებს, მეფეებს, დედოფლებსა და კარისკაცებს ტყავის სანდალი ემოსათ. ფეხსაცმელი ფუფუნების საგანი გახლდათ და ამიტომ ღარიბი მოსახლეობა ფეხშიშველი დადიოდა. მუმიასაც კი ფეხებზე ფერად სანდალს ახატავდნენ!

© Miles Kelly © გამომცემლობა პალიტრა L, 2011

წიგნი „500 ფაქტი ისტორიიდან“ გამოვა 2011 წლის ბოლოს

გონიერი ეგვიპტელები

42 ეგვიპტელთა ბევრი სამარხის კედლები ფერადი სურათებითაა მოხატული, უმეტესად გარდაცვლილის ცხოვრების ამსახველი სცენებით. ქალი იყო თუ მამაკაცი, მას ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ადამიანად გამოსახავდნენ. ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ მომავალ ცხოვრებაში გარდაცვლილები ისევე იცხოვრებდნენ, როგორც კედლის ნახატებზე იყო ასახული.



ჩაღრმავებული რელიეფი

ამობურცული რელიეფი

▲ ეგვიპტელები ჩაღრმავებული რელიეფის მისაღებად ქვას ამოთლიდნენ გამოსახული კონტურის ფარგლებში, ხოლო ამობურცული რელიეფისთვის ქვის ზედაპირს კონტურის გარშემო შემოათლიდნენ.

სკულპტურულ გამოსახულებას, რომელიც ამობურცულია ბრტყელ ზედაპირზე, ამობურცული რელიეფი ეწოდება, ხოლო ქვის ზედაპირზე გამოკვეთილ გამოსახულების კონტურებს — ჩაღრმავებული რელიეფი.

43 ეგვიპტელი მოქანდაკეები ფარაონებისა და ღვთაებების ქანდაკებებს უზარმაზარი ქვებისგან აქანდაკებდნენ. მათ ხშირად სამარხის ან ტაძრის გარეთ მიუჩენდნენ ადგილს, რათა შესასვლელი დაცული ყოფილიყო. სცენებს სამარხისა და ტაძრების კედლებზე ამოკვეთდნენ. გარდაცვლილს სწორედ ისე გამოსახავდნენ, როგორადაც ახალგაზრდობაში გამოიყურებოდა და ცხოვრებით ტკბებოდა. ღვთაება ოსირისი გარდაცვლილის სულს ეხმარებოდა, უზრუნველად ეცხოვრა იმქვეყნიურ სამყაროში.

44 ძველ ეგვიპტელებს სამი კალენდარი ჰქონდათ: სამეურნეო, ასტრონომიული და მთვარის. 365-დღიანი სამეურნეო კალენდარი მოიცავდა სამ სეზონს, რომლებიც ოთხ-ოთხი თვისგან შედგებოდა. ასტრონომიული კალენდარი ვარსკვლავ სირიუსზე დაკვირვების მიხედვით იყო შედგენილი. ის ყოველთვის წყალუხვობის სეზონზე გამოჩნდებოდა ხოლმე. ქურუმები მთვარის ცვალებადობას ადევნებდნენ თვალს და ამის მიხედვით ხვდებოდნენ, როდის შეიძლებოდა მთვარის ღვთაება ხონსუს პატივსაცემი ცერემონიის გამართვა.

▲ ამ კალენდარზე დღეები წითლად და შავად არის აღნიშნული. შავი ფერით ჩვეულებრივი დღეებია მონიშნული, ხოლო წითლით — არასასურველი, უიღბლო.

◄ სამარხების მოხატვისთვის რამდენიმე კაცი მუშაობდა. უმცროსი მხატვარი კონტურებს მოხაზავდა. როცა მის ნამუშევარს მთავარი მხატვარი შეასწორებდა, სხვები გამოსახულების კონტურებს აფერადებდნენ.

დაუჯერებელია!

ნივრის თავს გველებისგან თავდასაცავად და ადამიანის სხეულიდან ჭიების გამოსადევნად იყენებდნენ.

45 ასტრონომები ცას ღამღამობით აკვირდებოდნენ. ეგვიპტელთა კალენდარი ვარსკვლავ სირიუსის მდებარეობას ეფუძნებოდა. ეგვიპტელები ასტრონომიის ცოდნას იყენებდნენ ტაძრების ასაშენებლად, რომლებსაც ვარსკვლავებისა და მზის მოძრაობის მიხედვით განალაგებდნენ.

46 ეგვიპტელმა ექიმებმა იცოდნენ, როგორ დაეფიქსირებინათ გატეხილი ძვლები და განეკურნათ ციებ-ცხელებით დაავადებულები. სამკურნალოდ მცენარეულ წამლებს იყენებდნენ, განსაკუთრებით კი ნივრისა და ღვიისგან დამზადებულს. ეგვიპტელები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ ადამიანის აგებულებას.

47 ნილოსის სიღრმის გასაზომად ეგვიპტელები იყენებდნენ მოწყობილობას, რომელსაც ნილომეტრი ეწოდებოდა. ერთმანეთისგან განსაზღვრული მანძილით დაშორებულ ნიშნულებიან ბოძებს მდინარის კალაპოტში არჭობდნენ და ასე ამოწმებდნენ წყლის დონეს წყალდიდობის სეზონზე.

დიდებული საბერძნეთი

48 **ძველი საბერძნეთი პატარა ქვეყანა იყო, მაგრამ დიდი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულთა სამშობლო.** ძვ.წ. 2000 წლიდან მოყოლებული, აქ დიდებული ცივილიზაცია შეიქმნა, რომელმაც განვითარების პიკს ძვ.წ. 500-400 წლებში მიაღწია. ყველა მოქალაქეს წვლილი შეჰქონდა საზოგადოების განვითარებაში, რომელიც პატივს სცემდა ხალხის უფლებებს, ხელს უწყობდა საუკეთესო ადამიანურ თვისებათა წარმოჩენას და ბუნებასთან ჰარმონიულად თანაარსებობდა. ჩვენ დღესაც აღგვაფრთოვანებს ძველ ბერძენთა მიღწევები სპორტში, მედიცინაში, პოლიტიკაში, პოეზიასა და ხელოვნებაში.

▲ ათენის აგორა (ქალაქის მოედანი) მოქალაქეთა თავშეყრისა და ბაზრობის ადგილი იყო. ბითუმად მოვაჭრენი აქ ახალ ბოსტნეულსა და ხილს, ხოლო ხელოსნები — ტანსაცმელსა და თიხის ჭურჭელს ყიდდნენ.

ძველი საბერძნეთი



ისტორიის ფიალში

49 **ძველი ბერძნები ამაყობდნენ თავიანთი ლამაზი ქვეყნით.** აქ იყო მაღალი, თოვლით დაფარული მთები, მოჩუხჩუხე ნაკადულები, დაბურული ტყეები, ყვავილებით მოჩითული მდელოები და ზღვისპირა ნაყოფიერი ველები. სანაპირო ზოლის გარშემო ათასობით კლდოვანი კუნძული ერტყა, ზოგი პატარა და ღარიბი, ზოგიც დიდი და აყვავებული.

◄ ქვაში გამოკვეთილი ქალის ეს ფიგურა კიკლადების კუნძულებზე იპოვეს. მისი დიზაინი ძალიან სადა, მაგრამ მეტად გრაციოზულია

50 **ბერძნული ცივილიზაცია კიკლადების კუნძულებიდან იღებს სათავეს.** დასტური იმისა, რომ საბერძნეთში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, კიკლადების კუნძულებზეც იპოვეს. ძვ.წ. 6000 წელს იმ ხალხმა, ვინც აქ დასახლდა, დაიწყო სოფლების გაშენება და მარცვლეულის მოყვანა. ისინი გარდაცვლილ ახლობლებს განძეულით სავსე საფლავებში მარხავდნენ. საფლავი სავსე იყო მარმარილოს ფიგურებით, ოქროვერცხლის სამკაულებითა და მზის სიმბოლოებით მოხატული თიხის ჭურჭლით.



▼ ქრონოლოგია გვიჩვენებს საბერძნეთის ისტორიაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს

◀ ეს თიხის ჭურჭელი დაახლოებით ძვ. წ. 900 წელს არის დამზადებული და უსახური და უბრალოა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ბერძნებს იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ხელოვნების განვითარებისთვის საჭირო სახსრები და საშუალებანი.

▲ ალექსანდრე დიდი მართავდა იმპერიას, რომელიც საბერძნეთიდან ინდოეთამდე იყო გადაჭიმული.

51 **ძვ. წ. 1100-900 წლები საბერძნეთის ისტორიაში იდუმალებით არის მოცული.** ძვ. წ. 2000-1100 წლებში საბერძნეთს ძლიერი მეფეები მართავდნენ. მათ ააგეს დიდებული შენობები და შექმნეს ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, ჰქონდათ დამწერლობაც. ძვ.წ. 1100-900 წლებში უკვე აღარ არსებობენ ძლიერი სამეფოები. რჩება რამდენიმე ახალი ნაგებობა და ხელოვნების ნიმუში, დამწერლობა კი ქვეითდება.

52 **შორეულ მიწებზე მიგრანტები სახლდებიან.** დაახლოებით ძვ. წ. 700 წლისთვის საბერძნეთი უკვე მჭიდროდ იყო დასახლებული. მოსახლეობას მიწები აღარ ჰყოფნიდა საკვები კულტურების მოსაყვანად, ზოგიერთ კუნძულზე კი არ ჰყოფნიდათ წყალი. ამიტომ ბერძნები ახალ მიწებზე — დღევანდელი სამხრეთ საფრანგეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, თურქეთისა და ბულგარეთის ტერიტორიებზე დასახლდნენ და ბერძნული კოლონიები შექმნეს.

53 **როცა ქვეყანაში მეზობელი ხალხები შეიჭრნენ, ბერძენთა ძალაუფლება შეირყა.** ძვ. წ. 431 წლიდან ერთმანეთთან გამუდმებული ომების გამო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ძლიერ დასუსტდნენ. ძვ. წ. 338 წელს მაკედონიის (საბერძნეთის ჩრდილოეთი) მეფე ფილიპე II უზარმაზარი არმიით შეიჭრა საბერძნეთში. ფილიპეს გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, ალექსანდრე დიდმა საბერძნეთი თავისი მძლავრი იმპერიის ნაწილად აქცია.

ძვ. წ. 700-500 წწ. ბერძნები ხმელთაშუა ზღვის გარშემო კოლონიებს ქმნიან

ძვ. წ. 480-479 წწ. საბერძნეთი ებრძვის სპარსელ (ახლანდელი ირანი) დამპყრობლებს

ძვ. წ. 338 წ. მაკედონიის მეფე ფილიპე II-მ საბერძნეთი დაიპყრო

ძვ. წ. 147-146 წწ. რომაელებმა დაიპყრეს საბერძნეთი და მაკედონია

ძვ. წ. 500-430 წწ. ძლიერდება ათენი, რომელიც ქმნის გასაოცარ ხელოვნებას და ჰყავს დემოკრატი მთავრობა



ძვ. წ. 431-404 წწ. ომები ათენსა და სპარტას შორის

ძვ. წ. 336-323 წწ. ალექსანდრე დიდი, მაკედონიისა და საბერძნეთის მეფე, უზარმაზარ იმპერიას მართავს

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

1 ლიბიის პრეზიდენტი

2 ბედისტური სამლოცველო

3 ტერორისტი, თვითმკვლელი

4 რუსეთის პრეზიდენტი 1991-99 წწ.

5 ქართველთა წმინდანი

6 სიმონ ტერ-პეტროსიანის ფსევდონიმი

7 ანტიმარქსისტული მიმდინარეობა

8 ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი

9 ამერიკელი განგსტერი ...კაპონე

10 ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში

11 საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

12 სამეურნეო მუშაკი, ეკონომი

13 ქანდაკების სხეობა

14 ღმერთების მთა

15 ფულის ერთეული მექსიკაში

16 მონარქიული სახელმწიფოს ტიპი

17 ისტორიული ქალაქი იტალიაში

18 ვულკანი სიცილიაზე

19 თბილისის მერი

20 ქალაქი საქართველოში

21 წერილობითი კოლექტიური თხზანა მთავრობისადმი

22 მუსლიმანთა ლოცვა

23 ისტორიულად ჩამოყალიბებული წესჩვეულებანი

24 გერმანული სპორტული საქონლის ფირმა

25 ...ჩაფესი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ალიევი; 2. სენატი; 3. ვიკინგი; 4. ერმაკი; 5. ასკერი; 6. მაია; 7. ნინო; 8. მირკანი; 9. ნაიბი; 10. დოფინი; 11. ბუცეფალი; 12. ბაირამი; 13. პეტრე; 14. ნაცია; 15. სეიმი; 16. ნოსტე; 17. კასტა; 18. დუელი; 19. მონტანა; 20. ალი; 21. ტაო; 22. მადონა; 23. ნაციზმი; 24. მოლა. სურათზე: ალექსანდრე მაკედონელი.